ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№103
(12 173)

4 მაისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართულ ფინალს უცხოეთიც ნახავს



## კომაგთა ლიგა ნემსაძეს კომაგობს, რაჭამ თქვა: კვარაცხელია

არჩევნების წინ 2,4



## სამიდან ხუთ ლიცენზიამდე

ინტერვიუ გიორგი ასანიძესთან 13



2

## ეს უკვე საქმეა: ამერი-ზესტაფონს სამი ევროპული ტელეკომპანია პირდაპირ ეთერში გადასცემს




# ვერდერს კისერი მოუგრიხეს

## კატალონია ანდალუსიის წინააღმდეგ. 16 მაისს, გლაზგოში: სევილია vs ესპანიოლი

მაშ ასე, უეფას თასი ესპანეთში რჩება, ან შეიძლება, სულაც სევილიაში. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ხომ სწორედ "სევილია", რომელიც ორ კვირაში, გლაზგოს "ჰემპდენ პარკზე" შეეცდება ტიტულის დაცვას. და თუ ასე მოხდა, ის იქნება მეორე გუნდი "რეალის" შემდეგ, ვინც 1986 წლიდან მოყოლებული პირველად შეძლებს უეფას თასის ზედიზედ ორჯერ მოგებას...

ანდალუსიელებმა მეტად რთული ბრძოლები გადაიტანეს კიდევ ერთ პირენეულ კლუბ "ოსასუნასთან", რომელსაც შინ 1:0 ჰქონდა მოგებული. გუშინდელ შეხვედრაში დიდი საქმე გააკეთა ლუიშ ფაბიანოს მიერ პირველივე ტაიმში გატანილმა გოლმა, რომელმაც ხუანდე რამოსის შეგირდებს ფსიქოლოგიური წნეხი მოუხსნა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ალვეშის მეცადინეობით რენატომაც გაიტანა და ეს უკვე ის ანგარიში იყო, "სევილიას" ფინალისკენ რომ უხსნიდა გზას. დარჩენილ დროში პამპლონელებს ჰქონდათ ერთი მომენტი, რომელსაც ანგარიშის შეცვლა შეეძლო, მაგრამ ვებოს თავური ძელს მოხვდა. ასე იყო თუ ისე, ეჭვი არაა, რომ ხუანდეს ბიჭები სრულიად დამსახურებულად გავიდნენ ფინალში.

აი, ბრემენში კი სულ სხვაგვარად იყო საქმე. "ვერდერს" სამბურთიანი (0:3 პირველი მატჩი) დეფიციტის გაბათილება ჰქონდა მიზნად, რაც ერთი შეხედვით ამოუხსნელ ამოცანად მოჩანდა. თუმცა მატჩის დებიუტმა გვაფიქრებინა, რომ გერმანელებს საქმის სათავისოდ მოკვარახჭინება შეეძლოთ. უკვე მე-4 წუთზე, ალმეიდას შორეულმა გასროლამ მიზანს უწია, მაგრამ... მაგრამ მალე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. მე-19 წუთისთვის კლოზემ ორი (!!!) ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. თუ პირველ მატჩში "ვერდერს" მეკარე ვიზემ უღალატა, ახლა იმ კაცმა გატეხა ციხე შიგნიდან, ვინც გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა და იმედი იყო... მოკლედ, "ვერდერი" დაინგრა. მეორე ტაიმის პირველ 15 წუთში მასპინძელმა ორი გოლი მიიღო და "ესპანურ" მისიას წერტილიც დაესვა...

ტექნიკური შედეგები 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge



შეხვედრა პროფლიგაში — ნუგზარ სუარიძის ფოტო

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება

# ქართულ ფინალს უცხოეთშიც აჩვენებენ

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში თათბირი გაიმართა. ფეხბურთის ფედერაციისა და ლიგის ხელმძღვანელებმა დავით ყიფიანის სახელობის თასის "ყაზბეგის" გათამაშების ფინალური მატჩის ორგანიზაციულ საკითხებზე მასმედიის თანდასწრებით ისაუბრეს.

ცნობილი გახდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი: თასის ფინალი 26 მაისს 20.00 საათზე დაიწყება, პირდაპირ რეპორტაჟს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" გადასცემს. თუმცა რეპორტაჟი ნახევარი საათით ადრე დაიწყება. მანამდეც, მაყურებლის "მოსათელად" რამდენიმე საათით ადრე პატარ-პატარა ჩართვები იგეგმება. რეპორტაჟი საქართველოსთვის უჩვეულოდ მასშტაბური იქნება - შეხვედრას ათი კამერა გადაიღებს და საგანგებოდ, ინგლისის პრემიერლიგის რეპორტაჟებზე გაწაფული დაქირავებული ჯგუფი იმუშავებს, რომელსაც **ბილ რასელი** უხელმძღვანელებს.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტი იმიტომაა, რომ საქართველოს თასის ფინალით რამდენიმე უცხოური ტელეკომპანია დაინტერესდა - "ნტვ პლუსის" შესახებ ადრე გაცნობეთ, ახლა მოლაპარაკება უკრაინულ "სპორტ 1" და "ევროსპორტთანაც" დაიწყო. ლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილის** თქმით, მთავარი მოთხოვნა ტრანსლაციის მაღალი ხარისხია: *"მოლაპარაკება სამივე ტელეკომპანიასთან დავიწყეთ. მაგალითად, "ევროსპორტი" აფრიკის ლიგების თამაშებსაც აჩვენებს და მათთვის უინტერესო არც საქართველოს თასის ფინალი უნდა იყოს. მთავარია, რეპორტაჟი ლამაზად "შევფუთოთ", მატჩისწინა შოუპროგრამა და ორგანიზაცია იყოს უცხო თვალისთვის მიმზიდველი. ჩვენ შეგვეძლო რუსთავის "ოლიმპისა" და თბილისის "დინამოს" 5 მაისის მატჩის "ნტვ პლუსისთვის" შეთავაზება, მაგრამ ეს 3 თვით ადრე იყო შესათანხმებელი. საერთოდ, ჩვენი მიზანი იმ პროდუქტის შექმნაა, რომელიც ყველა ტელევიზიისთვის მიმზიდველი აღმოჩნდება."*

ლიგის პრესატაშე **პაატა ბურჯალიანის** თქმით, მატჩის პრომოაქცია 12 მაისს დაიწყება. მატჩის დღეს კი "ზესტაფონისა" და "ამერის" გულშემატკივართა სამზადისზე, წინა დღის ვარჯიშების სიუჟეტებს აჩვენებენ. იქვე რამიშვილი დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელი იყო პირველი ტაიმის შემდეგ ჩართვებში მოთამაშეებისა და მწვრთნელებისგან ინტერვიუს ჩამორთმევა. ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** იდეა დასაშვებად ჩათვალა, თუმცა კომენტარისთვის გამოყოფილი მაქსიმალური დრო 10 წამიაო.

მატჩის დაწყებამდე 10 წუთიანი შოუ-პროგრამა გაიმართება. შოუს ნაწილი უნდა იყოს თასის გამარჯვებულის დაჯილდოებაც. ლიგის ხელმძღვანელობა ფინალს იმ პროდუქტად მიიჩნევს, რომელზე დასასწრები ბილეთის ფასი მინიმუმ 2 ლარი უნდა ღირდეს - იაფფასიანი ბილეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნაზე მდებარე ადგილებია. აღმოსავლეთსა და დასავლეთზე 3-ლარიანი ბილეთები გაიყიდება. განსაკუთრებით პრესტიჟული ადგილები 5 ლარად შეფასდა. ბილეთების ნაწილი მეტოქე გუნდებს დაურიგდებათ და გულშემატკივრებში თავად გაყიდიან ან გააჩუქებენ - ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული.

ნოდარ ახალკაცი მიიჩნევს, რომ ეს იმ რანგის მატჩია, რომლის ორგანიზებაც ნაკრების შეხვედრების დონეზეა საჭირო: *"საამისოდ, თბილისის მერიაში თათბირები დაგვჭირდება. ლატარია ძალიან კარგი წამოწყებაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა და ლატარიის გათამაშებაც ამის მიხედვით უნდა ჩატარდეს".*

და ბოლოს, თუკი შარშან თასის ფინალის დაწყებამდე, სტადიონზე ვერტმფრენიდან **დუტა სხირტლაძე** გადმოხტა და მაყურებელზე ეფექტი მოახდინა, წელს ამ მისიას ამერიკული ფილმის გმირი შეასრულებს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ მოსწრებულად შენიშნა - შარშან სხირტლაძე გადმოხტა და "სპაიდერმენი" წელსაც უნდა დავიქირავოთო. "სპაიდერმენის" იდეა ყველამ აიტაცა. ასე რომ, ფინალზე მოზარდებთან ერთად, ბავშვებსაც მიეცემათ გასართობი. ვინ იქნება "სპაიდერმენის" როლში, ძნელი მისახვედრი არაა.

ასე რომ, ფინალისთვის მზადება დაწყებულია. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ სტადიონზე 40 ათასამდე მაყურებელი მივა. ასეთუ იქნა, მაშინ წინა ორი ფინალის მსგავსად, ისევ გაამართლებს. მაყურებლის მისვლა ხომ ფეხბურთელებისთვისაც უდიდეს სტიმულია.

**მერაბ მამულაშვილი**

# კვარაცხელია რაჭამ წარადგინა

სკეპტიკოსების ვარაუდი არ გამართლდა. ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველმა **მამუკა კვარაცხელიამ** რაჭა-ლეჩხუმის რეგიონული ფედერაციის მხარდაჭერა მოიპოვა და გუშინ შუადღისას ფეხბურთის ფედერაციაში კანდიდატურა დაარეგისტრირა.

კვარაცხელია ფედერაციის დღევანდელ მმართველ **ნოდარ ახალკაცს** ყველაზე მძაფრად უპირისპირდებოდა ბოლო ორი წელი და ბევრი იყო დარწმუნებული, რომ ასეთი რადიკალი ოპოზიციონერის მხარდაჭერას ფედერაციის ვერცერთი სუბიექტი ვერ გარისკავდა. ეს ნაბიჯი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონულმა ფედერაციამ გადადგა და საპრეზიდენტო კანდიდატების რაოდენობა სამამდე გაიზარდა. დღეს, 12 საათზე, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე ბილიარდის სახლში მამუკა კვარაცხელია მორიგ პრესკონფერენციას გამართავს და როგორც გვითხრა, ახალკაცის შესახებ ჯერაც უცნობ ფაქტებს გამოამზეურებს.

კანდიდატურების წარდგენის ბოლო თარიღი 4 მაისია. მართალია, ბოლო მომენტამდე ელოდნენ, რომ თბილისის "დინამოს" ყოფილი ვარსკვლავი, პარლამენტარი **ვლადიმერ გუცაევიც** წამოაყენებდა კანდიდატურას, მაგრამ მან არჩევნებში მონაწილეობა გადაიფიქრა და გიორგი ნემსაძის მხარდამჭერთა ბანაკში გადავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ევრო 2008

# ლიტვასთან შვეიცარიელი, ფრანგებთან პორტუგალიელი

გაირკვა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც საქართველოს ნაკრების მომდევნო ორ მატჩს მოემსახურებიან. 2 ივნისს, კაუნასში, ლიტვა-საქართველოს შვეიცარიული ბრიგადა იმსაჯებს. მთავარი მსაჯი **კლაუდიო კირჩეტა** იქნება, ლაინსმენებად **მანუელ ნავარო** და **ანტონიო ფერნანდესი** გაამწესეს, სათადარიგო მსაჯის ფუნქციებს კი **საშა კევერი** შეასრულებს.

6 ივნისს, ოსერში კი საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან დაპირისპირებას პორტუგალიელები განსჯიან. არბიტრად **ლუსილიო კარდოზო კორტეშ ბატიშტა** დანიშნეს, თანამსაჯებად - **ჟოზე მანუელ სილვა კარდინალი** და **ჟოაო ფერეირა დუშ სანტუში**, სარეზერვოდ კი **ჟოაო ფრანსისკო ლოპეშ ფერეირა**.

21-წლამდელთა ნაკრები

# 12 ოქტომბერს, შვედეთში...

ევროპის ჩემპიონატის ახალ საკვალიფიკაციო ეტაპს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 5 ივნისის ესპანეთთან საშინაო მატჩით იწყებს. გუნდი თურქულ შეკრებაზე უკვე იმყოფებოდა, მაისის ბოლოს კი თბილისში კიდევ ერთი მოსამზადებელი შეკრება ექნება. გადაწყვეტილია ისიც, რომ 12 ოქტომბერს შვედეთის 21-წლამდელთა ნაკრები ჩვენს ახალგაზრდულს ამხანაგურ მატჩში უმასპინძლებს.

*"ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ, ეროვნული და სხვადასხვა ასაკის ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებისთვის. გვინდა, რაც შეიძლება ძლიერ მეტოქესთან ვათამაშოთ ჩვენი გუნდები. 21-წლამდელთა ნაკრებთან დაკავშირებით შვედეთის გარდა ნორვეგიასთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. საბოლოოდ არჩევანი შვედებზე შევაჩერეთ. სხვათა შორის, თავად შვედებსაც არაერთი წინადადება ჰქონდათ და გასახარია, რომ სწორედ ჩვენთან ისურვეს თამაში. სხვათა შორის, შვედეთი 21-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის მასპინძელია"*, - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

შვედეთს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ტომი სოდერბერგი** და **იორგენ ლენარტსონი** წვრთნიან. შვედმა ახალგაზრდებმა წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით იასპარეზა, ჯგუფურ რაუნდში დანიისა და მაკედონიის ძლევით პირველობა არავის დაუთმეს. ბოლო ეტაპზე, ორი მატჩის ჯამში კი სერბეთთან 3:5 დამარცხდნენ.

დაბოლოს, შეგახსენებთ რომ შესარჩევ ციკლში, **პეტარ სეგრტის** გუნდი 16 ოქტომბერს ყაზახეთს სტუმრად დაუპირისპირდება. სეგრტის კრებული იქ პირდაპირ შვედეთიდან გაფრინდება.

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი





საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი სარბიელი


05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ბორჯომი | კახეთი-სიონი |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | მალაროელი-გაგრა |
| ოლიმპი-დინამო (თბ) | ზენიტი-კრილია სოვეტოვი |
| მერანი-დილა | მილანი-ფიორენტინა |
| ლოკომოტივი-ამერი | სპარტაკი (მოს)-რუბინი |
| ზესტაფონი-ტორპედო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ინტერვიუ რალფ მინგესთან

# ფეხბურთელები გონივრულად უნდა გადავანაწილოთ

**რამდენიმე დღეა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რალფ მინგე თბილისშია და ჩემპიონატის მატჩებს ესწრება. საქართველოში ჩამოსვლამდე ის გერმანიაში მოასპარეზე ჩვენს ლეგიონერებს აკვირდებოდა - ამით ივნისის სანაკრებო მატჩებისთვის სამზადისი დაიწყო.**

**მაისსა და ივნისის დასაწყისში, ეროვნულის გარდა, 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებსაც პრინციპული მატჩები ელით. საინტერესოა, თუ როგორ გადაანაწილებენ მწვრთნელები გამორჩეულ ფეხბურთელებს ნაკრებებში.**

**რალფ მინგეს ფედერაციაში ვეწვიეთ და მნიშვნელოვან საკითხებზეც გავესაუბრეთ.**

- იენაში, "კარლ ცაისსა" და "აუეს" შორის გამართულ მატჩს დავესწარი. დიდი სურვილი მქონდა, ამ შეხვედრაში სამი ქართველი მენახა, სამწუხაროდ, მხოლოდ ლომაიამ ითამაშა. აშვეთია და სირაძე ტრავმირებულები იყვნენ. ორივე კლუბის ხელმძღვანელობასთან ახლო ურთიერთობა გამაჩნია და იქ მოასპარეზე ფეხბურთელთა მზადების დონის გარდა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებაც ვილებ ცნობებს. საბედნიეროდ, აშვეთიასა და სირაძეს მძიმე ტრავმები არ აქვთ, ისინი უკეთ გრძნობენ თავს.

ახლა თბილისში ვარ და ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეულ ფეხბურთელებს ვაკვირდები. არა მხოლოდ ეროვნული ნაკრებისთვის, არამედ 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებისთვისაც. მაისის ბოლოს 19-წლამდელებს ელიტრაუნდში ელით ასპარეზობა. 21-წლამდელები კი 5 ივნისიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს დაიწყებენ.

**- დიდი მუშაობა მოგიწევთ, რომ ფეხბურთელები ამ სამ ნაკრებში სათანადოდ გადაანაწილოთ...**

- ჩვენი მიზანია, ამ დროს რაიმე შეცდომა არ დავუშვათ და რომელიმე ნაკრებმა არ იზარალოს. საამისოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: "დინამოს" ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი მერებაშვილმა, ამ ბოლო ხანს საკმაოდ მოუმატა. თურქეთთან ამხანაგურ მატჩში 18-კაციან განაცხადშიც იყო და კლუბში მას მერეც კარგად ასპარეზობს. ის ეროვნულის კანდიდატია და ამავე დროს ახალგაზრდულ ნაკრებშიც აქვს თამაშის უფლება. ასეთ ფეხბურთელთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ. ეროვნულში მერებაშვილის პოზიციაზე უკვე კარგა ხანია, გამოცდილი ფეხბურთელები ასპარეზობენ. ის რომ მთავარ გუნდში გამოვიძახოთ, სათადარიგოთა სკამზე მოუწევს დაჯდომა. ამ დროს კი მისი გამოყენება 21-წლამდელთა ნაკრებში ესპანეთის წინააღმდეგ შეიძლება. მერებაშვილი მაგალითისთვის ვახსენე, ასეთი არაერთი მოთამაშეა - სანდრო კობახიძე, რატი წინამძღვრიშვილი და სხვები.

**- ზამთარში, "აუეში", შოთა გრიგალაშვილი და ბექა გოცირიძე ისინჯებოდნენ. თუმცა ორივეს უკან დაბრუნება მოუხდა. მათი ტრანსფერის საკითხი ზაფხულში ხელახლა ხომ არ გახდება აქტუალური?**

- ისინი კარგი ფეხბურთელები არიან. "აუეში" ტესტირებისას ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. დღეისთვის გადაჭრით ძნელია რაიმეს თქმა. არაფერს გამოვრიცხავ.

**- ახლახან გერმანულ პრესაში გაჩნდა ცნობა ალექსანდრე იაშვილით დაინტერესებული კლუბების შესახებ. როგორც ცნობილია, ქართველ ფეხბურთელთა ტრანსფერებისას თქვენ და კლაუს ტოპმიოლერს ხშირად აზრს გეკითხებიან ხოლმე...**

- უპირველესად, აღვნიშნავდი, რომ ნაკრების მწვრთნელებს ფეხბურთელთა ტრანსფერებთან არანაირი შეხება არ გვაქვს. უბრალოდ, გერმანიაში იციან, რომ საქართველოს ნაკრებს ვწვრთნით და ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობები კარგად ვიცით. შესაბამისად, არის შემთხვევები, როცა მე და კლაუს ტოპმიოლერს გვიკავშირდებიან და აზრს გვეკითხებიან ხოლმე ამა თუ იმ ფეხბურთელზე. მაგალითად, თავის დროზე გვთხოვეს აშვეთია და ლომაია დაგვეხასიათებინა. ესაა და ეს.

რაც შეეხება კითხვას, ათი წელია, რაც ალექსანდრე იაშვილი გერმანიაში ასპარეზობს და იქ კარგად იციან მისი შესაძლებლობები. ის წლეულს არაჩვეულებრივ სეზონს ატარებს, განსაკუთრებით კი მეორე წრეში გამოირჩევა. შესაბამისად, სულაც არა გასაკვირი, რომ მისით რამდენიმე ბუნდესლიგური კლუბია დაინტერესებული. ის გონიერი პიროვნებაა და მჯერა, რომ სწორ არჩევანს გააკეთებს.

**- ვიცით, რომ გერმანული კლუბებისგან ინტერესი არსებობს მიხეილ აშვეთიას, გიორგი ლომაიას, ლადო ბურდულისა და გიორგი შაშიაშვილის მიმართ. ამ ოთხეულით დაინტერესებულ კლუბებზე რა იცით?**

- ვიცი მხოლოდ ის, რაც იწერება. ისინი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები არიან და არც მიკვირს, რომ მათით გერმანული კლუბები დაინტერესდნენ. საერთოდ, ნაკრებისთვის უმჯობესია, რაც უფრო მეტი ფეხბურთელი ითამაშებს მაღალი დონის ჩემპიონატში.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან

# გული მიგრძნობს, რუსთავში მოვიგებთ

**არავინ დავობს, რომ გიორგი მერებაშვილს საუკეთესო სეზონი აქვს. კახა ცხადაძის მწვრთნელობისას "დინამოში" გამოჩენილი ნახევარმცველი, 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს. ის თურქეთთან 7 თებერვლის მატჩის განაცხადში იყო, მაგრამ თამაში არ მოუწია.**

**მაინც რაშია მერებაშვილის კარგი თამაშის საიდუმლო? სად ხედავს საკუთარ თავს თავად ფეხბურთელი და რა აზრისაა ოქროს მატჩად მონათლულ 5 მაისის თამაშზე რუსთავის "ოლიმპთან"?**

- თბილისის "დინამოს" ძირითადში კახა ცხადაძის მწვრთნელობისას ვითამაშე. თუმცა წლევანდელი სეზონი პირველია, როცა სასტარტოში სტაბილურად ვთამაშობ. უჰრინის, კაჭარავას, ტოპმიოლერის მადლიერი ვარ. მათგან ყოველთვის ვგრძნობდი ნდობას. ეს ფაქტორი კი ფეხბურთელისთვის უმნიშვნელოვანესია. როცა მწვრთნელისგან ნდობას გრძნობ, დაძაბულობა გეხსნება და უფრო უკეთ ავლენ საკუთარ შესაძლებლობებს.

**- მიმდინარე სეზონში ჩინებულად თამაშობ და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხარ. რას უნდა მივაწეროთ შენი პროგრესი - მწვრთნელსა თუ საკუთარ თავზე ბევრ მუშაობას?**

- ვფიქრობ, ჩემი კარგი თამაში ამ ფაქტორების ერთობლიობითაა განპირობებული. ცხადია, დუშან უჰრინის როლი გამორჩეულია. თანაგუნდელებიც მხარში მიდგანან და საკუთარ თავზეც ბევრს ვმუშაობ.

**- მიმდინარე სეზონში ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე, ასევე მოედნის ცენტრსა და თავდასხმაში მოგიწია თამაშმა. როგორც ჩანს, გადაწყობა არ გიჭირს. თუმცა საკითხავია, სად გიჯობს თამაში?**

- გადაწყობა მართლა არ მიჭირს. სადაც გუნდს დავჭირდები, მზად ვარ, იქ ვითამაშო. ისე კი ნახევარდაცვის შუაში მირჩევნია თამაში.

**- რა რეაქცია გაქვს მწვრთნელების შექებაზე?**

- ბუნებრივია, მიხარია და თავს ბედნიერად ვგრძნობ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიღწეულით დავკმაყოფილდე და საკუთარ თავზე მუშაობა აქტიურად აღარ გავაგრძელო. ასე ვთქვათ, თავში ავარდნა არ მჩვევია. ვთვლი, რომ ჯერჯერობით რაიმე აღსანიშნავისა და გამორჩეულისთვის არ მიმიღწევია.

**- ასეთებსაც მოისმენ, მერებაშვილი გუნდის ძრავაა და თუ ვერ თამაშობს, თამაში "დინამოსაც" უჭირსო. მართლა ასეა, თუ შეფასება გადაჭარბებულია?**

- საკუთარ თავზე საუბარი არ მჩვევია და არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. ისე კი გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმია და მარცხი თუ წარმატება ყველას დამსახურებაა.

**- 21-წლამდელთა ნაკრებში გამორჩეული თამაში დაგიფასდა და ეროვნულ გუნდში გიხმეს. თურქეთთან განაცხადშიც იყავი, მაგრამ არ გითამაშია...**

- უზომოდ გავიხარე, როცა ეროვნულში გამომიძახეს. მართალი გითხრათ, თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ არ მომიწია. თუმცა ეს არაფერია, წინ კიდევ არაერთი მატჩი იქნება და მჯერა, რომ ეროვნულის მაისურასაც მოვირგებ.

**- ვიცით, რომ თურქეთთან მატჩის მეორე დღეს კლაუს ტოპმიოლერი გესაუბრა. რა გითხრა ეროვნული ნაკრების თავკაცმა?**

- დიახ, საუბარი ჩვენ მართლა ვისაუბრეთ. მწვრთნელმა ამიხსნა, რატომ არ მათამაშა, მითხრა, შენი პოტენციალის ფეხბურთელმა ეროვნულში მოკლე ხანში უნდა შეძლოს ადგილის დამკვიდრება და ამაზე იმუშავეო. ტოპმიოლერის ეს სიტყვები მესიამოვნა და დიდი პასუხისმგებლობაც ვიგრძენი.

**- რალფ მინგემ თქვა, ივნისში, ეროვნულის გარდა, 21-წლამდელებს უწევთ თამაში და ფეხბურთელები ნაკრებ გუნდებში სწორად უნდა გადავანაწილოთო. მაგალითად, სჯობს, მერებაშვილმა 21-წლამდელებში ესპანეთთან ითამაშოს, ვიდრე ეროვნულში გამოვიძახოთ და დროის უმეტესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატაროსო...**



- დიახ, მესმის. მწვრთნელებმა უკეთ იციან, თუ როგორ გადაანაწილონ ფეხბურთელები, რომ არცერთი ნაკრები არ დაზარალდეს. ახალგაზრდა ვარ და ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა.

**- 5 მაისს "ოლიმპთან" მნიშვნელოვანი მატჩი გელით. შეძლებთ მოგებასა და ჩემპიონობას?**

- მეორე წრე ახალი დაწყებული იყო, როცა სათამაშო კალენდარში ჩავხედე და დავასკვენი, რომ "ოლიმპთან" მატჩი გადამწყვეტი იქნებოდა. "ზესტაფონთან" თამაში რომც მოგვეგო, ყველაფერი მაინც რუსთავში გადაწყდებოდა. ასე რომ, 5 მაისის მატჩისთვის კარგა ხანია, ვემზადები. საერთოდ, ჩვენს გუნდში ჩინებული ატმოსფერო და საბრძოლო განწყობაა.

რაც შეეხება კითხვას, გული მიგრძნობს, რომ ამ თამაშს მოვიგებთ და ჩემპიონებიც გავხდებით. სამწუხაროდ, რუსთავში, მიხეილ ხუციშვილი არ გვეყოლება, რომელიც წინა ტურში მსაჯმა დაუმსახურებლად გააძევა. ხუციშვილის გამოკლება მცირედი დანაკლისი არაა, მაგრამ მჯერა, რომ მაინც შევძლებთ მოგებას.

**- ამ მატჩს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი დაესწრება. ეს ფეხბურთელებისა და პირადად შენთვის დამატებითი სტიმული იქნება თუ, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიურ წნეხი?**

- არა, შებოჭილი არ ვიქნები. პირიქით, ეს მომენტი ჩემთვის სტიმული იქნება და, ალბათ, ფეხბურთელებისთვისაც. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს წარმატებაში საკუთარი წვლილი შევიტანო.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერაციის ამხანაგობა ბრიტანელებთან

ჯერ კიდევ შარშანწინ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოში ფეხბურთის განვითარების პროგრამას შეიმუშავებდა, თუმცა ასეთი პროგრამა არა და არ ჩანდა.

იდეა კი არსებობას განაგრძობდა და საქმეც თურმე წინ მიდის. ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** გვაცნობა, რომ ფედერაციამ პროგრამა უკვე შეადგინა, მაგრამ ყოველივე ამით როდი დასრულდება - ფედერაციას ამ საქმეში ბრიტანული კომპანია SMMI დაეხმარება.

ფედერაციამ პროგრამა უეფას გააცნო და სწორედ უეფამ ურჩია SMMI-სთან თანამშრომლობა .

ფედერაციისა და ბრიტანელების ურთიერთობა დაახლოებით ორ თვეს გასტანს და პროგრამაც მერელა გამოქვეყნდება, რომელიც ხუთწლიანი იქნება.

დღეს კი ფედერაცია და ბრიტანული კომპანია კონტრაქტს გააფორმებენ და საამისო პრესკონფერენციაც გაიმართება.

**დავით თავართქილაძე**

დილა

# უმაღლესიდან უმაღლესში

როგორც გახსოვთ, გორის "დილაში" სასიკეთო ძვრები ამ წლის დასაწყისში დაიწყო. კლუბის ახალი ხელმძღვანელობა მაშინ აცხადებდა, რომ საკუთარ გეგმებზე უარს პირველ ლიგაში დაქვეითების შემთხვევაშიც არ იტყოდა.

"დილას" უმაღლესში დარჩენის მიზერული შანსებილა აქვს, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ახალი სეზონისათვის გუნდი ფეხბურთელთა უმრავლესობას შეინარჩუნებს და შესაძლოა, შემადგენლობა კიდევ უფრო გაიძლიეროს. მიზანი, რალა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნება და შემდგომში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა იქნება.

ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, კლუბის მესვეურები გორის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის დასრულებას დათქმულ ვადებში ვარაუდობენ. ამას გარდა, ბავშვთა ფეხბურთისთვისაც უფრო მეტი ყურადღების მიქცევას აპირებენ.

"დილის" უმაღლესში დარჩენის ერთადერთ შანსად კლუბების რაოდენობის გაზრდა რჩება, თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კალაძის 7,5

"მილანი"-"მანჩესტერის" მატჩი **კახა კალაძემ,** ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა. საქართველოს ნაკრების კაპიტანს მონდომება "ლა გაძეტა დელო სპორტმა" დაუფასა, მიმოხილვაში დადებითად დაახასიათა და მისი თამაში საკმაოდ მაღალი ბალით, 7,5-ით შეაფასა.

ალსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლით, კალაძე მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მილანელთაგან მასზე მაღალი შეფასებები დაიმსახურეს **ამბროზინიმ** (8,5), **გატუზომ, ზეედორფმა** და **კაკამ** (სამივემ - 8). "მანჩესტერის" შემადგენლობაში საუკეთესოდ **სქოულზი** დაასახელეს 6,5 ქულით.

იმედია, კახა სეზონის დარჩენილ ნაწილში მაინც იქნება ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი. ვნახოთ, რას გადაწყვეტს **ანჩელოტი პაოლო მალდინის** გამოჯანმრთელების შემდეგ. არაა გამორიცხული, კალაძემ დაცვის მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლოს და ჩეხი **მარეკ იანკულოვსკის** ადგილი დაიკავოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



აილებს რევიშვილი ?

# ყაზანი რევიშვილს ითხოვს

"რუბინის" ვებგვერდმა გულშემატკივრებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. ქომაგებს აზრი გუნდის მეკარეთა შესახებ უნდა გამოეთქვათ. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 60 პროცენტი "რუბინის" საუკეთესო გოლკიპერად **ნუკრი რევიშვილს** მიიჩნევს. მათი აზრით, ახალგაზრდა ქართველ მეკარეს მხოლოდ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და სტაბილურობას აუცილებლად მიაღწევს.

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, დროა, "რუბინის" მთავარმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** არადამაჯერებლად მოთამაშე ვეტერანი ლატვიელი **ალექსანდრ კოლინკო** ძირითადიდან ამოაგდოს და რევიშვილს თავის გამოჩენის შანსი უფრო ხშირად მისცეს. შეგახსენებთ, ნუკრი ყაზანურ კლუბში კვლავ სარეზერვო მეკარედ რჩება და მატჩების უმეტესობას კოლინკო ატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქომაგთა ლიგა ნემსაძეს ემხრობა

**გუშინ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის სხდომაზე გადაწყდა: ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ლიგა გიორგი ნემსაძის კანდიდატურას მიემხრობა.**

**სხდომას ლიგის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ პეტრიაშვილი უძღვებოდა და მხარდაჭერა ასე დაასაბუთა:**

- ჩვენ წინა არჩევნებშიც ვმონაწილეობდით, სამწუხაროდ, ნოდარ ახალკაცი უკონკურენტოდ დარჩა და გაიმარჯვა. მას შემდეგ ჩასაფრებულის პოზიცია არ დაგვიჭერია, პირიქით, თანამშრომლობის მიზნით, სამჯერ ვთხოვეთ შეხვედრა, მაგრამ მან არ ისურვა.

ნოდარ ახალკაცისგან განსხვავებული პოზიცია ნაკრების მწვრთნელისადმი დამოკიდებულების გამოც გაგვიჩნდა. ჯერ უცხოელი მწვრთნელის წინააღმდეგი იყო და სახელმწიფოს თანხით ინფრასტრუქტურის განვითარებას აპირებდა. შემდეგ რადიკალურად შეიცვალა აზრი, ძვირადღირებული სპეციალისტი ჩამოიყვანა და ნაკრებისთვის ყველაფერი გაიწირა, მაგრამ რა შედეგი მივიღეთ?

მეორე გაუგებრობა ფან-კლუბის გამო მოხდა. იცოდნენ, რომ ქომაგთა ლიგა არსებობდა და ნაცვლად იმისა, ნაკრებზე შეყვარებული ადამიანების გაერთიანება ეცადათ, რატომღაც ჩვენ არც დაგვკავშირებიან. ფანკლუბს არ ვუპირისპირდებით, პირიქით, საქმის ერთად კეთება აჯობებდა, მაგრამ ფედერაციამ არც ეს არ ისურვა.

**- გიორგი ნემსაძეს მხარს რატომ უჭერთ? იმიტომ რომ ახალკაცი არ მოგწონთ?**

- ეს არაფერ შუაშია, ჩვენ ვინმეს საწინააღმდეგოდ კი არ მივდივართ, საუკეთესო ვარიანტს ვემხრობით.

**- გიორგისთან საერთო რა გამონახეთ?**



შეხვედრაზე ქომაგთა ლიგაში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

- ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ჯერ კიდევ წინა არჩევნების დროს დაემთხვა და ახლაც ბევრი საერთო აღმოვაჩინეთ.

**- კვარაცხელიას თაობაზე რას იტყოდით?**

- მამუკა ჩვენი მეგობარია. ბოლოს და ბოლოს, ერთად დავაფუძნეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. კვარაცხელიას პროგრამაც მოგვწონს, მაგრამ ამჟამად ყველაზე სასურველი ნემსაძის პრეზიდენტობაა.

ინფრასტრუქტურის განვითარება და რეგიონების გამოცოცხლება ის ორი ძირითადი პუნქტია, რომელიც ჩვენ და ნემსაძეს გვაერთიანებს. რა ხდება რეგიონებში? სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, იმერეთში? ნებისმიერი რეგიონი აიღეთ, ყველგან სავალალო მდგომარეობაა. ერთია მაღალფარდოვანი ფრაზები ფეხბურთის განვითარებაზე და მეორეა ფაქტები - ბათუმის სტადიონი დაანგრიეს, ავლაბარში სახლები წამოჭიმეს, "შევარდენი" და "სინათლე" გასხვისებულია. ეროვნული ჩემპიონატი სკოლების დონეზე დაეშვა, გარიგებული თამაშების რაოდენობით საბჭოთა პერიოდის საქართველოს ჩემპიონატს ემსგავსება, ხალხი უცხოეთში გარბის, აზერბაიჯანში ორმოცამდე ქართველი თამაშობს, ინგლისსა და იტალიაში კი არა! ამას როგორ შევეგუოთ?

მოკლედ, ფედერაციის მხარდაჭერის საფუძველი არ გვაქვს, ნემსაძის პიროვნული ავტორიტეტი და ნესიერება კი ჩვენთვის უფრო მისაღებია.

**მერაბ მამულაშვილი**



ომარ თეთრაძე

# თეთრაძის შეგონება ქართველებისთვის: გადაეწყვეთ რუსულად

მახაჭყალის "ანჟი" რუსეთის ოცდაორგუნდიან პირველ დივიზიონში მეოთხე ადგილზეა. ამ გუნდში სამი ქართველი ფეხბურთელია, მთავარი მწვრთნელი კი **ომარ თეთრაძეა,** თბილისის "დინამოს" და რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი.

თეთრაძე საქართველოდან გულნატკენი წავიდა. "დინამოდან" გაუშვეს და ოზურგეთის "მერცხალში" გადავიდა. მისთვის აქ რამდენჯერმე წამოუძახებიათ, რომ ბერძნული წარმოშობისაა. თეთრაძემ ბევრ რამეს გაუძლო და მაინც გაიკაფა გზა. ვინ დაიჯერებდა, რომ "მერცხალის" ფეხბურთელი რამდენიმე წლის შემდეგ სერია A-ს "რომაში" ითამაშებდა.

"მერცხალიდან" მოსკოვის "დინამოში" გადასვლაც არ იყო პატარა ამბავი. მერე "ალანიაში" მივიდა, ხოლო 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისში ისე გამოირჩა, რომ მისით "რომა" დაინტერესდა და ტრანსფერიც გაიჩარხა. თეთრაძემ იტალიაში მძიმე ტრავმა მიიღო, სერია A-ში ცოტა ითამაშა, მაგრამ ყოველივე ეს უკვე წარმატება იყო ერთ დროს ოზურგეთის "მერცხალში" მოთამაშე ფეხბურთელისთვის.

წინა სეზონში თეთრაძე რუსული პრემიერლიგის "კრილიაში" მთავარი მწვთრნელის **გაჯი გაჯიევის** თანაშემწე იყო, წლეულს კი დამოუკიდებლად შეუდგა მწვრთნელობას.

"ანჟი" არასდროს ყოფილა მდიდარი კლუბი, მეტწილად ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება და დიდი წარმატებებისთვის არ იქაჩება, თუმცა ახლა რიგიანი შანსი აქვს, პრემიერლიგაში ალზევებისთვის სერიოზულად იბრძოლოს.

*"კლუბის პრეზიდენტს ჩვენთვის პრემიერლიგაში გადასვლა არ მოუთხოვია. "ანჟისთვის" მთავარია, ათეულის ქვემოთ არ ჩამოვიდეს, თუმცა იმის ძალაც შეგვწევს, რომ ჩვენზე წინ მყოფ სამ გუნდს, "შინიკს", "ნოსტასა" და "ტერეკს" - მძაფრი კონკურენცია გავუწიოთ"* - გვითხრა თეთრაძემ, ვინც ქართულად უწინდელივით კარგად ველარ საუბრობს და ინტერვიუს რუსულად გაგრძელება შემოგვთავაზა.

რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან თეთრაძე საუკეთესოდ **მალხაზ ასათიანს** მიიჩნევს, ხოლო **გოგიტა გოგუაზე** გვითხრა, შარშან ჩინებული სეზონი ჰქონდაო. ამის მერე კი თეთრაძეს "ანჟის" ქართველებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

*"გოჩა ხოჯავას მანამდეც კარგად ვიცნობდი. მისი თამაში პირველად სამი წლის წინათ ვნახე, როცა ის "თბილისის" ფეხბურთელი იყო და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ის "კრილიაშიც" იყო გასინჯვაზე. ხოჯავა დიდი პოტენციალის ფეხბურთელია, მაგრამ ეს მოედანზე სრულად უნდა გამოავლინოს"* - მოგვახსენა თეთრაძემ და მერე ზურაბ არზიანზეც გვითხრა - *"ის ძალიან ახალგაზრდაა და უკვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, რაც ცოტას არ ნიშნავს".*

22 წლის გამთამაშებელ **ხოჯავას** და 19 წლის მცველ **არზიანს** თეთრაძემ საერთო ნაკლი გამოუძებნა - თუ მათ წინსვლა სურთ, ისე უნდა გადაეწყონ, როგორც ამას რუსული ფეხბურთი მოითხოვსო.

და რა არის რუსული ფეხბურთი?

*"სწრაფი თამაში და ის, რომ ბურთისგან დროულად უნდა გათავისუფლდე"* - გვიპასუხა თეთრაძემ.

ხოჯავას მიკროტრავმა აწუხებს და მცირეხნიანი უქმობა უწევს. უახლოეს ტურებში ვერც 28 წლის **კახა მჟავანაძე** დაეხმარება "ანჟის", რამეთუ საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი სავიზო პრობლემების გამო კლუბში მოგვიანებით ჩავიდა - რუსეთის პირველ დივიზიონში უკვე რვა ტური ნათამაშები. *"მჟავანაძე ახლა ინდივიდუალური პროგრამით ემზადება და დიდი დრო არ დასჭირდება, გუნდთან ერთად რომ დაიწყოს ვარჯიში. მას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში, თუმცა მე მას მაინც უფრო მარჯვენა მცველად მივიჩნევ".*

37 წლის თეთრაძის წლევანდელი სეზონი ახალი გამოწვევაა. ის შეუპოვარია და მორიგი ბრძოლის გადატანა არ უნდა გაუჭირდეს, თანაც კარგი მასწავლებელიც ჰყავს. *"პირველი სეზონია, გუნდს დამოუკიდებლად რომ ვწვრთნი და მწვრთნელობის დიდი გამოცდილება ვერ მექნება. ამიტომაც ხშირად ვურეკავ გაჯი გაჯიევს. ის ჩემი მასწავლებელია და ახლაც ხშირად ვიღებ მისგან რჩევებს"* - გვითხრა თეთრაძემ, ვინც გაჯიევის შეგირდი პირველად მაშინ იყო, როცა "ანჟიში" **კახა ცხადაძესთან** ერთად თამაშობდა.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# სირაძემ სეზონი დაასრულა...

"აუეს" ვებგვერდს თუ ვენდობით, ამ სეზონში **დავით სირაძეს** მოედანზე ვეღარ ვიხილავთ. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინათ ქართველმა ფორვარდმა "პადერბორნთან" გააფორმა კონტრაქტი, რის შემდეგაც "აუეს" რიგებში მხოლოდ რამდენიმე წუთით ითამაშა. გარდა იმისა, რომ გუნდის მწვრთნელებს სხვაგან მიმავალი ფეხბურთელის ძირითადში დაყენება არ სურთ, სირაძეს ტრავმაც აქვს, რის მკურნალობასაც, გერმანული პრესის ცნობით, დაახლოებით ორი კვირა უნდა დასჭირდეს. მეორე ბუნდესლიგის დასრულებამდე კი სამიოდე ტურიღაა დარჩენილი.



დავით სირაძე

"აუე" 43 ქულით მე-9 ადგილზეა და კარგა ხანია, რაც "ოქროს შუალედში" დაიგულა თავი. რეგიონალლიგაში გავარდნის საფრთხე მას ემუქრება.

დანარჩენ მეორებუნდესლიგელ ქართველებს რაც შეეხება, "კიკერი" კარლცაისელებს, **გიორგი ლომაიასა** და **მიხეილ აშვეთიას**, ასევე ფრაიბურგელ **ალექსანდრე იაშვილსა** და მიუნხენელ **მათე ღვინიანიძეს** ამ ტურში ძირითადში მოხვედრას უწინასწარმეტყველებს. როგორც გახსოვთ, აშვეთიამ ტრავმის გამო, რამდენიმე მატჩი გამოტოვა. "კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგაში დარჩენას ცდილობს, "ფრაიბურგი" "დუისბურგსა" და "ფიურტთან" ერთად, პირველი ბუნდესლიგის მესამე საგზურისთვის იბრძვის, ფინკეს გუნდი ხვალ "პადერბორნს" მასპინძლობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე ინწკირველი (24)

# ქართველი მცველები აზერბაიჯანში

## გოლი და ავტოგოლი

აზერბაიჯანში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, რის შედეგადაც ბაქოს "ნეფთჩიმ" ლიდერობა შეინარჩუნა, თუმცა ლენქორანის "ხაზარი" ისევ ქულით ჩამორჩა. ლენქორანის საქალაქო სტადიონზე 10 ათასზე მეტი მაყურებელი შეიკრიბა, "ხაზარმა" 4:1 დაამარცხა "არაზი". **ვალერი აბრამიძემ** შეუცვლელად ითამაშა. ბაქოში "შაფას" სტადიონზე მხოლოდ 400 გულშემატკივარმა იხილა მატჩი, სადაც "ინტერი" 1:1 დაუზავდა "ქარვანს". 39-ე წუთზე "ქარვანის" ცენტრალურმა მცველმა **ალექსანდრე ინწკირველმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. სტუმართა რიგებში არ უთამაშიათ **გოჩა ტრაპაიძესა** და **რომან ახალკაცს**. "ყარაბაღმა" სტუმრად 3:0 მოუგო "გენჩლერბერლიის", **გოგა ბერაიამ** 90 წუთი ითამაშა გამარჯვებულთა შორის.

გუშინ **გიორგი ადამიას** "ნეფთჩიმ" სტუმრად 1:0 "სიმურგი" დაამარცხა **ზაურ ტაგიზადეს** გოლით. "თურანი" შინ 1:1 დაუზავდა "შაჰდაღს". **ირაკლი ვაშაკიძემ** მე-20 წუთზე გახსნა ანგარიში, თუმცა "თურანმა" ვერ შეძლო მოგება, 88-ე წუთზე **ტაჯანიმ** "შაჰდაღს" ქულა მოუტანა. "ნეფთჩი" 45 ქულით ლიდერობს, 44 ქულით მეორეა "ხაზარი", მესამეზე "ბაქი" 39 ქულით. შემდეგი ტური 7 მაისს გაიმართება, თუმცა მთავარი მატჩი 8 მაისსაა - "ნეფთჩი" "ბაქის" უმასპინძლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართველები უმწვრთნელებოდ

ჩვენს სამეზობლოში მეტად უცნაური საფეხბურთო პირველობა იმართება. სომხეთის ჩემპიონატში 8 კლუბი თამაშობს, ტურნირის დაწყებიდან სამი ტური გავიდა და უკვე სამმა გუნდმა შეიცვალა მწვრთნელი. ყველაზე მეტად უცნაური ისაა, რომ გადააყენეს პირველ და მეორე ადგილზე მყოფი კლუბების მთავარი მწვრთნელები. **სამველ პეტროსიანის** "პიუნიკი" 9 ქულით ლიდერია, თუმცა პეტროსიანმა თასის ნახევარფინალში მარცხის გამო სამსახური დაკარგა. თანამდებობიდან გადადგა მეორეადგილოსანი კაპანის "განძასარის" მთავარი მწვრთნელი **სურენ ბარსეგიანი**. არადა "განძასარი", რომლის რიგებშიც სტაბილურად თამაშობს ქართველი **გაგა თბილაშვილი** 7 ქულით ტურნირის აღმოჩენაა. ქულა არა აქვს "ულისს", რომლის მწვრთნელის **არსენ ჩილინგარიანის** გათავისუფლება უკვე ლოგიკურია. "ულისში" **გიორგი ხუციშვილი** და **გიორგი სულაბერიძე** თამაშობენ, მესამე ტურში ერევნული კლუბი სტუმრად "ბანანცთან" 0:2 დამარცხდა, "განძასარი" კი "კილიკიას" დაუზავდა - 0:0.

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# დიდი ზეიმი ახალციხეში

**XXX ტური**

| | |
|---|---|
| მესხეთი-გურია | 8:1 |
| რაჭა-მგლები | 2:2 |
| ნ. დინამო-მეშაქრე | 1:3 |
| გაგრა-ჩიხურა 2 | 5:0 |
| მაღაროელი-სამტრედია | 2:0 |
| ამერი 2-სპარტაკი | 5:1 |
| ზესტაფონი 2-ვიტ ჯორჯია 2 | 3:1 |
| მერცხალი-ოლიმპი | 1:1 |
| დინამო 2-მეშახტე | 0:2 |

"მესხეთის" ფეხბურთელებმა ახალციხელ გულშემატკივრებს დაუვიწყარი საღამო აჩუქეს. მასპინძლები "გურიას" იოლად რომ დაამარცხებდნენ, ამაში კი დარწმუნებულნი ვიყავით, მაგრამ 8:1 ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენი იყო. გადაჭედილმა სტადიონმა შესანიშნავი თამაში იხილა, "მესხეთმა" უმაღლესი ლიგის საგზური გუშინ გაიფორმა და დღეიდან მის წევრებს მშვიდად შეუძლიათ მომავალ სეზონზე იფიქრონ. სხვათა შორის, "გურიამ" ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, მაგრამ შემდეგ ველარაფერი გააწყო. ვინძლო ახალციხელებს მეტოქე ასეთი სასტიკი ანგარიშისთვის არ გაემეტებინათ, მაგრამ პირველ წრეში ლანჩხუთში ჩაშლილი მატჩი და ცემა-ტყეპა მწარედ ახსოვდათ.

*"ახალციხეში კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ მაყურებელი მაინც არ გვაკლდა. უბედნიერესი ადამიანი ვარ, ჩვენმა შრომამ ნაყოფი რომ გამოიღო, ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რომ მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ღირსეულად ვიასპარეზოთ. დიდი მადლობა ჩვენს ყველა თანამდგომსა და გულშემატკივარს"*, - ამბობს "მესხეთის" მთავარი მწვრთნელი **კობა თედიაშვილი**.

"რაჭამ" კიდევ ერთ საბრძოლო ფრეს მიაღწია და ალბათ, პირველ ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. ეს კი კატასტროფულად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ, პატარა სასწაულია.

სეზონის დასრულებამდე ყურადღება მთლიანად მესამე, საფლეიოფო პოზიციისთვის ბრძოლაზე უნდა გადავიტანოთ. პრეტენდენტი კვლავინდებურად, სამია. "მეშაქრეს", "გაგრასა" და "მაღაროელს" გადათამაშებაში მოხვედრის დაახლოებით თანაბარი შანსი აქვთ. ძალიან ბევრს გადაწყვეტს მომდევნო ტურის მატჩი. 7 მაისს "მაღაროელი" "გაგრას" უმასპინძლებს, შესაბამისად, დიდია იმის ალბათობა, რომ ფლეიოფისთვის რეალურად მებრძოლთა რიცხვი შემცირდეს. აქვე ამ სამეულის დარჩენილი შეხვედრების განრიგს გაეცანით და მათ საუმაღლესო შანსებზე თავად იმსჯელეთ. მორიგი გამარჯვება გუშინ სამივემ უპრობლემოდ მიითვალა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**XXXI ტური. 7 მაისი**

მაღაროელი-გაგრა
მეშაქრე-მესხეთი

**XXXII ტური. 14 მაისი**

ზესტაფონი 2-მეშაქრე
გაგრა-სპარტაკი
დინამო 2-მაღაროელი

**XXXIII ტური. 18 მაისი**

მეშაქრე-რაჭა
დინამო 2-გაგრა
მაღაროელი-მერცხალი

**XXXIV ტური. 23 მაისი**

ამერი 2-მეშაქრე
გაგრა-მგლები
ნ. დინამო-მაღაროელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 30 | 22 | 3 | 5 | 52-21 | 69 |
| 2. მესხეთი | 29 | 20 | 4 | 5 | 59-17 | 64 |
| 3. მეშაქრე | 30 | 14 | 9 | 7 | 38-26 | 51 |
| 4. გაგრა | 30 | 15 | 5 | 10 | 47-34 | 50 |
| 5. მაღაროელი | 30 | 13 | 8 | 8 | 44-31 | 50 |
| 6. ამერი 2 | 30 | 13 | 10 | 7 | 51-34 | 49 |
| 7. ვიტ ჯორჯია 2 | 30 | 14 | 6 | 10 | 51-28 | 48 |
| 8. ოლიმპი | 30 | 13 | 8 | 9 | 49-33 | 47 |
| 9. ნ. დინამო | 29 | 13 | 4 | 12 | 45-43 | 43 |
| 10. სამტრედია | 30 | 11 | 8 | 11 | 28-38 | 41 |
| 11. მეშახტე | 30 | 11 | 6 | 13 | 42-38 | 40 |
| 12. დინამო 2 | 30 | 9 | 10 | 11 | 48-33 | 37 |
| 13. ზესტაფონი 2 | 30 | 9 | 10 | 11 | 28-31 | 37 |
| 14. რაჭა | 29 | 7 | 11 | 11 | 28-41 | 32 |
| 15. ჩიხურა 2 | 30 | 8 | 4 | 18 | 25-56 | 28 |
| 16. სპარტაკი | 29 | 7 | 4 | 17 | 18-44 | 25 |
| 17. გურია | 30 | 6 | 6 | 18 | 29-70 | 24 |
| 18. მერცხალი | 29 | 2 | 5 | 22 | 20-81 | 11 |

# სკოლბურთი პეპსის თასზე

4 მაისს ვერის პარკის ღია სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება "სკოლბურთის" ტურნირი "პეპსის" თასზე. ტურნირში თბილისისა და სხვადასხვა რეგიონის 500-მდე სკოლაა ჩართული. ასპარეზობა ორ თვეს გაგრძელდება და მასში 10-დან 12 წლამდე ასაკის 5 ათასამდე ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. ტურნირის გენერალური სპონსორია კომპანია "პეპსი". გამარჯვებულ გუნდს კომპანიის თასი გადაეცემა. ასევე, ორგანიზატორების მიერ დაჯილდოვდებიან ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები.

"სკოლბურთი" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებისა და თბილისის მერიის ხელმძღვანელობით უკვე მეორედ ტარდება. ასპარეზობის ორგანიზატორის, "ეზოს ფეხბურთის ასოციაციის" ინიციატივით, შეჯიბრის გეოგრაფია შარშანდელთან შედარებით გაიზარდა და ამჯერად მასში თითქმის მთელი საქართველოა ჩართული. "სკოლბურთის" პოპულარობის ზრდაზე გენერალურ სპონსორთან გაფორმებული ოთხწლიანი მემორანდუმიც მეტყველებს.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ჯანმრთელი თაობის აღზრდას და ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენას. "სკოლბურთის" ორგანიზატორები და "პეპსი" იმედოვნებენ, რომ მომავალში ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა უფრო გაიზრდება, რაც მოზარდებში ფეხბურთის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

"სკოლბურთის" გახსნის ცერემონიალი 4 მაისს, ვერის ბაღში 16:00 საათზე გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის მერი გიგი უგულავა, კულტურისა და განათლების მინისტრები და კომპანია "პეპსის" წარმომადგენლები. გაიმართება კონცერტი.

*საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია*

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

CHAMPIONS LEAGUE



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# გრანდე, გრანდე, გრანდე... მილან იუნაიტედ!



კალაძე და თანაგუნდელები გამარჯვებას ზეიმობენ

**მილანი–მანჩესტერი 3:0 (2:3)**

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო (84. კაფუ), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა (86. ფავალი), ინძაგი (67. ჯილარდინო).

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში (77. საა), ბრაუნი, ჰაინცე, ვიდიჩი, ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო, რუნი, გიგზი.

**გოლები:** 1:0 კაკა (11), 2:0 ზეედორფი (30), 3:0 ჯილარდინო (78)

**მაყურებელი:** 67 500

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

"გრანდე, გრანდე, გრანდე". ეს სიტყვები ერთი ძველი, ყველა დროის ჰიტად ქცეული იტალიური სიმღერიდანაა, **მინას** შესრულებით. ეს სიტყვები, უშველებელი შავ-წითელი ასოებით დაწერილი, გუშინდელი "გაძეტა დელო სპორტის" პირველ გვერდს ამშვენებდა. სამგზის "გრანდე", როგორც ის სამი დიდი გოლი. თავსხმა მილანურ წვიმაში "მილანმა" თავისებურად დაიჭექა. დილიდან გადაუღებლად წვიმდა, ინგლისური ამინდია, "მანჩესტერისთვის" ზედგამოჭრილიო, ფიქრობდნენ. **ადრიანო გალიანის** წვიმა სხვა რამეს ეუბნებოდა – პირიქით, ცამ "სან სირო" გვიკურთხაო. მართლა კურთხეული გამოვიდა ოთხშაბათის წვიმა "როსონერისთვის": ციდან წამოსულ წყალს წყალივით მიჰყვა **კაკას, ზეედორფისა და ჯილარდინოს** ღვთაებრივი გოლები. წყალწაღებულ "მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი ფეხბურთის 90-წუთიანი გაკვეთილი ჩაუტარეს. "ლივერპულს" კი გამაფრთხილებელი შეტყობინება გაეგზავნა: ამჯერად, ათენურ ფინალში **ბენიტესი** სხვა გუნდს შეხვდება – ნამდვილ "მილან იუნაიტედს", ალრენილს, როგორც **გატუზო** და შურისძიებაზე მეოცნებეს, როგორც **ბერლუსკონი**. სტამბოლის ფინალი არავის დავიწყებია. როცა წინა დღით "ლივერპულმა" "ჩელსი" გააგდო, "მილანში" უკვე იცოდნენ, რომ ეს განგების საჩუქარი იყო და მისი არგამოყენება ცოდვის ტოლფასი იქნებოდა.

ეს იქნება "მილანის" მე-11 ჩემპიონთალიგური ფინალი და თასის მეშვიდედ მოპოვების შანსი. და თუ **ანჩელოტის** გუნდი ათენშიც ასე ითამაშებს, ძნელად წარმოსადგენია, რომ ტიტული კიდევ ერთხელ გააჩუქოს. მაგრამ იმის მოლოდინში, თუ რა იქნება 19 დღის შემდეგ, ხაზი უნდა გაესვას მთელი გუნდის ბრწყინვალე გამოსვლას. ყველა მილანელი უნაკლო იყო, ამიტომ ამ გამარჯვებას ანჩელოტის შედევრი შეიძლება ეწოდოს. მწვრთნელმა ყველა სვლა გამოიცნო. ტრიუმფის გზა კაკამ გახსნა, ზეედორფმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ტაქტიკური გამჭრიახობა, **ამბროზინიმ** ღირსეულად ატარა კაპიტნის სამკლაური და საუკეთესო იყო, **გატუზო**, გარდა იმისა, რომ **კრისტიანო რონალდოს** ფეხი არ გაანძრევინა, პარტნიორებისა და ტიფოზების შენჯღრევასაც ასწრებდა, **კალაძემ მალდინი** ყველას დაავიწყა. 2 მაისი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ბედნიერი თარილი "მილანისთვის". ზუსტად სამი წლის წინათ "როსონერიმ" "სან სიროზე" "რომას" მოუგო და თავისი ბოლო სკუდეტო იზეიმა. ამჯერად გამარჯვება კიდევ უფრო ადვილად მოვიდა – იმდენად ადვილად, რომ თამაშის წინ ამას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. კიდევ უფრო წარმოუდგენელი იყო "მილანის" ფინალისტობა ამ გრძელი და მძიმე გზის დასაწყისში, რომლის ინაუგურაცია 9 აგვისტოს საკვალიფიკაციო ეტაპზე "ცრვენა ზვეზდასთან" 1:0-ზე გამარჯვებისას შედგა.

"ოლდ ტრაფორდის" შეხვედრასთან შედარებით, "მილანის" შემადგენლობაში ორი ცვლილება მოხდა: ტრავმირებული მალდინი კალაძემ შეცვალა, ცენტრფორვარდის ადგილი კი ანჩელოტიმ **ინძაგის** ანდო. ფერგიუსონმა დაცვის ცენტრში სერბი **ვიდიჩი** დაიბრუნა, **ჰაინცე** კი მარცხნივ დააბრუნა დისკვალიფიცირებული **ევრას** შესაცვლელად. მაგრამ ტაქტიკის მხრივ მაინც არაფერი შეცვლილა: "მილანი" ისევ 4-3-2-1-ით წარსდგა (ზეედორფი და კაკა ინძაგის უკან), ისე როგორც "მანჩესტერმა" შეინარჩუნა 4-2-3-1. ინგლისელების ერთადერთი ფორვარდი **რუნი** იყო, კრისტიანო რონალდომ კი თავიდანვე მარცხნივ დაიწყო, იმ იმედით, რომ მეტ თავისუფლებას ნახავდა **ოდოსთან**, ვიდრე **იანკულოვსკისთან**. მაგრამ მცდარი სვლა აღმოჩნდა, რადგან პორტუგალიელის წინააღმდეგ ოდო მარტო ერთხელაც არ დარჩენილა, ექს-ლაციალეს იდეალური მზღვეველი ჰყავდა დაქოქილი გატუზოს სახით. ამიტომ აღარ კმაროდა სქოულზის პრესინგი **პირლოზე**, რომელიც შესანიშნავად ახერხებდა შეტევებში ჩართვას, მანჩესტერელთა ფლეიმეიქერის განეიტრალების ამოცანას კი ამბროზინის უტოვებდა. "მილანის" წარმატების საიდუმლო სწორედ იმ ცენტრალურ სამკუთხედში იყო, სადაც მანჩესტერელი თეთრები მასპინძლებმა სრულიად შთანთქეს. და რაკი რაინდმა ფერგიუსონმა ისევ არ იკადრა, რომ კაკასთვის პერსონალური მეურვე მიეჩინა (ისე როგორც ეს შარშანდელ ნახევარფინალში **რიიკაარდმა** გააკეთა, როცა **ედმილსონი** მიამაგრა), ბრაზილიელმა ერთი კვირის წინანდელი გაიმეორა. "ოქროს ბურთის" პრეტენდენტს "ოლდ ტრაფორდზე" 22 წუთი დასჭირდა გოლის გასატანად, ამჯერად კი ამ დროის ნახევარში ჩაეტია: მე-11 წუთზე ზეედორფისგან თავით გადმოგდებულ ბურთზე ჰაერში აინია, ცაცია გემრიელად დასცხო და კუთხეში ბილიარდის ბურთივით ჩასვა - 1:0, რომელიც ფინალს უკვე უდრიდა. თამაშების შემოტრიალებით ნაქები "მანჩესტერი" არსად ჩანდა, "მილანი" ისევე აგრძელებდა თამაშს, თითქოს ისევ 0:0 ყოფილიყო: გამბედაობა, კონცენტრაცია, მილიმეტრული სიზუსტე ძალისმიერ ორთაბრძოლებში, გამუდმებული პრესინგი – ამ ყველაფრის შემხედვარე 70 ათასი მილანისტა ყოველ ორ წუთში მქუხარე აპლოდისმენტებით პასუხობდა თავის კერპებს. **გიგზის** ერთ მოკრძალებულ დარტყმას, რომელსაც **დიდა** ორ მოქმედებაში გაუსწორდა, 30-ე წუთზე "მილანის" მეორე, ლოგიკური გოლი მოჰყვა: მანჩესტერელი მცველებისგან ძლივს მოგერიებული ბურთი პირლომ მარჯვენა კუთხურის ალამთან დაიბრუნა და მაშინვე საჯარიმოში ჩააბრუნა, იქ კი ზეედორფმა თავი ორი მცველისგან გაითავისუფლა და ძლიერი დარტყმით იმავე კუთხეში გაიტანა. 2:0, მაგრამ ასე მოთამაშე "მილანისთვის" ესეც ცოტა იყო.

რაკი "იუნაიტედი" პირველ ტაიმში საერთოდ არ ჩანდა, შესვენებისას ფერგიუსონმა საწყისი ტაქტიკა 4-4-2-ით შეცვალა, კრისტიანო რონალდო წინ რუნის შეუწყვილა, გიგზი და **ფლეტჩერი** კი ფლანგებზე, სქოულზისა და **ქერიკის** გვერდით გაამწესა. მაგრამ 8 წუთში კაკამ ვიდიჩი დიდებული ფინტით ჩამოიშორა და **ვან დერ სარის** რეაქცია რომ არა, მესამეს გაიტანდა. ამასობაში წვიმამ გადაიღო და... "მანჩესტერი" გამოცოცხლდა. ინგლისელების შეტევებს უკვე შეტევა ეთქმოდა, მაგრამ დიდას კართან ხიფათი მაინც არ იქმნებოდა. იქ კალაძე და ნესტა ბატონობდნენ. კრისტიანო რონალდომ ორჯერ მოიპოვა ჯარიმის დარტყმის უფლება – ისეთი ადგილებიდან, სახიფათოს რომ ეძახიან, მაგრამ ორივეჯერ "ცოცხალ კედელს" გაარტყა. ეს არ იყო კრისტიანოს დღე. 67-ე წუთზე უბურთოდ სირბილისგან გადაღლილი ინძაგი ჯილარდინომ შეცვალა. 10 წუთში "მილანის" ყველაზე დაუფასებელმა თავდამსხმელმა თავისი სიტყვა თქვა: ამბროზინის ბრწყინვალე პასის შემდეგ ჯილა მეკარის პირისპირ გაიჭრა და ისევ იმ, ვან დერ სარისგან მარცხენა კუთხეში, მესამე, აპოთეოზის გოლი გაიტანა. "სან სიროდან" ათენი გამოჩნდა – ქალაქი, სადაც **კაპელოს** "მილანმა" ჩემპიონთა თასი ერთხელ უკვე იზეიმა, როცა 1994 წელს **კრუიფისა და რომარიოს** "ბარსელონას" დიდი ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარა. ბერლუსკონი ითხოვს, რომ საბერძნეთის დედაქალაქში დიდი ფეხბურთის კიდევ ერთი ფურცელი დაიწეროს და რევანში შედგეს, გრანდე მილანის სტილში.



კარლო ანჩელოტი

მილანი VS მანჩესტერი. გამოხმაურება

# ბერლუსკონი: ყველასა და ყველაფერზე ძლიერები ვართ

## სერ ალექსი ქედს იხრის: მილანი ფანტასტიკაა

2006 წლის 20 ნოემბერს ათენის აეკი "მილანს" ჩემპიონთა ლიგის მორიგ ჯგუფურ შეხვედრაში მასპინძლობდა. "როსონერის" მერვედფინალის საგზური უკვე აღებული ჰქონდა და ეს შეხვედრა მისთვის არაფერს ნიშნავდა. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე **კარლო ანჩელოტიმ** თქვა: *"აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ მოედნის ზომები ავიღოთ. გვაქვს ურყევი რწმენა, რომ 23 მაისს ისევ აქ ვიქნებით"*. ანჩელოტი ერთადერთი იყო იმ დარბაზში, რომელსაც ამისი მაშინ მართლა სჯეროდა. დიდი ეჭვები კარლეტოს არასდროს ჰქონია, რადგან "მილანი" ის გუნდია, რომელიც დიდ შეხვედრებში არასოდეს ცდება.

ასე იყო ოთხშაბათსაც, განმეორებით ნახევარფინალში, სადაც ერთი შეცდომაც კი შეიძლებოდა, ფატალური ყოფილიყო. "მანჩესტერი" საშიში მეტოქე იყო, მაგრამ "როსონერი" კიდევ უფრო ძლიერი გამოდგა. *მსოფლიოში არ არსებობს გუნდი, რომელიც "მილანზე" უკეთ ახერხებდეს ასეთი დიდი თამაშებისთვის მომზადებას* – თქვა ნამატჩევს ანჩელოტიმ – *დღევანდელი პირველი ტაიმი ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა. პრეზიდენტი ბერლუსკონი გასახდელში ჩამოვიდა და კომპლიმენტებით აგვავსო. ჩვენი ყველა ფეხბურთელი აპლოდისმენტებს იმსახურებს, დიდადან ჯილარდინომდე, რომლის გოლმაც საბოლოოდ დაგვამშვიდა და გაგვახარა. ძალიან კარგად დაარტყა. თამაში პრესინგზე ავაწყვეთ. ვფიქრობ, სამი ფაქტორი იყო გადამწყვეტი: ჩვენი ნახევარმცველების პრესინგი დაცვით ფაზაში, ადგილის შეცვლა პირლოსთვის, რასაც სქოულზის ჩვეული პოზიციიდან გადაადგილება მოჰყვა და განაპირა მცველების გამუდმებული ჩართვა შეტევებში. ყველაფერი იდეალურად აგვეწყო, ისე, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა"*. ახლა კი ყველას აინტერესებს "მილანის" ხელახალი აღორძინების საიდუმლო. ანჩელოტი: *"იანვრიდან მოყოლებული კარგად ვვარჯიშობდით, ათლეტური კონდიციები ნელნელა აღვიდგინეთ და რაც მთავარია, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დავიბრუნეთ. არ არსებობს არანაირი საიდუმლო, მხოლოდ მონდომება და რწმენა."*

წარმატების რწმენა **სილვიო ბერლუსკონის** არასოდეს აკლდა. "ბაიერნთან" პირველ მეოთხედფინალში ნათამაშები 2:2-ის შემდეგ, პრეზიდენტმა "სან სირო" ისე დატოვა, რომ კომენტარი არ გაუკეთებია. უიშვიათესი მოვლენაა, რომ ბერლუსკონი კომენტარს გაურბოდეს. პირიქით, ჟურნალისტებს ის თვითონ ეძებს ხოლმე. ასე იყო ოთხშაბათს, სახეგაბადრული პრეზიდენტი კომენტარებს უხვად არიგებდა: *"ეს იყო ულამაზესი თამაშით მიღწეული გამარჯვება. მოედნის ბატონ-პატრონები ვიყავით, გავიტანეთ, "მანჩესტერს" რეაგირების საშუალება მოვუსპეთ და ბოლოს მესამეც შევაგდეთ. პირველი ტაიმი საოცარი იყო. ბოლო წუთებში თამაში კარგად გავაკონტროლეთ, რაც წინა შეხვედრებში არ გამოგვდიოდა ხოლმე. "მანჩესტერის" წინააღმდეგ "მილანმა" ორი ფორვარდით ითამაშა, იმიტომ, რომ კაკა მეორე თავდამსხმელი იყო. ის ყველაზე დიდი გოლეადორია, იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი, ათი გოლი გაიტანა. როცა შესაძლებლობა მაქვს, ამ გუნდის მოტივატორის როლსაც ვასრულებ ხოლმე, ტექნიკურ შტაბს ყოველთვის ორ ფორვარდს ვთავაზობდი, რადგან "მილანის" მოწოდება შემტევი ფეხბურთია და საამისოდ შესაფერისი ფეხბურთელებიც ჰყავს."*

ასეთი მძიმე სეზონის შემდეგ ევროპულ ფინალში გასვლა ბერლუსკონის ორმაგად ახარებს: *"ურთულესი სეზონი გვქონდა იმის გამო, რომ უსამართლოდ დაგვსაჯეს. ქულების ჩამორთმევამ გუნდის განწყობაზე დამთრგუნველად იმოქმედა. მერე ფორტუნამაც ზურგი გვაქცია: წამყვანი ფეხბურთელების უმრავლესობა თვეების განმავლობაში დაშავებული გვყავდა. მსაჯებიც ცოტა უსამართლოდ უსტვენდნენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ისევ წამოვდექით ფეხზე და დავამტკიცეთ, რომ ყველანაირ შურზე, უსამართლობასა თუ უიღბლობაზე ძლიერები ვართ. სწორედ ეს გახლავთ "მილანის" მისია. ეს მე-11 ფინალი პრესტიჟს მატებს ჩვენს კლუბსა და მთლიანად იტალიურ ფეხბურთს: ათენში შევეცდებით, დავიბრუნოთ ის, რაც "ლივერპულს" სტამბოლში დავუტოვეთ"*.

მწვრთნელი და კაკა პრეზიდენტისგან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ: *"გასახდელში რომ ჩავედი, ძალიან ემოციური მომენტი იყო: ბიჭებს ვუთხარი, წაგების შემთხვევაში ანჩელოტი უნდა გამეშვა-თქო. ცხადია, ვხუმრობდი. ჩვენი მწვრთნელი კიდევ დიდხანს უნდა შევინარჩუნოთ და მხარი დავუჭიროთ... კარლო ჩვენთან კიდევ მრავალ სეზონს გაატარებს, ისე როგორც კაკა, რომელიც შეყვარებულია "მილანზე", ძალიან ახლოს არის პრეზიდენტთან და მწვრთნელთან და აქედან არსად წავა. თამაშის შემდეგ რიკის ათასჯერ გადავეხვიე და გადმოვეხვიე, ის მართლა ულამაზესია. ის ქმარია, რომელსაც ნებისმიერი მშობელი ისურვებდა თავისი ქალიშვილისთვის. როგორც ფეხბურთელი ხომ საერთოდ, ფანტასტიკურია, ნომერი პირველია მსოფლიოში, და ყოველთვის როსონერო იქნება... ახლა "მილანის" ვალია, რომ მთავარი გმირის როლი შეასრულოს იტალიაში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში."*

ნახევარფინალის წინ სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავისთვის პატარა ალიბი გამოიგონა: *"ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგას შორის ერთის არჩევა რომ დამაძალონ, მაშინ ჩემპიონატს ავირჩევდი"*. ეტყობა, გული რაღაცას უგრძნობდა. პრემიერლიგის ტიტული კი თითქმის უკვე მოგებული აქვს, შეიძლება, ამ კვირაშივე იზეიმოს. ევროპას კი კიდევ ერთხელ ემშვიდობება, მაგრამ ამჯერად სქოთს ალიბის პოვნა, მთლიანობაში რომ ავიღოთ, აღარ უცდია. აი, რა თქვა ფერგიმ ნამატჩევს: *"განბილებული ვარ, ძნელია წაგებასთან შეგუება. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ "მილანი" ამ შეხვედრას უფრო მომზადებული შეხვდა. ბურთის დაჭერა ვცადეთ, მაგრამ 0:2-ზე ჩვენი ამოცანა ძალიან გართულდა. "მილანის" თამაში ფანტასტიკური იყო... ჰო, ისინი უფრო მომზადებულები შეგვხვდნენ, უფრო მეტად გვეთამაშებოდნენ პრესინგს და შეხვედრაც ძალიან კონცენტრირებულებმა დაიწყეს, მაგრამ პირველი ორი გოლის თავიდან აცილება თავისუფლად შეიძლებოდა. ორივე ჩვენი ბრალი იყო. კაკა? ბრწყინვალედ მოძრაობდა, მაგრამ მის მეურვეობაში ჩვენც მიგვიძღვის გარკვეული პასუხისმგებლობა. სამწუხაროდ, ევროპულ სარბიელზე "მილანის" გამოცდილება გვაკლია. აი, მთელი განსხვავება."*

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პეპე რეინასთან

# პენალტების დროს ბედი მწყალობდა, მაგრამ ქურდებში არ გამიმართლა

## როცა ლივერპულის მეკარე ჩელსის ფორვარდებს ებრძოდა, ქურდები მის სახლს წმენდდნენ...



მატჩის გმირი პეპე რეინა

„ლივერპულს“ ახალი გმირი ჰყავს. მისი სახელი არც სტივენ ჯერარდია და არც პიტერ კრაუჩი. „წითელი ეშმაკების“ ახალ გმირად პეპე რეინა იქცა. კორდობელმა მეკარემ „ჩელსისთან“ ნახევარფინალურ ორთაბრძოლაში შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნა და საკუთარი კლუბი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. გემახსოვრებათ, ესპანელმა კარის დარაჯმა პენალტების სერიაში არიენ რობენსა და ჯერემი ნჯიტაპს დუელი მოუგო. გადამწყვეტი როლი სწორედ მის მიერ მოგერიებულმა ორმა 11-მეტრიანმა შეასრულა. „ლივერპული“ ათენს გაემგზავრება და კიდევ ერთხელ შეეცდება, „მილანს“ ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტიტული წაგლიჯოს. ბუნებრივია, იტალიელები ვენდეტისთვის ემზადებიან, თუმცა რეინა გვარწმუნებს, რომ მას და მის თანაგუნდელებს „როსონერის“ ოდნავადაც არ ეშინიათ. ინგლისური გრანდის გოლკიპერს ინტერვიუს აღების მიზნით „დიარიო ასის“ კორესპონდენტი ეწვია. პეპე შორი გზიდან ჩასულ თანამემამულეს, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დათანხმდა.

**- პეპე, ნახევარფინალს დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს და შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თამაშით ძალიან კმაყოფილი იყავით...**

- დიახ, ძალიან კარგი მატჩი გამოდგა. „ლივერპული“ პირველ ტაიმში საუცხოოდ გამოიყურებოდა. საწყის ნახევარ საათში დიდი ძალებით ვუტევდით და საგოლე მომენტებს ვქმნიდით. საბედნიეროდ, ერთ-ერთი იერიში გოლით დასრულდა. ეს ბურთი რომ არა, ფინალში ვერ გავიდოდით. სასიამოვნოა, რომ ჩემმა თანაგუნდელებმა „ჩელსის“ ყველა კომპონენტში აჯობეს. ბურთს ფანტასტიკურად ვაკონტროლებდით. თითოოროლა შეცდომას თუ არ ჩავთვლით, დაცვა იმდენად კარგად და გამართულად ასპარეზობდა, პირველ ტაიმში საქმე, ფაქტობრივად, არ მქონია. შესვენების შემდეგ, „ჩელსი“ საგრძნობლად გააქტიურდა. ლონდონელებმა შემოგვიტიეს, მაგრამ „ლივერპული“ სირთულეებს ღირსეულად გაუმკლავდა. საბოლოოდ საქმე პენატებამდე მივიდა. ორი მატჩის პერიპეტიების გაანალიზების შემდეგ, წრფელი სინდისით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემი კლუბი ფინალში სრულიად დამსახურებულად გავიდა.

**- მაგრამ მოურინიომ განაცხადა, შეხვედრა უსამართლო შედეგით დასრულდაო...**

- სულაც არ მიკვირს, რომ წაგებული გუნდის მთავარი მწვრთნელი ამას ამბობს. მოურინიომ ვერ გააცნობიერა, რომ თამაში დასრულდა. მან ბრძოლა საპრესკონფერენციო დარბაზში გადაიტანა, თუმცა ამით ვერანაირი ხეირი ვერ ნახა (იცინის).

**- კუიტს გოლი არ ჩაუთვალეს. ამით შეხვედრა კიდევ უფრო დაიძაბა. გულშემატკივრების ნაწილი მსაჯით ძალიან უკმაყოფილო იყო.**

- თამაში პირველიდან უკანასკნელ წუთამდე დაძაბული და დრამატული სცენარით მიმდინარეობდა. მეხუტო გონსალესმა შესანიშნავად იმუშავა. ის სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა. ჩემი აზრით, მეხუტოს თამაშის სცენარი არ გაუფუჭებია. გაუქმებულ გოლს რაც შეეხება, გულწრფელად რომ გითხრათ, მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გონსალესმა გვერდითი მსაჯის მიერ დაფიქსირებული თამაშგარე მდგომარეობა დააკანონა.

**- თქვენი აზრით, შეხვედრაში გადამწყვეტი მომენტი როდის დადგა?**

- მაშინ, როცა დიდიე დროგბამ შესანიშნავი მომენტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ „ჩელსი“ ველარ გაგვიტანდა. კარგი იქნებოდა, საქმე პენალტებამდე არ მისულიყო და გულშემატკივრებს ამდენი არ ენერვიულათ, თუმცა მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა. დროგბას მიერ გაფუჭებული მომენტის შემდეგ ცაში ავიხედე და ვთქვი, ან ახლა გავალთ ფინალში, ან ალარასოდეს-მეთქი.

**- პენალტების სერიის დანიშვნას როგორი განწყობით შეხვდით?**

- საკმაოდ კარგ ხასიათზე გახლდით. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი და მჯეროდა, რომ არ წავაგებდით. თამაშის დაწყების წინ ურთულესი ამოცანის წინაშე ვიდექით. „ჩელსისთვის“ გოლი უნდა შეგვეგდო და მოწინააღმდეგისთვის გატანის საშუალება არ მიგვეცა. დამეთანხმებით, ეს ყველაფერი არ იყო იოლი. მიუხედავად ამისა, „ლივერპულმა“ ფაქტობრივად, უშეცდომოდ იასპარეზა. მერწმუნეთ, პენალტების სერიის დანიშვნისას წამითაც არ მინერვიულია.

**- 11-მეტრიანების სერიის დაწყებამდე ბენიტესის თანაშემწე რაღაცას გეუბნებოდათ...**

- მას მოწინააღმდეგის შესაძლებლობები კარგად ჰქონდა შესწავლილი. თითქმის ყველა ფეხბურთელზე ფლობდა ინფორმაციას და დაახლოებით იცოდა, ვინ საით დაარტყამდა. მითხრა, არ ინერვიულო და ინსტრუქციების მიხედვით იმოქმედეო. ვუთხარი, საერთოდ არ ვღელავ, ათ წუთში დავბრუნდები და ფინალის საგზურს მოგიტან-მეთქი. ბენიტესმაც მთხოვა, სიმშვიდე არ დამეკარგა. სენიორ რაფამ ისიც მთხოვა, რომ ინტუიციას მივნდობოდი.

**- რობენს ულამაზესი ნახტომით აუღეთ...**

- ჰოლანდიელი ცაციაა და ძირითადად მეკარისგან მარჯვენა კუთხეში ურტყამს ხოლმე. ბედნიერი ვარ, რომ ურთულესი დუელი ჩემი გამარჯვებით დასრულდა.

**- საინტერესოა, პენალტებისას მწვრთნელების კვლევებსა და ინსტრუქციებს რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს?**

- ასეთ დროს სამწვრთნელო შტაბის რომელიმე წარმომადგენელს მოწინააღმდეგის შესაძლებლობების შესწავლა ევალება. რა თქმა უნდა, მათი კვლევა დიდად გვეხმარება, მაგრამ ბევრი რამ ინტუიციასა და იღბალზეა დამოკიდებული.

**- ჰო მართლა, ტრიუმფალური მატჩის შემდეგ სახლში მისულს ცუდი ამბავი დაგხვდათ...**

- როცა სახლს მივუახლოვდი, აღმოვაჩინე, რომ ჩემი მანქანა იქ არ იდგა, სადაც დავტოვე. მეუღლეს ვკითხე, ნეტავ, რაშია საქმე-თქო. იმავე წამს მივხვდი, რაღაც ცუდი ხდებოდა და სახლში შევცვივდით. საშინელი სურათი დაგვხვდა. ყველა ოთახი თავდაყირა იდგა. ქურდებმა იცოდნენ, მთელი ოჯახით თამაშზე ვიყავით და დრო იხელთეს. საშინელი გრძნობა დამეუფლა. სასტიკი წარმოსადგენია, რომ შენს სახლში ვიღაც დადიოდა და ნადავლს ეძებდა. ვაღიარებ, ძალიან შემეშინდა, თუმცა ამ უსიამოვნო ინცინდენტის მიუხედავად, ლივერპულში კომფორტულად ვგრძნობ თავს. ქალაქის ყველაზე მშვიდ და არაკრიმინალურ უბანში დავსახლდით, მაგრამ იმ დღეს ოდნავ არ გამიმართლა. აი, ხომ ხედავთ, პენალტებისას ბედი მწყალობდა, მაგრამ ქურდებში არ გამიმართლა.

**- მანქანაც მოგპარეს?**

- დიახ. ახლა პოლიცია მომხდარს იკვლევს. იმედია, ქურდებს იპოვნიან და დააპატიმრებენ.

**- ფინალში „ლივერპულის“ მეტოქე „მილანი“ იქნება. კიდევ ერთი რანდევუ ორი წლის შემდეგ. რას ფიქრობთ გადამწყვეტ დაპირისპირებასა და მეტოქეზე?**

- ისტორია მეორდება და ეს ყველაფერი ძალიან ლამაზად მოჩანს. ორი წლის შემდეგ კვლავ ფინალში ვართ. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდებმა წარმატება დაიმსახურეს. ღმერთმა ქნას, წელსაც ჩვენ გავიმარჯვოთ. ვიცი, „მილანის“ ვარსკვლავები და მწვრთნელები რევანშზე ფიქრობენ, მაგრამ ისინი ჩვენ ვერ შეგვაშინებენ. „ლივერპული“ პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და თავმოყვარე კოლექტივია. მჯერა, გავიმარჯვებთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**



მიროსლავ კლოზე (მარცხნივ)

ვერდერი. სპეკულაციების დასასრული

# კლოზე: 2008 წლამდე ვერდერში ვრჩები

## და რა მოხდება ერთი წლის შემდეგ?

გუშინ „ვერდერმა“ უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გამართა და ამ შეხვედრის წინ კლუბის ხელმძღვანელებმა გულშემატკივრებს ის უთხრეს, რისი მოსმენაც მთელ ბრემენს ძალიან უნდოდა: **მიროსლავ კლოზემ** საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, მირო სეზონის დასრულების შემდეგ გუნდს არ დატოვებს და კონტრაქტის ამოწურვამდე ბრემენში დარჩება. ძალიან კარგი, ე.ი. სეზონის უმნიშვნელოვანეს ფაზაში გაუთავებელ სპეკულაციებს იმის თაობაზე, რომ კლოზე „ბაიერნსა“ (ზუდდოიჩე ცაითუნგი) და „ბარსელონას“ (შპორტ-ბილდი) მოურიგდა, ბოლო მოეღო, მაგრამ კონტრაქტი მიროს „მუსიკოსებთან“ 2008 წლის ზაფხულამდე აკავშირებს და ისიც ფაქტია, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს. გამოდის, რომ ერთი წლის შემდეგ ის უფასოდ დატოვებს „ვერდერს“. და სად გადავა? ალბათ „ბაიერნში“!

*„მიხარია, რომ ამ საკითხს, ბოლოს და ბოლოს, ნათელი მოეფინა. მიროს სულ სამი ვარიანტი ჰქონდა ასარჩევად – ან ჩვენთან ახლავე უნდა გაეფორმებინა ახალი კონტრაქტი, ან უცხოეთში უნდა წასულიყო, ანაც მოქმედი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, ანუ 2008 წლის ზაფხულამდე ჩვენთან უნდა დარჩენილიყო. მან მესამე ვარიანტი აირჩია და ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ გადაწყვეტილება გაცილებით ადრე მიეღო. ასეთ შემთხვევაში სპეკულაციებს ადგილი აღარ ექნებოდა და მის გვარს ჟურნალისტები წამდაუწუმ ყველა ბრუნვასა და ყველა კლუბთან მიმართებაში აღარ ახსენებდნენ. კიდევ უფრო უკეთესი ის იქნებოდა, რომ ჩვენთან კონტრაქტი გაეგრძელებინა, მაგრამ რას ვიზამთ, ეს მისი გადაწყვეტილებაა. მთავარი ისაა, რომ ყველაფერი გაირკვა და ჩვენც შეგვიძლია, მთლიანად სეზონის ბოლო მატჩებზე გადავერთოთ,“* – განაცხადა ბრემენული გრანდის გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა**. თვითონ კლოზეს, ხსენებულ პრესკონფერენციაზე ახალი და საინტერესო არაფერი უთქვამს, ალოფსის სიტყვები გაიმეორა: *„მიხარია, რომ სპეკულაციებს ბოლო მოეღო.“*

მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ ასეთი განცხადება მხოლოდ და მხოლოდ, ფანების დასამშვიდებლად გაკეთდა. ფაქტი ისაა, რომ სეზონის დასრულებამდე „ვერდერში“ კლოზეს თემასთან დაკავშირებით სიწყნარე დაისადგურებს, მაგრამ როგორც კი სეზონი დამთავრდება, ყველაფერი თავიდან დაიწყება. ყოველივე ზემოთთქმული ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი დამთავრდა. როგორც იცით, „ზუდდოიჩე ცაითუნგი“ იტყობინებოდა, რომ მირო „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს მოურიგდა და რომ გასარკვევი მხოლოდ ისღა იყო, თუ როდის გადავიდოდა გერმანიის ნაკრების ფორვარდი და მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რეკორდმაისტერში – ახლავე, თუ ერთი წლის შემდეგ. „შპორტ-ბილდი“ კი იტყობინებოდა, რომ კლოზეს პირველი არჩევანი „ბარსელონაა“.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ზაფხულამდე კლოზეს ტრანსფერთან დაკავშირებით არანაირი სპეკულაციები აღარ იქნება და ეს „ვერდერის“ წისქვილზე ასხამს წყალს. ალოფსი ჯერ კიდევ სამშაბათ საღამოს ამბობდა, ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ მირომ ზაფხულში „ბაიერნს“ მიაშუროს, ამის წარმოსადგენად ფანტაზია არ მყოფნისო. თუმცა სულაც არაა გამორიცხული, რომ კლოზე და მიუნხენური გიგანტი შეთანხმებულები არიან იმაზე, რომ თავდამსხმელი ბავარიულ გრანდს 2008 წლის ზაფხულში ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიაშურებს, რაც „ვერდერისთვის“ უდიდესი დარტყმა იქნებოდა.

*„ადრინდელთან შედარებით, „ვერდერი“ აღარაა იძულებული, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ წამყვან ფეხბურთელებს შეელიოს, რათა კლუბის ბიუჯეტი შეავსოს. ჩვენ ზედიზედ სამჯერ ვიასპარეზეთ ჩემპიონთა ლიგაში. უკვე ძალიან მყარი ბიუჯეტი და ევროპაში საკმაოდ კარგი სახელი გვაქვს,“* – ეს სიტყვები კი ბრემენული გუნდის ფინანსების განმკარგველ **მანფრედ მიულერს** ეკუთვნის.

### კლაუდიო პისარო: ვერდერში სიამოვნებით დავბრუნდები!

ამ ყველაფრის ფონზე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრემენული კლუბის ბოსებს ძალიან უნდათ, „ბაიერნის“ თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** „ვერდერში“ დააბრუნონ. როგორც იცით, საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ 28 წლის პერუელ თავდამსხმელს რეკორდმაისტერის შეფები კონტრაქტს, რომელსაც ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება, აღარ გაუგრძელებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პისარომ ახალი გუნდი უნდა ეძებოს. ფორვარდს არაერთხელ უთქვამს, რომ ისეთ გუნდში უნდა თამაში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. კითხვაზე, დაბრუნდებოდა თუ არა ბრემენში, კლაუდიომ ასეთი პასუხი გასცა: *„რატომაც არა? „ვერდერი“ შესანიშნავი გუნდია, რომელმაც ჩემი წასვლის შემდეგ უდიდესი პროგრესი განიცადა. ბრემენულ კლუბში ყველას ვიცნობ და ზედმიწევნით ზუსტად ვიცი, რაც იქ ხდება. ამიტომაც, ჩემთვის ამ გუნდში დაბრუნება არანაირად არ იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. პირიქით, ძალიანაც გამიხარდება, თუკი „ვერდერის“ შეფები შემეხმიანებიან.“*

პისარო სულაც არ ჩანს განაწყენებული იმის გამო, რომ რეკორდმაისტერში ახალ კონტრაქტს აღარ სთავაზობენ. *„ეს ფეხბურთია, სადაც ყველაფერი ხდება. „ბაიერნის“ ბოსებს ოთხჯერ ვესაუბრე, მაგრამ კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ. რას ვიზამ, მომხდარს უნდა შევეგუო. მიუნხენში სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ ეს შეუძლებელია. ჰიონესზე ნაწყენი ნამდვილად არ ვარ, მას თავისი მოსაზრებები აქვს, მე - ჩემი,“* – აცხადებს პერუელი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# ბექჰემს ბრალი მოუხსნეს

**დევიდ ბექჰემი** "სევილიასთან" საკვირაო მატჩს არ გამოტოვებს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ დააკმაყოფილა "რეალის" აპელაცია და მას ბოლო ტურში ("ბილბაოსთან" 4:1) მიღებული გაფრთხილება გაუუქმა. ეს დევიდისათვის სეზონის მეათე ყვითელი ბარათი იყო. ესპანეთის ჩემპიონატის რეგლამენტით, ყოველი მეხუთე ბარათისას ფეხბურთელს ერთი თამაში უცდება. ფედერაციამ დიდსულოვნება იმიტომაც გამოჩინა, რომ ბექზი უხეშობისათვის არ გაუფრთხილებიათ. 74-ე წუთზე ინგლისელი ჯარიმის შესასრულებლად ემზადებოდა. მსაჯმა ჩათვალა, რომ მას დრო გაჰყავდა და ყვითელი ბარათი აუფრიალა. დევიდს ამერიკაში გამგზავრებამდე ექვსი მადრიდული შეხვედრალა დარჩა.

გავაგრძელოთ "რეალზე" საუბარი. **ივან ელგერა** დარწმუნებული არ არის, რომ გაისადაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებს. მისი კონტრაქტი 2009 წელს იწურება, მაგრამ ფეხბურთელს კლუბის მესვეურების დამოკიდებულება არ მოსწონს. კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმად, თუ ივანი 30 თამაშს ჩაატარებს, მადრიდელებმა, ხელფასის გარდა, 700 ათასი გირვანქაც უნდა გადაუხადონ. დღეისათვის მის აქტივში 27 მატჩია. "ბილბაოსთან" ელგერა მისთვის სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო არ ათამაშეს. ამიტომ ფეხბურთელი ეჭვობს, რომ კლუბს ფულის გადახდა არ სურს და ყველაფერს ილონებს საიმისოდ, რომ სეზონის დარჩენილი ნაწილი სკამზე გაატარებინოს. შარშან ზაფხულს ელგერა კინაღამ სანტანდერის "რასინგში" გადავიდა. გარიგება ბოლო წამს ჩაიშალა.

"დიარიო სპორტი" იუწყება, რომ "რეალი" "ესპანიოლის" ნახევარმცველ **ივან დე ლა პენიათი** დაინტერესდა. ტრანსფერის შემთხვევაში, ფეხბურთელს ბარსელონაში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებენ. მოგეხსენებათ, მან კატალონიურ გრანდში თამაშისას გაითქვა სახელი. ივანს კონტრაქტი ივნისში ეწურება. "ესპანიოლი" თანამშრომლობის გაგრძელებას ცდილობს, ის კი უფრო სარფიან წინადადებებს ელოდება.

და კიდევ, სამეფო კლუბმა ახალგაზრდა ნორვეგიელ თავდამსხმელ **იო სონდრე აასს** დაადგა თვალი. ის 17-წლამდელთა ნაკრების წევრია. ნორვეგიელ მიმომხილველებს თუ დავუჯერებთ, აასი ახალი **ოლე გუნარ სოლსკიაერი** გახლავთ. გადაწყვეტილია ყმაწვილის მადრიდელთა მეორე გუნდში მიწვევა. ის **მიჩელის** შეგირდებთან ერთი კვირის განმავლობაში ივარჯიშებს და თუ თავს გამოიჩენს, მაშინვე იყიდიან. იო სონდრე "სევილიასთან" მატჩს საპატიო სტუმრების ლოჟიდან მიადევნებს თვალს.



ბექჰემი ითამაშებს

კალჩოპოლის ახალი ტალღა?

# დე სანტისი ხელს ადებს ფაკეტის...

## მოჯის ჩემთვის არასოდეს დაურეკავს, ფაკეტი კი ხშირად მიკავშირდებოდა

საინტერესოა, რა გამოხმაურება მოჰყვება დისკვალიფიცირებული მსაჯის **მასიმო დე სანტისის** გუშინდელ განცხადებას. ლომბარდიულ ტელეარხზე, გადაცემა "ლუნედი დი რიგორეში", მან, ფაქტობრივად, "კალჩოპოლის" ახალი ტალღა ააგორა. შეგახსენებთ, რომ ცნობილი მოვლენების გამო, დე სანტისი 5 წლით ჩამოაშორეს საფეხბურთო სამყაროს...

ახლა რაც შეეხება განცხადებას. გადაცემის წამყვანის კითხვაზე, ურეკავდა თუ არა მას "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური დირექტორი **ლუჩანო მოჯი**, დე სანტისმა ასე უპასუხა: *"მოჯის ჩემთვის არასოდეს დაურეკავს. "ინტერიდან"? დიახ, იქიდან ხშირად მიკავშირდებოდნენ... ვინ? ვინ და ფაკეტი, მეანი"*...

ანგარდაცვლილი **ჯაჩინტო ფაკეტი** "ინტერის" პრეზიდენტი იყო. საფეხბურთო საზოგადოება მას "სუფთა კაცად" იცნობდა, რაც შეეხება "ნერაძურის" კიდევ ერთ მაღალჩინოსანს, დე სანტისის მიერ მოხსენიებულ **ლეონარდო მეანის**, ის დღესაც "ინტერში" მუშაობს. არბიტრის მიერ მიცვალებულის ამ კონტექსტში მოხსენიება, ცოტა არ იყოს, ნამუსზე ხელის აღება გვგონია. ფაკეტისგან ის პასუხს ვერ მიიღებს, აი მეანის კი შეუძლია, თავი იმართლოს, ან დე სანტისის არაერთგზის შეწუხება აღიაროს. ერთი სიტყვით, საფეხბურთო ჩინებმა, თუ უფრო ზემოთ არა, ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ.

## კოული არსენალის ტერიტორიაზე ბრუნდება

"არსენალის" ფანები **ეშლი კოულის** დასახვედრად ემზადებიან. "დეილი მეილის" ცნობით, "მეთოფეების" ყოფილ მცველს ხილისა და ბოსტნეულის წვიმა ელოდება. "ჩელსიში" გადასვლის შემდეგ კოული პირველად ესტუმრება ყოფილ კლუბს. "ემირიტს სთედიუმზე" უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიიღებენ. არენა, რომელიც შარშან აგვისტოში გაიხსნა, პირველ სერიოზულ ტესტს ამ უქმეებზე, "ჩელსისთან" დერბიში ჩააბარებს.

"არსენალის" ქომაგებს კიდევ ერთი გეგმა აქვთ შემუშავებული. ისინი "ჩელსის" საიტზე დარეგისტრირებას აპირებენ, რათა "არისტოკრატების" წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში ჩაებან და შეძლებისდაგვარად ბევრი ხმა მისცენ ეშლი კოულის დუბლიორ **უეინ ბრიჯს** - რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ მათი საძულველი ვარსკვლავი დააკნინონ.

## მილანი ჯონ ტერით დაინტერესდა

"მილანი" "ჩელსის" გარიგებას შესთავაზებს: "როსონერი" გადაიხდის ნებისმიერ თანხას, რასაც ლონდონელები **ჯონ ტერის** სანაცვლოდ მოითხოვენ. ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები ინგლისელ ვარსკვლავს კვირაში 120 ათას გირვანქას უმზადებენ. მიმომხილველთა აზრით, ტერი 25 მილიონი გირვანქა ღირს. მილანელები ცდილობენ, ისარგებლონ იმით, რომ "ჩელსისა" და ტერის მოლაპარაკებები ახალი კონტრაქტის თაობაზე, ფაქტობრივად, ჩაიშალა.

"სანმა" შეიტყო, რომ ლონდონელებმა ჯონს ხუთწლიანი კონტრაქტი და კვირაში 100 ათასი გირვანქა შესთავაზეს. ფეხბურთელმა თავაზიანი უარი განაცხადა. ტერის აუწყეს, რომ თანხა არ გაიზრდება და თუ პირობები არ აკმაყოფილებს, ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. მისი დღევანდელი ანაზღაურება 70 ათას გირვანქაა. ის მინიმუმ 121 ათას გირვანქას ითხოვს - ხელფასს, რომელიც **მიხაელ ბალაკსა** და **ანდრეი შევჩენკოს** აქვთ.

## მალდინი ოპერაციას არ ჩქარობს

**პაოლო მალდინიმ** მუხლის ოპერაცია გადადო. მას სურს, "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩში ითამაშოს: *"მანჩესტერთან რომ წაგვეგო, მაშინვე საავადმყოფოში წავიდოდი. ახლა კი კარიერის მერვე ფინალზე ვფიქრობ. სტამბოლური მატჩი ერთი წელი მესიზმრებოდა. თუ გამიმართლებს და "ლივერპულის" წინააღმდეგ მინდორზე გავალ, იძულებული გავხდები, ევროპის სუპერთასსა და საკონტინენტთაშორისო თასზეც ვითამაშო. ესე იგი, კარიერის გაგრძელება მომიწევს."*

## დასაჯეთ ფლაკი ორი წლით!

28 იანვარს, "სამპდორიის" ფორვარდი **ფრანჩესკო ფლაკი** კოკაინზე გამოიჭირეს. მიუხედავად ორგზის აპელაციისა, ფეხბურთელს ორთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. გუშინ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის სპეციალურმა ჯგუფმა საგანგებოდ იმსჯელა ფლაკის საკითხზე და ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვა, კოკაინის მოყვარული ფორვარდი ფეხბურთიდან მთელი ორი წლით მოკვეთოს.



კანი და რენზინგი

ბაიერნი

# გლადბახთან რენზინგი დადგება

## ჰიტცფელდს კანი მიონხენგლადბახში არ მიჰყავს...

„ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** განაცხადა, რომ შაბათს, ბუნდესლიგის 32-ე ტურში რეკორდმაისტერის კარს არა **ოლივერ კანი**, არამედ სათადარიგო გოლკიპერი **მიხაელ რენზინგი** დაიცავს. ამის მიზეზი არც ტრავმაა და არც დისკვალიფიკაცია, უბრალოდ, ჰიტცფელდმა გადაწყვიტა, რომ თავის გამოჩენის შანსი რენზინგსაც მისცეს. „ბაიერნი" შაბათს ბოლო ადგილზე მყოფ მიონხენგლადბახის „ბორუსიას" სტუმრობს, გუნდს, რომელსაც გაისად მეორე ბუნდესლიგაში მოუწევს ასპარეზობა.

*„რენზინგმა ეს შანსი დაიმსახურა. რაკი სამეულს ძალიან ჩამოვრჩით, მინდა, თავის გამოჩენის შანსი იმ ფეხბურთელებსაც მივცე, რომლებიც ამ სეზონში სკამს ხეხავდნენ და რომლებიც გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ. ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთან სამეკარეო დისკუსია იწყება. არა, კანი პირველი მეკარეა და ასე იქნება მომდევნო სეზონშიც,"* – აღნიშნა ჰიტცფელდმა ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბრისას. ამრიგად, ოლი გუნდს მიონხენგლადბახში არ გაჰყვება. რენზინგის შემცვლელი კი, „ბორუსიასთან" ვეტერანი, 40 წლის **ბერნდ დრეერი** იქნება.

ლეგენდა

# დიეგო მალე უკეთ იქნება

გუშინ **დიეგო მარადონა** ფსიქიატრიული კლინიკის ეზოში გაასეირნეს. ლეგენდარულ არგენტინელს საშუალება მიეცა, ოჯახის წევრებს შეხვედროდა. ზედმეტი აჟიოტაჟის თავიდან აცილების მიზნით, მარადონას ახლობლებმა პრესა საქმის კურსში არ ჩააყენეს. მედიელებმა საზოგადოებაში მისი გამოჩენის შესახებ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეიტყვეს. ბუნებრივია, ბაირესელ კორესპონდენტებს ძალიან აინტერესებდათ, როგორ მდგომარეობაშია დონ დიეგო. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ლეგენდარული არგენტინელის პირადი ექიმის **ალფრედო კაჰეს** განცხადებას გაგაცნობთ: *„თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩვენი ქვეყნის უსაყვარლესი შვილი გაცილებით უკეთ გრძნობს თავს. მოგეხსენებათ, ის 21 აპრილს დავაბრუნეთ კლინიკაში. თუ მომდევნო ათი დღის განმავლობაში პრობლემები თავს არ იჩენს, დიეგოს სახლში გავწერთ. ბედნიერი ვარ, რომ სრული გამოჯანმრთელების გზას დაადგა."*

ბარსელონა

# დეკუ დაშავდა, ლეო მწყობრშია

## კატალონიელებმა მთელ ჩელსის დაადგეს თვალი

შაბათს „ბარსელონა" „სოსიედადს" ესტუმრება. კატალონიური გრანდისთვის ამ შეხვედრას ისეთივე ფასი აქვს, როგორც სათასო ფინალს. გასული სეზონის ტრიუმფატორებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ისინი კონკურენტ „სევილიასა" და „რეალს" მხოლოდ ერთი და ორი ქულით უსწრებენ. მოკლედ, „სოსიედადთან" მატჩში „ბარსას" მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს. **ფრანკ რიიკაარდი** შეგირდებს მთელი მონდომებით ამზადებს. გუშინ ჰოლანდიელს დიდი უსიამოვნება შეემთხვა. კატალონიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა **დეკუმ** ტერფი დაიზიანა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ანდერსონ დე სოუზას განკურნებას ხუთი ან შვიდი დღე დასჭირდება. გამორიცხული არ არის, პორტუგალიელმა ხუთშაბათს, „ხეტაფესთან" განმეორებით სათასო ნახევარფინალშიც ვერ ითამაშოს.

ალბათ, გაინტერესებთ, რა გახდა დეკუს ტრავმის მიზეზი: სპარინგ მატჩისას პორტუგალიელს **ლუდოვიკ ჟიული** შეეჯახა. ექიმები მოედანზე შეცვივდნენ. მათ ფეხბურთელს პირველი დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ დეკუმ თამაშის გაგრძელება მაინც ვერ შეძლო.

რიიკაარდს გაფუჭებული განწყობა მხოლოდ მას შემდეგ გამოუკეთდა, რაც მოახსენეს, რომ **ლეო მესის** ფეხი საერთოდ აღარ სტკიოდა და შეეძლო, სრული დატვირთვით ევარჯიშა. არგენტინელს მიკროტრავმის გამო მთელი კვირა გაუცდა. რიიკაარდს ეშინოდა, რომ „ანოეტაზე" ლეოც ვერ ითამაშებდა. უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მესი სან სებასტიანში აუცილებლად იასპარეზებს.

ბარსელონურ თემას სატრანსფერო სპეკულაციებით გავაგრძელებთ. ესპანეთის ჩემპიონი კვლავ **ფრენკ ლემპარდის** ტრანსფერზე ფიქრობს. "დიარიო სპორტის" ცნობით, **დეკუს** აგენტი "ინტერის" ხელმძღვანელობას შეხვდა. მართალია, ფეხბურთელმა იტალიაში გადაბარგება გამორიცხა, მაგრამ მისი გულწრფელობის, როგორც ჩანს, არ სჯერათ და ლემპარდს პორტუგალიელის სრულფასოვან შემცვლელად განიხილავენ.



დეკუ დაიმტვრა

ლემპარდი ერთადერთი ლონდონელი ვარსკვლავი არ არის, რომლითაც "ბარსა" დაინტერესდა. იმავე "დიარიო სპორტში" ვკითხულობთ, რომ კატალონიელთა სამიზნეში კიდევ ოთხი ფეხბურთელი მოხვდა - **ჯონ ტერი, რიკარდო კარვალიო, არიენ რობენი** და **მიკაელ ესიენი**. ბარსელონელები ფიქრობენ, რომ წარუმატებელი ევროპული კამპანიის შემდეგ "არისტოკრატები" შემადგენლობას გადაახალისებენ.

ტერისა და ლემპარდს ახალი კონტრაქტები არ გაუფორმებიათ. ნელი ტემპით მიმდინარეობს მოლაპარაკება რიკარდო კარვალიოს ახალ ხელშეკრულებაზე. რობენს **ჟოზე მოურინიოსთან** არცთუ ისე თბილი ურთიერთობა აქვს. ესიენის შემთხვევა კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევისაგან რადიკალურად განსხვავდება. განელმა საუცხოო სეზონი ჩაატარა. ის "ჩელსის" საკვანძო ფეხბურთელია და ორიოდე თვის წინ კლუბთან თანამშრომლობაც გააგრძელა. "ბარსელონამ" ერთი ვარსკვლავიც რომ ჩაიგდოს ხელში, კმაყოფილი იქნება.

აქვე გეტყვით, რომ დეკუს გარდა, "ინტერში" წასვლას უწინასწარმეტყველებენ კატალონიელების კიდევ ერთ ფეხბურთელს **ტიაგო მოტას**. ბრაზილიელი ნახევარმცველი **ფრანკ რიიკაარდს** დაუპირისპირდა. მილანელებს მის შეძენა იანვარში სურდათ. მოსალოდნელ ტრანსფერზე კომენტარები არ გაკეთებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალკე. ინტერვიუ მირკო სლომკასთან

# ბოლოს მე დავცინებ იმათ, ვინც შარშან დამცინოდა

## კობიაშვილის მწვრთნელი თამამად ამბობს, გერმანიაში საუკეთესო გუნდი მყავსო...



მირკო სლომკა

**გასულ უქმეებზე „შალკე“ ბეწვზე გადაურჩა ლიდერობის დაკარგვას და ის, რომ ლევან კობიაშვილის გუნდი „ბოხუმთან“ მარცხის შემდეგ, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს მაინც ლიდერობს, პირველ რიგში ბილეფელდის „არმინიის“ დამსახურებაა, რომელმაც გელზენკირხენელთა მდევარი „ვერდერი“ კვირას 3:2 დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ „ბოხუმთან“ შეხვედრაში „შალკეს“ სამი პენალტი არ დაუნიშნეს, „ხუმარათა“ მთავარი მწვრთნელი, 39 წლის მირკო სლომკა მსაჯს ნაკლებად ემდურის და წაგების მიზეზებს მხოლოდ და მხოლოდ თავის გუნდში ეძებს.**

**- ჰერ სლომკა, გასულ პარასკევს, „ბოხუმთან“ წაგების შემდეგ, „შალკეს“ ლიდერობის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. იმ დროს თქვენ ჯერ კიდევ არ იცოდით, როგორ ითამაშებდა „ვერდერი“. მარცხის შემდეგ დაძინება მოახერხეთ?**

- ისე, რა. ღამის სამ საათამდე „ბოხუმთან“ მატჩის ჩანაწერს ვუყურებდი და დაკვირვებით ვაანალიზებდი, რა მოხდა. გაკვირვებული ვიყავი, რადგან გატანილი გოლის შემდეგ მოულოდნელად მოვეშვით და მეტოქეს არა მარტო ანგარიშის გათანაბრების, არამედ წინ გასვლის შესაძლებლობაც მივეცით. ის მარცხი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალი იყო.

**- ალბათ რამდენიმე კათხა ლუდიც გამოცალეთ...**

- არა! საზეიმო არაფერი მომხდარა და ლუდს რატომ დავლევდი? მხოლოდ წყალს ვსვამდი.

**- მთავარმა მსაჯმა კნუტ კირხერმა „შალკეს“ ორი ასპროცენტიანი და ერთი სადავო პენალტი არ დაუნიშნა. არბიტრზე გაბრაზებული იყავით? წაგებას კირხერს ხომ არ აბრალებთ?**

- მსაჯმა თვითონვე თქვა მატჩის შემდეგ, ლინკოლნი თავისით არ დაცემულაო. უბრალოდ, ვერ გავიგე, თუ ეს დაინახა, მაშინ რატომ არ დანიშნა თერთმეტმეტრიანი? ხელით თამაშის ორ სცენაზე არაფერს ვიტყვი, იმ შემთხვევებში ისედაც ყველაფერი ნათელი იყო და ვფიქრობ, ვინც ის მომენტები ნახა, დამეთანხმება, რომ მსაჯი შეცდა, როცა პენალტები არ დაგვინიშნა. მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ის წაგება პირველ რიგში ჩვენი ბრალია.

**- ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ კურანის გოლის შემდეგ თქვენმა შეგირდებმა ირწმუნეს, რომ თამაში მოგებული ჰქონდათ და ბრძოლა შეწყვიტეს. თანაც, ფეხბურთელები ზემოდან დასცქეროდნენ მეტოქეს. შალკელები ამაყები გახდნენ?**

- არავითარ შემთხვევაში. ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად ზანტად მოქმედებდნენ. ნახევარდაცვაში ერნსტმა, ლინკოლნმა და ჰამით ალთინთოფმა ისე კარგად ველარ ითამაშეს, როგორც წინა ტურებში და ეს მთელ გუნდს დაეტყო. იმის თქმა მინდა, რომ გუნდმა მოულოდნელად დაკარგა მებრძოლი სული და აბსოლუტურად ლოგიკური იყო ის, რომ წავაგეთ. ასეთი რამ აღარ უნდა დაგვემართოს.

**- მაგრამ გაგიმართლათ: „ვერდერმა“ ეს შანსი ვერ გამოიყენა...**

- საშინელება იყო იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელში აღარ იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ ბრემენელები ბილეფელდში დამარცხდებოდნენ. მაგრამ „ვერდერს“ რომც მოეგო, ჩვენ არ დავნებდებოდით. შაბათს ვარჯიშის დაწყებამდე მე და კაპიტანმა მარსელო ბორდონმა გუნდის წინაშე ჩვენ-ჩვენი სიტყვა წარმოვთქვით. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდით, რას იზამდა „ვერდერი“, ვთქვით, ჩემპიონები გავხდებითო. კვირას კი „არმინიამ“ უდიდესი შვება მომგვარა. როცა ბილეფელდში 3:2 დაფიქსირდა, შვებით ამოვისუნთქე. უნდა გითხრათ, რომ „ბოხუმთან“ თამაშის შემდეგ მეგობრებისგან დაახლოებით 30 ტექსტური შეტყობინება მივიღე – მწერდნენ, ჩემპიონები მაინც თქვენ გახდებითო.

**- „შალკეს“ წისქვილზე იმ ფაქტმაც დაასხა წყალი, რომ „ვერდერში“ მიროსლავ კლოზეს გარშემო დიდი ამბები ატყდა...**

- ჰო, ეს ასეა. თანაც, ბრემენულ კლუბში კიდევ ერთი ისეთი ფეხბურთელია, რომელმაც ამ გუნდის ფანებს მოსვენება დაუკარგა – ტორსტენ ფრინგსს ვგულისხმობ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ბრემენელები „ესპანიოლთან“ წაგებამ გატეხა.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ „შალკეს“ წელსაც იგივე დაემართება, რაც 2001 წელს დაემართა...**

- დღევანდელ შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ისეთი ფეხბურთელია, რომელიც მაშინ„შალკეს“ ღირსებას იცავდა – ჯერალდ ასამოა. დანარჩენებს ის ტრაგედია არ გამოუცდიათ. წელს ჩემპიონები რომ ვერ გავხდეთ, ეს მთელი გელზენკირხენისთვის გაცილებით დიდი ტკივილი იქნება, ვიდრე 2001 წელს მომხდარი საშინელება. მაშინ „შალკეში“ ჩემპიონს არავინ ხედავდა და ტიტულის მოგების შანსი ზუსტად ისევე მოულოდნელად დავკარგეთ, როგორც გაგვიჩნდა. ახლა კი პირიქითაა – თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ფავორიტები ვიყავით, ყველაზე დიდხანს ჩვენ ვლიდერობდით. ფაქტია ისიც, რომ გასულ უქმეებზე ძალიან გაგვიმართლა და ყოველთვის ასე არ იქნება. წაფორხილების უფლება აღარ გვაქვს.

**- ერთი წლის წინ თქვით, იმისათვის, რომ „შალკეს“ გულშემატკივრებმა საბოლოოდ მიმიღონ როგორც მთავარი მწვრთნელი, რომელიმე ტიტული მჭირდებაო...**

- ახალგაზრდა ვარ და ეს ჩემთვის პირველი სეზონია, რომელსაც გუნდი თავიდან ბოლომდე ჩემი ხელმძღვანელობით ატარებს. შესაბამისად, ეს შესანიშნავი შანსია, რომ პირველსავე სეზონში ჩემპიონის ტიტული მოვიგო. თუ ასე არ იქნება, რა თქმა უნდა, ძალიან გამიცრუვდება იმედები. ყოველ შემთხვევაში, მე ის ვიცი, რომ წელს „შალკე“ გერმანიაში ყველაზე ძლიერი გუნდია. თუ გახსოვთ, სეზონის წინ ვთქვი, ბოლო ტურამდე ტიტულისთვის ვიბრძოლებთ-მეთქი და მაშინ ამის გამო ბევრმა დამცინა...

**- თომას შაafi, არმინ ფეე თუ მირკო სლომკა – ვინ გაიცინებს 19 მაისს, როცა ბუნდესლიგის 2006/07 წლების სეზონი ისტორიას ჩაბარდება?**

- იცით, არც კი ვიცი – შესაძლოა, კარგიცაა ის, რომ ახლა დავმარცხდით. ყოველ შემთხვევაში, უმჯობესი იყო, ახლავე წაგვეგო, ვიდრე ბოლო ტურში. იმედი მაქვს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტრიოდან მე გავიცინებ და აუცილებლად დავცინებ იმათ, ვინც შარშან მე დამცინოდა. ამისათვის კი პირველ რიგში ისაა საჭირო, რომ დარჩენილი სამი მატჩი მოვიგოთ, თან ვიმედოვნოთ, რომ ჩვენი მდევრებიც წაიფორხილებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

შოკი

## მანუელ ნოიერი დაშავდა

**ოთხშაბათის** ვარჯიშზე „შალკეს“ მეკარე მანუელ ნოიერმა ტრავმა მიიღო და ვარჯიში ველარ გააგრძელა. 21 წლის გოლკიპერს, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს, კუნთი დაეჭიმა და დიდი შანსია, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში ლევან კობიაშვილის გუნდს ვერ დაეხმაროს. ნოიერის ტრავმის გამო გელზენკირხენელთა ვარჯიში ძალიან უხალისოდ გაგრძელდა, ნირწამხდარი იყო მირკო სლომკაც. *„იმედი მაქვს, რომ შაბათამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს და აუცილებლად დაგვეხმარება. მის გარეშე სუსტები ვართ,“* – განაცხადა „შალკეს“ თავკაცმა. დიახ, „ხუმარები“ ნოიერის გარეშე მართლაც სუსტები იქნებიან, რადგან მანუელმა რომ ვერ ითამაშოს, მაშინ კობის გუნდის კარში, „ნიურნბერგთან“ 26 წლის ტონი ტაპალოვიჩი უნდა ჩადგეს, რომელიც მოყვარულთა გუნდის მეკარეა და რეგიონალლიგაში თამაშობს ხოლმე. თანაც, ტაპალოვიჩს არც რეგიონალლიგაში აქვს დიდი გამოცდილება – რანგით გერმანიის მესამე ლიგაში მას მხოლოდ 26 თამაში აქვს ჩატარებული. ჩვეულებისამებრ, „შალკეს“ მოყვარულთა კარს ნოიერის შემცვლელი სვენ ფერმანი იცავს ხოლმე, მაგრამ ახლა ისიც დაშავებულია...

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# დე როსი, რომაში მარადიულად

## ნახევარმცველს ინტერი, ბარსა, რეალი და მანჩესტერი ეპატიჟებიან, მაგრამ მას დარჩენა უნდა



დე როსი რომაში რჩება

**ბოლო** რომაული დერბი უგოლო და მეტად მოსაწყენი სანახაობა გამოვიდა. თამაშის შემდეგ **დანიელე დე როსი** “რომას” ულტრასების ტრიბუნასთან მივიდა და ტიფოზებს მიესალმა, მაგრამ სანაცვლოდ სტვენა და ლანძღვა მიიღო. ცხადია, “ჯალოროსის” ახალგაზრდა ნახევარმცველი ამან ძალიან გაანაწყენა და როცა ნამატჩევს ჰკითხეს, უამრავი გუნდი გეპატიჟებათ და რას აპირებთო, ტიფოზებზე გაბრაზებულმა დე როსიმ მიუგო, მე მარტო ჩემს გუნდზე ვფიქრობ, მაგრამ არასოდეს თქვა არასოდესო. თქვა და ატყდა ქალაქში ერთი ამბავი – დე როსი, რომაელი და “რომას” სიმბოლო, წასვლას არ გამორიცხავს, ეტყობა, მართლა სერიოზულად ფიქრობს მიღებულ წინადადებებზეო. მსურველი “სკუადრა აძურის” საყრდენს მართლაც ბევრი ჰყავს და მერე რა მსურველები – “ინტერი”, “ბარსელონა”, “რეალი” და “მანჩესტერი”. მაგრამ ფეხბურთელისგან, რომელსაც “რომა” **ფრანჩესკო ტოტის** მემკვიდრედ ამზადებს, წასვლაზე ლაპარაკიც კი ღალატად აღიქმება. ამიტომ მეორე დღეს დე როსის საკუთარი სიტყვების განმარტება მოუხდა. აი, რა უთხრა ორშაბათს ფეხბურთელმა რომაელ ჟურნალისტებს: *“ზოგიერთებმა არასწორად გაიგეს ის, რაც ჩემს მომავალზე ვთქვი. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ კარიერის ბოლომდე “რომაში” დარჩენას ვისურვებდი. იგივე სურთ კლუბსა და ტიფოზებსაც. მაგრამ თუ ვინმე მომთხოვს, რომ ცეცხლში ხელი ჩავყო, მე ამაზე უარს ვიტყვი, იმიტომ, რომ თავს არ შევირცხვენ ისე, როგორც წარსულში ზოგიერთებს დაემართათ, როცა “რომას” მარადიულ სიყვარულს ეფიცებოდნენ და ამბობდნენ, ცხოვრების ბოლომდე აქ დავრჩებითო, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ გუნდს ემშვიდობებოდნენ. გრანდების შემოთავაზება სასიამოვნოა, ეს იმას ნიშნავს, რომ შენს თამაშს აფასებენ, მაგრამ ვიმეორებ, რომ მე “რომაში” დარჩენა მინდა და ვფიქრობ, რომ 99 პროცენტით სწორედ ასე მოხდება. როცა საქმე კონტრაქტის გაგრძელებაზე მიდგება, არსებობს უამრავი ფაქტორი, ამით იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. კონტრაქტის ვადა 2009 წელს გამდის და არა ორ თვეში. საჩქარო არაფერია. იმის ალბათობა, რომ “რომა” დავტოვო, ძალიან, ძალიან ცოტაა, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს რამდენიმე წელიწადში. მაგრამ ბოლომდე გულწრფელები თუ ვიქნებით, არავის შეუძლია, რომ საკუთარ ან სხვის მომავალში ასი პროცენტით დარწმუნებული იყოს. ჯერჯერობით არ გვქონია იმის მიზეზი, რომ კლუბში ჩემი კონტრაქტის გადახედვაზე გვემსჯელა. გვრძნობ, რომ ხელმძღვანელობას ჩემი შენარჩუნება და გუნდის სიმბოლოდ გადაქცევა უნდა. ჩემი სურვილიც ზუსტად ეს არის.”*

ტიფოზების სტვენას რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით დე როსი ასეთი კომენტარი გააკეთა: *“მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს არანაირი პირობა, ჩემსა და ტიფოზებს შორის განხეთქილება რომ მოხდეს, მათგან ყოველთვის დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობდი, მაშინაც, როცა საქმე კარგად არ მიმდიოდა. ამიტომ ძალიან მეწყინა ის, რაც კვირას მოხდა. მათზე გავბრაზდი, ვინც მეძახდა “მასხარა”, “გამყიდველო”, “წაეთრიე”. ერთია, როცა ასეთებს მეტოქის სტადიონზე გიწოდებენ და მეორეა, როცა ასეთ სიტყვებს “ოლიმპიკოს” სამხრეთი ტრიბუნიდან ისმენ.”*

პრობლემური საკითხების ამოწურვის შემდეგ დე როსი სხვა თემებსაც შეეხო. **მარჩელო ლიპი** და **ფაბიო კაპელო** რომში არ უყვართ, მაგრამ ნახევარმცველი მათი შექებისგან თავს არ იკავებს: *“ლიპის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ განსაკუთრებულად ვაფასებ, გერმანიაში იშვიათი ერთგულება მაგრძნობინა, მხარდაჭერას არ მაკლებდა. კაპელომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს კარიერაში და ამას ვერ დავუვიწყებ. ჩემი ყოველთვის სჯეროდა, ევროპაში თამაშის შესაძლებლობა მომცა. როცა კლუბი ჩემს თავს “კიევის” ლეგროტალიეში უცვლიდა, უარი სწორედ კაპელომ თქვა.”*

## სვენს დაბრუნება უნდა

**სვენ გორან ერიქსონს** ფეხბურთში დაბრუნება უნდა. ის შარშანდელი მუნდიალის შემდეგ უსაქმურობს, თუმცა ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია პირნათლად უხდის გაწყვეტილი კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასს - კვირაში 50 ათას გირვანქას. სვენი ამბობს, რომ მზადაა, ამბიციური კლუბი ჩაიბაროს. ის ინგლისური ვარიანტების განხილვაზეც თანახმაა: *“ძალიან ჯიუტი ვარ. ეჭვი არ მეპარება, რომ ადრე თუ გვიან, სასურველ სამსახურს ვიშოვი. მინდა, ახალი სეზონისათვის დავბრუნდე.”*

## კუმანი ფეიენოორდს გამოეთხოვა

**ერვინ კუმანი** “ფეიენოორდს” გამოეთხოვა. როტერდამელები ჩემპიონთა ლიგის ზონაში ვერ მოხვდნენ. მათ მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავეს. ჰოლანდიის ჩემპიონატის რეგლამენტით, ჩემპიონთა ლიგაში ავტომატურად მხოლოდ ჩემპიონი გადის. მომდევნო ორი საგზური მე-2-5 ადგილებზე გასულ გუნდებს შორის თამაშდება. როტერდამელები სხვა ფლეი ოფში ჩაებმებიან - უეფას თასის საგზურისათვის. კუმანი “ფეიენოორდში” 2005 წლის ზაფხულში მივიდა. მისი კონტრაქტი 2009 წელს იწურებოდა. ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე, გუნდს ერვინის ასისტენტები, ჯონ მეტგოდი და ჰენკ დუუტი უხელმძღვანელებენ.

## ნიუკასლი: კემპბელი თუ პიიპია?

“**ნიუკასლი**” **სემი ჰიიპიათი** დაინტერესდა. ჯორდები “პორტსმუთის” ცენტრალურ მცველ **სოლ კემპბელსაც** ეპატიჟებიან. თუ მასთან არაფერი გამოუვათ, ლივერპულელ ვასრკვლავზე გადაიტანენ აქცენტს. "ნიუკასლის" თავკაცი **გლენ როუდერი** მიიჩნევს, რომ მისი გუნდის ახალგაზრდა მცველებს - **ტეილორს, რემიჯს, ჰანთინგტონსა** და **ედგარს** კემპბელის ან ჰიიპიას დონის გამოცდილი პარტნიორი სჭირდებათ.

ჟოზე მოურინიო ნარმატებული და თავისებური მწვრთნელია. ეს თავისებურება ისაა, რომ გულშემატკივრებში სიყვარულსაც იწვევს და სიძულვილსაც. 44 წლის პორტუგალიელმა მცირე ხანში არაერთი ჯილდო მოიგო. თუმცა წლევანდელი სეზონი, შეიძლება, მან მნიშვნელოვანი ტიტულის გარეშე დაასრულოს, რაც განსაკუთრებული მოვლენა (რა თქმა უნდა, უარყოფითი კუთხით) იქნება მის კარიერაში. პრემიერლიგაში "ჩელსიმ" თითქმის დაკარგა ჩემპიონობის შანსი, ეს-ესაა გავარდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან და დარჩა ასოციაციის თასი, სადაც ფინალში მეტოქედ "მანჩესტერ იუნაიტედი" ჰყავს. მოურინიოსთვის ამ სეზონის ერთადერთი შვება თებერვალში მოგებული (ფინალი "არსენალთან", 2:1) ლიგის თასია. მაგრამ მაინც, ჟოზე ის ფიგურაა, რომელზეც ღირს საუბარი...



# ჟოზე მოურინიო

## ნამდვილი ვარსკვლავი სტემფორდ ბრიჯიდან

პორტრეტი

# განსაკუთრებული

2004 წლის ზაფხულში, "ჩელსიში" მისვლის შემდეგ, თავდაჯერებულმა **ჟოზე მოურინიომ** ბევრი გამარჯვება მოიპოვა და ბევრჯერაც მედგარი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. მოურინიო "პორტუდან" მას შემდეგ წავიდა, რაც მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასაოცარი გამარჯვება მოიპოვა. აი, რა უთხრა მან ინგლისური მედიის წარმომადგენლებს: *"გთხოვთ, არ მიწოდოთ ამპარტავანი, თუმცა ევროპის ჩემპიონი და განსაკუთრებული პიროვნება ვარ"*.

იარლიყი - "განსაკუთრებული პიროვნება" - მაშინვე "მიაკერეს" მოურინიოს და დღემდე ასე მოიხსენიებენ. გულშემატკივრები და თაყვანისმცემლები ამ გამოთქმას მისი ნიჭის დასადასტურებლად იყენებენ. კრიტიკოსები მას იხსენებენ მაშინ, როცა მსოფლიო საკლუბო ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი მარცხდება.

მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, მოურინიოზე დადებითად უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე ნეგატიურ ასპექტში, რასაც მოპოვებული ტიტულების რაოდენობაც მოწმობს. სწორედ ამიტომ ამოუდგნენ მას გვერდში "ჩელსის" ქომაგები წლევანდელი სეზონის შუალედში მომხდარი გაუგებრობისას, როცა კლუბის მფლობელ **რომან აბრამოვიჩთან** ურთიერთობა გაუცივდა. სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო მოსწონთ ჟურნალისტებს მისი მეთოდები და ფეხბურთელებიც, რომელთა შორის მრავალი მაღალი დონის მოთამაშეა, ხაზს უსმევენ მის პირად თავდადებას.

მოურინიო დაუღალავი შრომის მაგალითიცაა არა მარტო სამწვრთნელო ამქარში, არამედ მის გარეთაც. ის არწმუნებს თავის კოლეგას, რომ ფეხბურთელის ინდივიდუალური მხარის გამოჩენას უნდა შეუწყონ ხელი, როცა ამის საჭიროება არსებობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სუპერვარსკვლავები ჰყავს ფავორიტთა სიაში და სათადარიგოებს ყურადღებას არ აქცევს. წლების განმავლობაში მოურინიო ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებს: *"ჯილდოებს ფეხბურთელები კი არა, გუნდები იგებენ"!*

ასეა თუ ისე, სწორედ მოურინიოა "სტემფორდ ბრიჯზე" უდიდესი ვარსკვლავი. მან ნელ-ნელა შემატა საკუთარ თავს სიკაშკაშე, როცა სხვადასხვა ხერხებით ყურადღებას იქცევდა და ფეხბურთელებზეც თითქოსდა შესამჩნევ ზეწოლას ახდენდა. იმ პერიოდში, როცა გუნდი წარუმატებლობას თავს ვერ აღწევს, იშვიათად მოიძებნება ისეთი მწვრთნელი, რომელსაც უცბად შეუძლია ერთ მუშტად შეკრას ყველა ფეხბურთელი და გამარჯვებებისთვის დარაზმოს. სწორედ ესაა მოურინიო. ადრეული ხანიდან, ასეთი იყო ჩეხი მწვრთნელი **კარლ ბრიუკნერი**. სხვებიც მოიძებნებიან ამ სფეროში...

დღეისთვის, წარმატებული მწვრთნელი უნდა იყოს საკუთარი თავის მაკონტროლებელი შეშლილი კაცი. ის ერთდროულად უნდა იყოს მბრძანებელიც, მეგობარიც, მხარდამჭერიც, დამამშვიდებელიც, ფსიქოლოგიც, მასწავლებელიცა და საერთოდ, მისაბაძი მაგალითიც. ფეხბურთელებს სურთ, რომ ის მათი ლიდერი იყოს. უფროსობა კი მისგან შეუბრალებლობას მოითხოვს. ყველას ერთად კი სურთ, რომ ის უბრალოდ, წარმატებული იყოს.

სტერეოტიპი, რომელიც დამახასიათებელია მოურინიოსთვის, დამოკიდებულია პირად ხედვასა და უსაზღვრო ამბიციებზე, რასაც ემატება თავდაუზოგავი შრომა და ნიჭი. ამგვარ ადამიანს სჭირდება, უფრო მეტად აუღოს ალღო თამაშს და აუცილებელი არ არის, სახელოვანი წარსულის მქონე ფეხბურთელი იყოს. **არიგო საკი** ამბობს: *"ცხენი არ უნდა იყო, რომ წარმატებულ ჟოკეიდ იქცე"!*

### მოთვალთვალე

მოურინიო დაიბადა იმ წელს (1963), როცა "ბენფიკამ" ევროპის ჩემპიონთა თასი მეორედ მოიგო, 3 წლის შემდეგ კი პორტუგალიის ეროვნულმა გუნდმა ინგლისის მუნდიალზე ბრინჯაოს მედალს გამოჰკრა ხელი, ხოლო 11 წლის შემდეგ ქვეყანა დიქტატორ ანტონიუ სალასარის რეჟიმისგან გათავისუფლდა.

მისი მამა, ფელიქს მოურინიო, "ვიტორია სეტუბალისა" და "ბელენენსეშის" მეკარე გახლდათ, და ერთხელაც, 8 წუთის განმავლობაში იცავდა პორტუგალიის ნაკრების კარს. მოგვიანებით, მისი ცხოვრების ყველაზე წარმატებული მომენტი დადგა, როცა დიდი **ეუსებიოს** მიერ დარტყმული 11-მეტრიანი მოიგერია.

### დოსიე

## ჟოზე მოურინიო

სრული სახელი: ჟოზე მარიო დუშ სანტუშ მოურინიო ფელიქსი

**დაიბადა:** 1963 წლის 26 იანვარი, სეტუბალი, პორტუგალია

**ეროვნება:** პოტუგალიელი

**კლუბები:** 1990-92: ფიზკულტურის მწვრთნელი სხვადასხვა კლუბში და "ეშტრელა ამადორის" (პორტუგალია) მწვრთნელის თანაშემწე; 1992-97: სერ ბობი რობსონის პირადი თარჯიმანი ლისაბონის "სპორტინგში", "პორტუსა" და "ბარსელონაში"; 2000-01: "ბენფიკა"; 2001-02: "უნიაუ ლეირია"; 2002-04: "პორტუ"; 2004 წლიდან: "ჩელსი".

**ტიტულები:** ჩემპიონთა ლიგა (2004); უეფას თასი (2003); პორტუგალიის ჩემპიონი (2003, 2004); პორტუგალიის თასის მფლობელი (2003); პორტუგალიის სუპერთასის მფლობელი (2003); ინგლისის პრემიერლიგის გამარჯვებული (2005, 2006), ინგლისის ლიგის თასის მფლობელი (2005, 2007), ინგლისის სუპერთასის ("ჩერითი შილდი") მფლობელი (2005).

**ოჯახური მდგომარეობა:** 1989 წელს დაქორწინდა ტამიზე. ჰყავს ქალ-ვაჟი: 10 წლის მატილდე და 6 წლის ჟოზე.

სერ ბობი რობსონი ჟოზე მოურინიოს შესახებ

# მშვენიერი, პატივცემული და ვაჟკაცური

**ლეგენდარულმა ინგლისელმა მწვრთნელმა სერ ბობი რობსონმა რამდენიმე წელი გაატარა ჟოზე მოურინიოს გვერდით. ქვემოთ, 74 წლის სპეციალისტი საუბრობს თავის პირად თარჯიმანზე, რომელიც მოგვიანებით თავად იქცა მწვრთნელ-ვარსკვლავად...**

**- სად შეხვდით პირველად ჟოზე მოურინიოს?**

- ეს იყო ლისაბონის აეროპორტში. იქ მოვხვდი იმიტომ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში "სპორტინგის" მწვრთნელი უნდა გავმხდარიყავი. მან საკუთარი თავი ასე გამაცნო: "გამარჯობა ბატონო, მე ჟოზე მოურინიო ვარ და კლუბის პრეზიდენტმა თქვენი პირადი თარჯიმნობა დამავალა. იმედი მაქვს, საქმეში გამოგადგებით, ბატონო". ყოველთვის "ბატონოთი" მომმართავდა. მშვენიერი, პატივცემული და ვაჟკაცური მეჩვენა.

**- საქმეს თავს კარგად ართმევდა?**

- რა თქმა უნდა! ასე თუ ისე, ეს მისი კარიერის დასაწყისი იყო. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მოურინიო არასდროს ცდილობდა, შეერბილებინა ჩემ მიერ ზოგიერთი ფეხბურთელის მიმართ უხეშად ნათქვამი სიტყვები. ის მკაცრი იყო, მაგრამ ამასთან, ყველასთან ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდა. ფეხბურთელები მას, უბრალოდ, ეთაყვანებოდნენ.

**- "სპორტინგიდან" თქვენთან ერთად წავიდა...**

- დიახ, ჯერ "პორტუში", შემდეგ კი "ბარსელონაში". სწორედ ჩემი ახირების შედეგი იყო "ბარსელონაში" ჩვენი ერთად გადაბარგება. და სწორედ მისი რჩევით გავაფორმე 20-მილიონგირვანქიანი კონტრაქტი რონალდოსთან. იმ მოკლე პერიოდში, რაც რონალდომ "ბარსელონაში" დაჰყო, ფენომენად იქცა. მას სურდა, უდიდესი მოთამაშე გამხდარიყო და ჟოზეს ყოველთვის უჯერებდა. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მოურინიოს მცირეხნიან და უსახელო საფეხბურთო კარიერას. ახალგაზრდა გენიოს რონალდოსთან მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჟოზემ იცოდა, როგორ უნდა ესაუბრა მასთან. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- გსურდათ მისი ინგლისში წაყვანა, როცა 1999 წელს "ნიუკასლის" მწვრთნელი გახდით?**

- მას ვესაუბრე ამაზე. მეგონა, კარგ შანსს მიიღებდა ინგლისურ ფეხბურთში დამკვიდრებით. შეეძლო, ჯერ ჩემს თანაშემწედ ემუშავა და მერე წასულიყო წინ. მაგრამ მან გადაწყვიტა, თავად გამხდარიყო მწვრთნელი. ამიტომაც არ წამომყვა "ნიუკასლში".

**- რა იფიქრეთ, როცა გაიგეთ, რომ ის "ჩელსიში" მიიწვიეს?**

- თავიდანვეც, ამაში უცნაურსა და სახიფათოს ვერაფერს ვხედავდი. თუ ძლიერი არ ხარ, პრემიერლიგაში ვერაფერს გახდები. და მან დაამტკიცა, რომ ძლიერია, რადგან უმძიმესი პირველი ორი სეზონი ჰქონდა, პრობლემები დაძლია და ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული. ამით ყველაფერია ნათქვამი.



სერ ბობი რობსონი და ჟოზე მოურინიო ბარსელონაში ერთად მუშაობის პერიოდში

ჟოზეს ისტორია არ იყო ისეთი ხმაურიანი, როგორიც ახლაა. ბიძის საკონსერვო ქარხანაში მუშაობა საშუალო კლასის [illegible] ცხოვრებას ნიშნავდა. აქტიური ფეხბურთელობიდან წასვლის შემდეგ ჟოზეს მამა მწვრთნელი გახდა და მოზარდი შვილი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე აგენტად აქცია. მას მოწინააღმდეგეების თვალთვალი და სავარჯიშო ადგილის მეთვალყურეობა ევალებოდა. ფეხბურთელობის პერიოდში ჟოზე სათადარიგო მცველის სტატუსს ვერ გასცდა...

სპორტულ მეცნიერებაში განსწავლული სპეციალისტი მოურინიო სამი წლის განმავლობაში სკოლებში ფიზმომზადებას ასწავლიდა, მაგრამ მისი ყურადღება მიმართული იყო პროფესიული ფეხბურთისკენ და 1988 წელს მან უეფას სამწვრთნელო ლიცენზიის მიღებისთვის დაიწყო მუშაობა.

**ენდი როქსბურგი**, შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, მოურინიოს ერთ-ერთი მასწავლებელი და ამჟამად უეფას ტექნიკური დირექტორი, მასზე ასე საუბრობს: *"ჟოზე კარგად ორგანიზებული პიროვნებაა და მოსწონს გუნდის სტრუქტურის შექმნა ინდივიდუალური ნიჭის დახმარებით. სწორედ ნიჭი იგებს თამაშებს, თუ ყველაფერი რიგზეა. ის ყოველთვის კონკურენტუნარიანია და ყურადღებას აქცევს პატარა დეტალებსაც კი. თავისუფლად საუბრობს ყველასთან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე მწვრთნელისთვის. მისი საოცარი მეტყველება და მრავალი ენის ზედმიწევნით ცოდნა ნიშნავს იმას, რომ მოურინიო ფეხბურთელებთან უცებ პოულობს საერთო ენას"*.

### ამპარტავანი და საკუთარ თავში დარწმუნებული

ენების ცოდნა მას დაეხმარა, გამხდარიყო სერ **ბობი რობსონის** თარჯიმანი და თანაშემწე მაშინ, როცა ბრიტანელი სპეციალისტი ლისაბონის "სპორტინგის" მწვრთნელად დაინიშნა. ის გაჰყვა რობსონს "პორტუში", ხოლო შემდეგ "ბარსელონაშიც". იქვე დარჩა ჰოლანდიელი **ლუის ვან გაალის** თანაშემწედ, მაგრამ მალევე დაბრუნდა სამშობლოში, რადგან დარწმუნდა, რომ ახლა უკვე თავად შეეძლო, ყოფილიყო პირველი ნომერი...

2000 წლის ზაფხულიდან მოურინიო ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ამჟამინდელ ადგილს - "ბენფიკა", "უნიაუ ლეირია", "პორტუ" და "ჩელსი". ლონდონური კლუბის მფლობელ აბრამოვიჩს ექსტრამოტივირებული, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი სჭირდებოდა მწვრთნელად, ანუ ადამიანი, რომელიც გაბედულ ნაბიჯებს გადადგამდა.

სწორედ ასეთია მოურინიო და ასეთი იყო მაშინაც, როცა აბრამოვიჩს შეხვდა. "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ამბობს: *"ჟოზეს დააძალეს, რომ ამპარტავანი ყოფილიყო. არა მგონია, ასეთი იყოს სინამდვილეში. ვფიქრობ, მოურინიო საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნებულია და ყოველთვის ბევრს ფიქრობს, სანამ რამეს გააკეთებს"*.

### ჭარბი ადრენალინი

ეს არ ნიშნავს, იყო კეთილი და გქონდეს რბილი ხასიათი. პირიქით, მოურინიო ზოგჯერ უხეშიც არის, და ისევ საკუთარი თავის სასარგებლოდ, და არა საზიანოდ. მაგალითისთვის, გავიხსენოთ შვედ არბიტრ **ანდერს ფრისკთან** ურთიერთობა 2005 წელს, ბარსელონაში, ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ, რასაც უეფას მიერ პორტუგალიელის დაჯარიმება და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოჰყვა...

უსიამოვნო შეკამათება მოუვიდა "არსენალის" მწვრთნელ **არსენ ვენგერთანაც**, როცა ფრანგი სპეციალისტის მიერ "ჩელსის" ფინანსურ საქმეებზე საუბრისას, მოურინიომ მას "სულელი" უწოდა. მაგრამ იგივე მეთოდები უცხო არ არის არც სერ **ალექს ფერგიუსონისთვის**, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმატებათა სულისჩამდგმელია.

ფერგიუსონმა, რომელსაც თავიდან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მოურინიოსთან, ის დაახასიათა, როგორც "ნიჭიერი და ინტელიგენტი". შესაძლოა, ფერგიმ მოურინიოში დაინახა ის "შიმშილი", რამაც თავად მას, "ოლდ ტრეფორდზე", მთელი 20 წლის განმავლობაში, წარმატებები მოაპოვებინა.

მოურინიოს არასოდეს დაუმალავს საკუთარი ამბიციები მოჩვენებითი სიდარბაისლის ფონზე. ის ამბობს: "უპირველეს ყოვლისა, მსურს ვუყვარდე "ჩელსის" მხარდამჭერებსაც. მაგრამ თუ მივალ სხვა სტადიონზე, მაგალითად, "ოლდ ტრეფორდზე", ან ჩავალ ლივერპულში, ან კიდევ "არსენალის" არენაზე გამოვჩნდები და აღმოვაჩენ, რომ ხალხს იქაც ვუყვარვარ, ვიფიქრებ, რომ "ჩელსი" და მე დავმარცხდით. ამას არ დავუშვებ! საკუთარი თავის მიმართ ძალზე მომთხოვნი ვარ. მსურს, ყოველდღიური ვარჯიში მაღალ დონეზე ავიყვანო. მსურს, ტიტულების მოგება. ჭარბი ადრენალინი მაქვს! რა თქმა უნდა, გუნდისა და პირადად ჩემს ადრინდელ წარმატებებს არ ივიწყებენ, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენ ხვალინდელი დღით ვცხოვრობთ".

FIFA magazine-ს მიხედვით მოამზადა

**დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ერთ წამში გმირი ხარ!

**სტუ/თელავი-თბილისი 24:25**

სტუ-თელავი: სამყურაშვილი, ქობელაშვილი (3), ა. ყიფიანი (3), სიგუა. ნიკოლაიშვილი (1), ბერძენიშვილი (2), მსხვილიძე (8), გ. ჩიქოვანი, გ. კობახიძე, ი. ჩიქოვანი, მ. კობახიძე (2), რ. ყიფიანი, ტალახაძე (5)

თბილისი: ანდრიაძე, სეთურიძე, ნატროშვილი, ფორაქიშვილი (3), წივწივაძე (5), სამარლანიშვილი, ქირია (2), ღლანიძე (3), გრიშიკაშვილი, ოსიყმაშვილი, გელაშვილი (4), ფარაჯევი (8)

მსაჯები: ვახტანგ ბერიაშვილი, ინა ჭკუასელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 | 1 | 1 | +166 | 27 |
| სტუ/თელავი | 15 | 12 | 1 | 2 | +189 | 25 |
| იმედი | 16 | 6 | 1 | 9 | -112 | 13 |
| ქარიშხალა | 15 | 5 | 1 | 9 | -17 | 11 |
| მამული | 15 | 0 | 0 | 15 | -226 | 0 |

ბომბარდირები: გიორგი წივწივაძე (თბილისი, 142 ), რამაზ შონია (მამული, 102), აკაკი ტალახაძე (სტუ/თელავი, 86 )

თელავი გუშინ დიდი მატჩის მოლოდინში იყო. ქალაქში მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე გაიკრა აფიშები, რამაც გუშინ დარბაზში ანშლაგი გამოიწვია. მატჩს ესწრებოდა ქალაქის ხელმძღვანელობა. კარგია, რომ ამ პატარა ქალაქს დიდი ხელბურთი დაუბრუნდა...

სტუ-"თელავისა" და "თბილისის" დაპირისპირებას რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობა უნდა გაერკვია. მართალია, ყველაფერი საჩემპიონო ფლეიოფში უნდა გადაწყდეს, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის მოგება ფლეიოფებში საკუთარი მოედნის უპირატესობას ნიშნავს

მატჩის წინ, "თელავშიც" და "თბილისშიც" მოხდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები. მოახლოებული საჩემპიონო ფლეიოფებისთვის, ორივე კლუბმა დაიმატა ძლიერი ხელბურთელები. სტუ-"თელავში" ითამაშეს უკრაინიდან დაბრუნებულმა **მამია კობახიძემ** და ეროვნული ნაკრების გამოცდილმა ხელბურთელმა **ომარ ყიფიანმა**. "თბილისმა" სულაც აზერბაიჯანელი ლეგიონერი **ელდარ ფარაჯევი** დაიმატა, რომელმაც გუშინ თავის პირველ ქართულ მატჩში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და **რატი მსხვილიძესთან** ერთად, ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო. ფლეიოფებამდე გუნდები კიდევ აპირებენ თითო ძლიერი მოთამაშის დამატებას.

თუკი წინა მატჩში სტუ-ელებს, ძირითადად, წივწივაძისა და გელაშვილის განეიტრალება უწევდათ, გუშინ ფარაჯევის სახით, ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. ტანმაღალი აზერბაიჯანელი დაცვაშიც ნორმალურად ირჯებოდა და შეტევაში ხომ პირდაპირ სისხლს უშრობდა მეტოქეს. იგი ფიზიკურადაც საკმაოდ კარგადაა მომზადებული, ორი ტაიმი შეუცვლელად ითამაშა და მოედნიდან მაშინაც კი არ გავიდა, როდესაც მატჩის მიწურულს, მცირე ტრავმა მიიღო.

კიდევ ერთხელ გვიწევს მეკარეთა ფანტასტიკური თამაშის ხაზგასმა. სტუ-ს მეკარე **გაგა სამყურაშვილი** კარგად თამაშობდა, მან ათჯერ უკუაგდო ბურთი, მაგრამ მის კოლეგა **კორნელი ანდრიაძის** მონაგართან, ეს სახსენებელიც არ არის. მან 18-ჯერ გადაარჩინა თანაგუნდელები გოლს და აქედან, ორჯერ პენალტის ნიშნულთან მისული მეტოქეები გააწბილა. მატჩის მიწურულს, მესამე მეკარე გამოვიდა ავანსცენაზე, რომელმაც მთლად გმირის მანტია მოისხა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

პირველი ტაიმი "თბილისისა" იყო და **მამუკა მჟავანაძის** შეგირდები შესვენებაზე ოთხბურთიანი ფორით გავიდნენ – 17:13. მეორე ნახევარი უფრო დრამატული აღმოჩნდა. სტუ-ელებმა არამარტო გათანაბრება, ორჯერ მინიმალური ანგარიშით დაწინაურებაც მოახერხეს. თუმცა, მატჩის დასრულებამდე 1.50 წუთით ადრე, ომარ ყიფიანი ორი წუთით, ანუ ბოლომდე გააძევეს და რიცხობრივ უპირატესობაში დარჩენილი "თბილისი" ლევან გელაშვილმა 25:23 დააწინაურა. იქვე, მისი თანაგუნდელი **ლაშა სამარლანიშვილიც** გააძევეს და რიცხობრივი სტატუს-კვო აღდგა.

თითქმის წაგებულ მატჩში, სტუ-"თელავს" ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი მიეცა, რაც სავსებით აძლევდა ხელს რეგულარული პირველობის მოსაგებად. ეს მოხდა მატჩის დამთავრებამდე 1 წამით ადრე, როდესაც სტუ 24:25 აგებდა და პენალტის დარტყმის უფლება მიიღო. ამ გუნდების წინა მატჩიც ზუსტად ასეთი ფინალით დასრულდა, როცა ბოლო წამზე დანიშნული პენალტით, რატი მსხვილიძემ ანგარიში გაათანაბრა. ამჯერად დარტყმა მამია კობახიძემ ითავა. დასრულებამდე 30 წამით ადრე, დროის გაყვანისა და არბიტრ **ინა ჭკუასელთან** კამათისთვის, მეკარე ანდრიაძე გააძევეს და მოედანზე **გაგა სეთურიძე** გამოვიდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო და სეთურიძემ კობახიძეს პენალტი აუღო, რითაც სულ რაღაც ერთ წამში გახდა მატჩის გმირი და თანაგუნდელებს ფლეიოფში მოედნის უპირატესობა აჩუქა.

დღეს, "თბილისი" და სტუ-"თელავი" აბსოლუტურ ფორმალობად ქცეულ უკანასკნელი ტურის მატჩებს გამართავენ "მამულსა" და "ქარიშხალასთან", 8 მაისს კი ნახევარფინალი დაიწყება.

**კობა ხატისაშვილი**

თელავი-თბილისი

## ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# პატარებმა დიდებს სძლიეს



ნუგზარ სუარიძის ფოტო

ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრა ოლიმპიური მზადების ცენტრის პირველ და მეორე გუნდებს შორის პირველის იდენტურად წარიმართა, ოღონდ ამჯერად გამარჯვება ორი წლით უმცროსი ფრენბურთელებით დაკომპლექტებულ მეორე გუნდს დარჩა. გადამწყვეტი, ფინალში გასასვლელი მატჩი დღეს 16 საათზე გაიმართება.

პირველმა გუნდმა პირველი სეტი ერთი ამოსუნთქვით მოიგო 25:15. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პირველი ტემპის, **თინათინ ჭაუჭიძისა** და დიაგონალზე მოთამაშე **თეა მძელურის** კარგი თამაში. მეორე სეტში პატარებმა თამაშს უმატეს. მართალია, დასაწყისში ისევ უფროსები დაწინაურდნენ 4:1, მაგრამ მეორე გუნდის ლიდერების, პირველი ტემპის **ელა კაზარიანის**, დიაგონალზე მოთამაშე **იანა ზიდჩენკოსა** და გამთამაშებელ **ანა გვენცაძის** აქტიური თამაშის წყალობით, ანგარიში დიდი ხნის მანძილზე ქულა ქულაში მიდიოდა - 7:7, 10:10, 12:12, 15:15. საბოლოოდ კი ისევ პირველმა გუნდმა იმძლავრა და 25:21.

გარდამტეხი მესამე სეტი აღმოჩნდა. პატარები დიდებს არ ეპუებოდნენ. მათ მეტოქე სამ ქულაზე მეტით წინ არ გაუშვიათ 5:8, 12:15, 18:21. აქ პატარებმა ანგარიში გაათანაბრეს 22:22, თუმცა მოწინააღმდეგემ მაინც შესძლო ორი ქულით წინ გასვლა - 24:22. საბოლოო გამარჯვებამდე ერთი ქულა იყო დარჩენილი. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ ნაბიჯის გადადგმა მათ არ ეწერათ - 24:24, 25:25, 26:26. გადამწყვეტ მომენტში მეორე გუნდის ლიდერები უფრო მობილიზებულნი იყვნენ - 28:26.

ამან პირველი გუნდი საბოლოოდ მოშალა. მეოთხე სეტის დასაწყისში მეტოქე 7 ქულით გაუშვეს წინ და ველარ დაეწივნენ - 19:25. მეხუთე სეტი მეორე გუნდმა ბევრად უკეთ ჩაატარა, თავიდანვე დაწინაურდა და ბრძოლისგან დაღლილი, ოდნავ დაბნეული უფროსი თანაკლუბელები 15:9 დაამარცხა.

**ოლიმპიური ცენტრი 2-ოლიმპიური ცენტრი 1 3:2**

(15:25, 21:25, 28:26, 25:19, 15:9)

ოც 2: 4. ელა კაზარიანი (კ), 9.იანა ზოდენიჩენკო, 10.ნინო მუყასაშვილი, 8.ნინო სტურუა, 3.ანა გვენცაძე, 11.ქრისტინე გვილავა, 2.სალომე აბულაძე(ლიბერო).

ოც1: 2.თინათინ ჭაუჭიძე, 1.თამარ კოროშინაძე, 3.თეა მძელური(4.მაგდა პაპიძე), 7.სოფო ლომიძე(კ), 8.დალი ალიბეგაშვილი, 6.ნათია ბანძელაძე, 11.თამარ წიქარიშვილი(ლიბერო).

**ბესიკ ჯანგავაძე**

## მშვილდოსნობა

# სამივე დამარცხდა

იტალიურ ვარეზეში, მსოფლიო თასზე, გუშინ ინდივიდუალურ პირველობებში ფლეი ოფები გაიმართა. სამწუხაროდ, ჩვენი ქალთა სამეული ადრევე გავარდა - პირველი ეტაპი მხოლოდ **ქრისტინე ესებუამ** დაძლია, მაგრამ ეს მისთვისაც მაქსიმუმი აღმოჩნდა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურთაგან საუკეთესო **ხათუნა ნარიმანიძემ** 1/32-ფინალში მასპინძელ **პია კარმენ ლიონეტისთან** 103:110 წააგო, **ასმათ დიასამიძემ** რუს **ტატიანა ბოროდაისთან** - 90:111.

ფლეი ოფის პირველ წრეში ყველაზე სუსტი მეტოქე ესებუას შეხვდა - ჩეხი **ბარბორა ჰორაჩკოვა**. მოულოდნელად მან საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენებურს და ესებუამ მხოლოდ 2 ქულით იმარჯვა - 103:101. მეორე წრეში ქრისტინეს მეტოქე კორეელი **სეუნგ იუნგი** იყო, ვინაც საკვალიფიკაციო ეტაპი 633 ქულით და მეოთხე ადგილით დაასრულა. სამწუხაროდ, სასწაული არ მოხდა და ესებუამ 105:111 წააგო.

ასევე პირველ წრეში , ოღონდ დამატებით სერიაში წააგო აშშ-ის სახელით მოასპარეზე **ხათუნა ლორიგმა** (ქვრივიშვილმა).

**ირაკლი თავაძე**

## სამბო



ოლეგ იაძე

ევროპის ჩემპიონატი

# აფსუს, რუსებმა ერთი მოგებით გვაჯობეს

გუშინ, სპორტის დეპარტამენტში, პრესკონფერენცია გამართეს ევროპის პირველობიდან ტრიუმფით დაბრუნებულმა სამბისტებმა. სოფიაში მათ 7 მედალი მოიპოვეს - 3 ოქრო და 4 ბრინჯაო. ჩემპიონები უშანგი **კუზანაშვილი** (52), **დავით სიმონიშვილი** (62) და **მინდია ბოდაველი** (90) გახდნენ, მესამე ადგილებზე კი **ავთანდილ ცინცაძე** (57), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე) გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა მეორე ადგილი დაიკავეს რუსების შემდეგ.

ასაკის მიუხედავად, კუზანაშვილი გუნდის ერთ-ერთი სტაჟიანი წევრია, უკვე იმდენად გამოცდილი და ტიტულოვანი, რომ მისგან ნებისმიერ ტურნირზე უმაღლეს მიღწევას ელოდებიან. ამჯერადაც ასე იყო - მან მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა და ფინალშიც უპრობლემოდ დაამარცხა საკმაოდ ძლიერი აზერბაიჯანელი ისლამ გასიმოვი.

სიმონიშვილის მედალი ალბათ ყველასთვის მოულოდნელი იყო, რადგან ის აქამდე ძირითადად ძიუდოში ჭიდაობდა, სამბოში კი შედარებით ახალი კაცია. ევროპის ჩემპიონატზეც პირველად ჭიდაობდა, თუმცა დებიუტანტისა ბევრი არაფერი ეტყობოდა, ბევრად გამოცდილ მეტოქეებს ისე დაერია.

რაც შეეხება **მინდია ბოდაველს**, ძიუდოდან გადმოსვლის შემდეგ იგი აქ ნამდვილ ლიდერად იქცა. მან შარშან ევროპის პირველობაც მოიგო და მსოფლიოსიც. ბუნებრივია, მისგან ახლაც მხოლოდ ოქროს ელოდნენ და არც გაგვაწბილა - ფრანგი, რუსი, აზერბაიჯანელი თუ ბელარუსი მეტოქეები იოლად დაჯაბნა და დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. ფინალში ბელარუს იური სიომაშკინთან საჭიდაოდ გასვლამდე თურმე იქადნებოდა, უბრალოდ კი არ მოვუგებ, გავგლიჯავო. მისი ასეთი განწყობა ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაძემ** სხვებისთვის სამაგალითოდ მიიჩნია და ყველას ასეთი საბრძოლო ჟინისკენ მოუწოდა, თუმცა ისიც დასძინა, მინდიას ვაწყნარებდი კიდეც, დამშვიდდი, დაწყნარდი, ყველაფერს კარგად დაუკვირდი, სიჩქარეში ბავშვურად არ შეცდეო. საბოლოოდ მინდია არც შემცდარა და არც აჩქარებულა. ფინალი მინიმალური სხვაობით, მაგრამ დამაჯერებელი უპირატესობით მოიგო.

რაც შეეხება პრიზიორებს, ცინცაძემ ნახევარფინალში ბულგარელ მეტოქესთან 4:4-ზე წააგო. თავიდან ქართველი იგებდა - 4:0, მაგრამ შეხვედრის ბოლოს მეტოქემ 4-ქულიანი გდება გააკეთა და ბოლო ქულის დამსახურებით მოიგო.

ასევე ფრეზე - 3:3-ზე დამარცხდა ჩინჩალაძეც, კუციამ კი მასპინძელთან წააგო ნახევარფინალში. კუცია შარშან ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა, უფროსებში - მსოფლიოს მესამე პრიზიორი. ის ახლაც დამაჯერებლად ჩაება ტურნირში - იოლად დაამარცხა ლიტველი მეტოქე, ფრანგს მტკივნეულით მოუგო, მაგრამ ნახევარფინალში თავად დამარცხდა. ბრინჯაოსთვის ქულებით აჯობა იტალიელ ლუკა პალატინის.

*„მას შეუძლია, ძლიერს ქულათა დიდი უპირატესობით მოუგოს, მერე კი შედარებით სუსტთან მინიმალურ მარაგს დასჯერდეს"* - თქვა იაძემ მირიან პავლიაშვილზე, რომელიც ამ არასტაბილურობისთვის ორიგინალურად დაუსჯია.

პავლიაშვილმა პირველ წრეში უკრაინელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვალავიკი პირწმინდად - 12:0 დაამარცხა. მეორეც აქტიურად დაიწყო რუს სერგეი სამოილოვთან. სამოილოვი რუსეთის მეორე ნომერია, რადგან იქ ასეთი წესია - ქვეყნის ჩემპიონები მსოფლიოზე ჭიდაობენ, ვერცხლის მედალოსნები - ევროპაზე. წესით, სამოილოვი ჩვენებურისთვის სერიოზული მეტოქე ვერ უნდა ყოფილიყო და დასაწყისში ასე გახლდათ - მირიანმა სწრაფად აართვა 2 ქულა, თუმცა ამის შემდეგ... დადგა და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი. *„აშკარად ვატყობდი, რუსთან თავისუფლად შეეძლო მოგება, მაგრამ არ ჭიდაობდა, დროის გაყვანას ელოდა. არადა, დრო 4 წუთზე მეტი რჩებოდა და ვარიგებდი, არაა ეგ დამამშვიდებელი ანგარიში, შეუტიე-მეთქი, თუმცა ამაოდ - არც დარიგებამ გაჭრა, არც დაყვავებამ, არც - დამუნათებამ თუ დატუქსვამ."* - განაცხადა იაძემ. პავლიაშვილი დაისაჯა კიდეც - საფინალო სასტვენამდე 30 წამით ადრე რუსმა ოთხქულიანი გდება გააკეთა - 4:2. პავლიაშვილი იმდენად აღემატებოდა მეტოქეს, იმ დარჩენილ 30-წამიან მონაკვეთშიც კი მოახერხა 4-ქულიანი გდება, მაგრამ მთავარმა რეფერიმ იგი მხოლოდ 2-იანად შეაფასა. *„ამ ილეთს დიდხანს არჩევდნენ და მსაჯები არც აპირებდნენ თავიანთი გადაწყვეტილების შეცვლას. მათი სიმართლე იმდენად აშკარა იყო, რომ ჩავრეულიყავი, მას აუცილებლად დავამტკიცებდით, მაგრამ შეგნებულად არ ჩავერიე. აზერბაიჯანელი მსაჯი დიდხანს უარობდა პირვანდელი გადაწყვეტილების შეცვლას, მაგრამ მე არ ჩავერიე და ბოლოს ისიც გაჩუმდა. იქნებ არასწორად მოვიქეცი, მაგრამ შეგნებულად არ ჩავერიე. პავლიაშვილს ასე არაერთხელ გაუკეთებია, არანაირმა სასჯელმა არ უშველა და იქნებ ამგვარად დასჯამ მაინც გამოიღოს შედეგი".*

არადა, იმ ერთ შეხვედრაზე ბევრი რამ იდო - თავად პავლიაშვილის ოქროც და გუნდურში გამარჯვებაც. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ შეხვედრის ჩვენს სასარგებლოდ დამთავრება გუნდურ ჩათვლაში სტატუს-კვოს იმგვარად შეცვლიდა, რომ რუსებს ვუსწრებდით.

იაძემ ნაკრების კიდევ ერთი ლიდერის - **გელა სანიკიძის** (68) უმედლოდ დარჩენა იმით ახსნა, რომ ცოტა ხნის წინ იგი დაოჯახდა და ტურნირისთვის სათანადოდ ვერ მოემზადა. ჩვენი გუნდიდან უმედლოდ მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მესამე პრიზიორი **დავით შენგელიაც** (74) დარჩა, თუმცა მსოფლიოსთვის მწვრთნელი მის ჩამოწერას არც აპირებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონებმა მსოფლიოზე წასვლის უფლება ავტომატურად მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**

## მილოცვა

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს სეოკ-ის პირველ პრეზიდენტს (1989-96), ამჟამად საპატიო პრეზიდენტს, საქართველოში ქალთა საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის ჩემპიონს, სხვა მაღალი რანგის მრავალ ასპარეზობებში გამარჯვებულს, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქალის "ოქროს პრიზის" მფლობელს, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ორდენოსანს, ბრწყინვალე ქალბატონს ნონა გაფრინდაშვილს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სტატისტიკა

# 88 მოთამაშის 1144 რიცხვი

ხვალ საქართველოს ჩემპიონატის გადამწყვეტი სტადია იწყება - "დინამო", "აზოტი", "ავიამშენი" და თსუ ნახევარფინალებში ორი ფინალისტის ვინაობას გაარკვევენ. ორმა გუნდმა სტუ-მ და "მაკაბიმ" კი რეგულარული ჩემპიონატის ფინიშთან დაასრულა 2006-07 წლების სეზონი. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს 25 მატჩის ჯამში რომელმა კალათბურთელმა რა გააკეთა. რეგულარული პირველობის 88 მონაწილის მონაგარი სულ 6 ცხრილში ჩაეტია.



## აზოტი

რუსთაველებმა ჩემპიონატში 25-დან ერთადერთი მატჩი წააგეს, რაც "აზოტის" სიძლიერეს უსვამს ხაზს. აკი აღნიშნა "დინამოს" მწვრთნელმა, **ზაზა ცაგარეიშვილმა** - დავით უსტიაშვილის გუნდი სხვებზე ერთი თავით მაღლა დგასო. დავეთანხმებით - "აზოტი" ყველას სჯობს შეთამაშების, შემადგენლობისა და გულშემატკივართა აქტიურობის თვალსაზრისით. ქომაგობა კი ფლეი ოფში ბევრს რომ წყვეტს, მკითხველს კარგად მოეხსენება.

## ავიამშენი

"ავიატორებს" "აზოტთან" შედარებით მოკლე სათადარიგო სკამი აქვთ. მეტოქეს ვერც გულშემატკივრების სიუხვით გაუტოლდებიან. ერთადერთი, რითაც "ავია" რუსთავურ კლუბს სჯობს, გამოცდილებაა. სწორედ ამის ხარჯზე დაამარცხა თებერვალში **ლევან მოსეშვილის** გუნდმა "აზოტი". მეხუთე წრის შემდეგ "ავიამშენს" დაუბრუნდა აზერბაიჯანმოვლილი **დავით ბარბაქაძე**, რომელიც გუნდს ფლეი ოფში ძალიან დაეხმარება. მთავარი ღერძი კი **ბერიშვილ-ხომტარია-ბაბიაშვილზე** გადის.

## თსუ

**ნუგზარ ჭეიშვილს** "აზოტთან" და "ავიასთან" შედარებით ახალგაზრდული გუნდი ჰყავს, თუმცა უმეტესობა სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში ასპარეზობდნენ და გამოუცდელობას არ უჩივიან.

მწვრთნელი ცდილობს, სათამაშო დრო ყველას მეტ-ნაკლებად თანაბრად გაუნაწილოს, რის წყალობითაც თსუ ერთ მუშტად იკვრება და ანგარიშგასაწევი ძალაა როგორც "ავიამშენისთვის", ასევე "აზოტისთვის".

## დინამო

"დინამოს" თავკაცმა, **ზაზა ცაგარეიშვილმა** სეზონის დასაწყისშივე აღნიშნა - მთავარი მიზანი ახალგაზრდების პროგრესზე ზრუნვააო. თავიდან დინამოელებს ძალიან გაუჭირდათ, თუკი საქმე ბოლო წამებამდე მივიდოდა, ვერც ერთი მატჩის მოგებას ვერ ახერხებდნენ. მაგრამ რეგულარულის ბოლოს მონდომებამ შედეგი გამოიღო და გადამწყვეტ მომენტში თსუ-საც აჯობეს და "ავიამშენსაც".

## სტუ

ტექნიკოსებზეც იგივეს თქმა შეიძლება, რაც "დინამოზე" - 8 თვეში სერიოზული პროგრესი განიცადეს. გამოცდილი **გულივერ ახალკაცის** გვერდით ბევრი თინეიჯერი გამოიწრთო - **ნოდარ ბერაია** ჩემპიონატის ერთ-ერთი სნაიპერია, **ლუკა ნოზაძე** და **დავით მაისურაძე** ანგარიშგასაწევ მეფარეებად ჩამოყალიბდნენ. ხოლო **გიგი ბარბაქაძე** სეზონის აღმოჩენად შეიძლება მოინათლოს.

## მაკაბი

როცა "მაკაბის" მიერ ჩატარებულ 2006-07 წლების სეზონზე ვსაუბრობთ, შეიძლება იგი **გიორგი შერმადინის** სეზონ-ბენეფისად მოვნათლოთ. ამერიკაში მიღებული ტრავმის შემდეგ გიორგიმ მე-5 წრე გამოტოვა. მაგრამ მანამდე იმდენი მოასწრო, რომ სეზონის ბოლომდე დარჩება №1 სნაიპერად და მომხსნელად. მის ანგარიშზე ქულათა საოცარი მაჩვენებელია - 639 (საშუალოდ 37.6).

**ვაჟა სიმონიშვილი**

| I ტური | |
|---|---|
| მაკაბი-სტუ | 105:91 |
| დინამო-ავიამშენი | 81:100 |
| თსუ-აზოტი | 76:83 |

| II ტური | |
|---|---|
| აზოტი-დინამო | 96:61 |
| თსუ-სტუ | 95:74 |
| ავიამშენი-მაკაბი | 89:71 |

| III ტური | |
|---|---|
| მაკაბი-აზოტი | 68:119 |
| სტუ-ავიამშენი | 80:92 |
| დინამო-თსუ | 68:76 |

| IV ტური | |
|---|---|
| თსუ-მაკაბი | 96:73 |
| სტუ-დინამო | 96:89 |
| ავიამშენი-აზოტი | 82:104 |

| V ტური | |
|---|---|
| აზოტი-სტუ | 107:52 |
| დინამო-მაკაბი | 97:72 |
| ავიამშენი-თსუ | 93:59 |

| VI ტური | |
|---|---|
| აზოტი-თსუ | 91:88 |
| ავიამშენი-დინამო | 105:72 |
| სტუ-მაკაბი | 96:85 |

| VII ტური | |
|---|---|
| მაკაბი-ავიამშენი | 80:96 |
| დინამო-აზოტი | 94:116 |
| სტუ-თსუ | 83:99 |

| VIII ტური | |
|---|---|
| აზოტი-მაკაბი | 127:71 |
| თსუ-დინამო | 100:81 |
| ავიამშენი-სტუ | 91:85 |

| IX ტური | |
|---|---|
| აზოტი-ავიამშენი | 94:81 |
| დინამო-სტუ | 84:74 |
| თსუ-მაკაბი | 137:86 |

| X ტური | |
|---|---|
| სტუ-აზოტი | 67:97 |
| მაკაბი-დინამო | 83:88 |
| თსუ-ავიამშენი | 92:93 |

| XI ტური | |
|---|---|
| მაკაბი-სტუ | 86:84 |
| დინამო-ავიამშენი | 94:107 |
| თსუ-აზოტი | 93:108 |

| XIII ტური | |
|---|---|
| აზოტი-დინამო | 81:58 |
| თსუ-სტუ | 104:88 |
| ავიამშენი-მაკაბი | 87:80 |

| XIII ტური | |
|---|---|
| მაკაბი-აზოტი | 76:124 |
| სტუ-ავიამშენი | 76:93 |
| დინამო-თსუ | 94:97 |

| XIV ტური | |
|---|---|
| თსუ-მაკაბი | 111:97 |
| სტუ-დინამო | 77:83 |
| ავიამშენი-აზოტი | 91:79 |

| XV ტური | |
|---|---|
| აზოტი-სტუ | 81:56 |
| დინამო-მაკაბი | 111:113 |
| ავიამშენი-თსუ | 84:91 |

| XVI ტური | |
|---|---|
| აზოტი-თსუ | 83:59 |
| ავიამშენი-დინამო | 85:90 |
| სტუ-მაკაბი | 105:92 |

| XVII ტური | |
|---|---|
| მაკაბი-ავიამშენი | 71:90 |
| დინამო-აზოტი | 58:110 |
| სტუ-თსუ | 90:111 |

| XVIII ტური | |
|---|---|
| აზოტი-მაკაბი | 109:66 |
| თსუ-დინამო | 90:72 |
| ავიამშენი-სტუ | 112:87 |

| XIX ტური | |
|---|---|
| აზოტი-ავიამშენი | 97:82 |
| დინამო-სტუ | 83:85 |
| თსუ-მაკაბი | 107:74 |

| XX ტური | |
|---|---|
| სტუ-აზოტი | 62:100 |
| მაკაბი-დინამო | 63:92 |
| თსუ-ავიამშენი | 122:96 |

| XXI ტური | |
|---|---|
| მაკაბი-სტუ | 65:83 |
| დინამო-ავიამშენი | 88:101 |
| თსუ-აზოტი | 77:99 |

| XXII ტური | |
|---|---|
| აზოტი-დინამო | 83-64 |
| თსუ-სტუ | 87:99 |
| ავიამშენი-მაკაბი | 109:69 |

| XXIII ტური | |
|---|---|
| მაკაბი-აზოტი | 66:96 |
| სტუ-ავიამშენი | 73:85 |
| დინამო-თსუ | 86:83 |

| XXIV ტური | |
|---|---|
| თსუ-მაკაბი | 113:80 |
| სტუ-დინამო | 111:107 |
| ავიამშენი-აზოტი | 82:108 |

| XXV ტური | |
|---|---|
| აზოტი-სტუ | 115:84 |
| დინამო-მაკაბი | 97:84 |
| ავიამშენი-თსუ | 95:108 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 25 | 24 | 1 | 49 |
| 2. ავიამშენი | 25 | 17 | 8 | 42 |
| 3. თსუ | 25 | 16 | 9 | 41 |
| 4. დინამო | 25 | 8 | 17 | 33 |
| 5. სტუ | 25 | 7 | 18 | 32 |
| 6. მაკაბი | 25 | 3 | 22 | 28 |

| აზოტი | თამ. | ქ/საშ. | | მ/საშ. | | პ/საშ. | | ჩ/საშ. | | დ/საშ. | | შ/საშ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დავით ბერძენიშვილი | 11 | 56 | 5.1 | 31 | 2.8 | 3 | 0.3 | 5 | 0.5 | 1 | 0.1 | 7 | 0.6 |
| გეგი ლიპარტელიანი | 9 | 37 | 4.1 | 12 | 1.3 | 18 | 2.0 | 10 | 1.1 | 0 | 0.0 | 5 | 0.6 |
| დავით უგრეხელიძე | 24 | 277 | 11.5 | 158 | 6.6 | 33 | 1.4 | 24 | 1.0 | 12 | 0.5 | 27 | 1.1 |
| ვაკო ბეჟანიშვილი | 20 | 237 | 11.9 | 75 | 3.8 | 33 | 1.7 | 15 | 0.8 | 6 | 0.3 | 25 | 1.3 |
| ლაშა გამყრელიძე | 21 | 253 | 12.0 | 56 | 2.7 | 111 | 5.3 | 47 | 2.2 | 0 | 0.0 | 65 | 3.1 |
| ვახტანგ მინაშვილი | 16 | 118 | 7.4 | 48 | 3.0 | 22 | 1.4 | 15 | 0.9 | 3 | 0.2 | 14 | 0.9 |
| გიორგი მარკოიშვილი | 25 | 286 | 11.4 | 62 | 2.5 | 39 | 1.6 | 29 | 1.2 | 3 | 0.1 | 35 | 1.4 |
| გიორგი ცეკვავა | 15 | 69 | 4.6 | 27 | 1.8 | 38 | 2.5 | 16 | 1.1 | 2 | 0.1 | 18 | 1.2 |
| კოტე ტუღუში | 22 | 296 | 13.5 | 112 | 5.1 | 93 | 4.2 | 44 | 2.0 | 9 | 0.4 | 41 | 1.9 |
| მიხეილ ჟოჟუა | 17 | 118 | 6.9 | 24 | 1.4 | 38 | 2.2 | 16 | 0.9 | 7 | 0.4 | 18 | 1.1 |
| რეზო დიდია | 24 | 228 | 9.5 | 66 | 2.8 | 50 | 2.1 | 23 | 1.0 | 3 | 0.1 | 24 | 1.0 |
| რამაზ გოგობერიშვილი | 23 | 178 | 7.7 | 45 | 2.0 | 33 | 1.4 | 21 | 0.9 | 1 | 0.0 | 11 | 0.5 |
| ანატოლი ბოისა | 22 | 155 | 7.0 | 85 | 3.9 | 45 | 2.0 | 21 | 1.0 | 2 | 0.1 | 27 | 1.2 |
| ჟურივეტ ტუჯანი | 21 | 165 | 7.9 | 103 | 4.9 | 18 | 0.9 | 30 | 1.4 | 9 | 0.4 | 27 | 1.3 |
| ბოიან მალეშევიჩი | 6 | 29 | 4.8 | 15 | 2.5 | 39 | 6.5 | 6 | 1.0 | 1 | 0.2 | 17 | 2.8 |

| ავიამშენი | თამ. | ქ/საშ. | | მ/საშ. | | პ/საშ. | | ჩ/საშ. | | დ/საშ. | | შ/საშ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლევან მოსეშვილი | 11 | 18 | 1.6 | 19 | 1.7 | 18 | 1.6 | 8 | 0.7 | 0 | 0.0 | 13 | 1.2 |
| დავით ბერიშვილი | 22 | 75 | 3.4 | 66 | 3.0 | 93 | 4.2 | 21 | 1.0 | 1 | 0.0 | 48 | 2.2 |
| დავით ბარბაქაძე | 9 | 77 | 8.6 | 38 | 4.2 | 18 | 2.0 | 13 | 1.4 | 3 | 0.3 | 14 | 1.6 |
| თორნიკე ნინიაწვილი | 16 | 105 | 6.6 | 73 | 4.6 | 9 | 0.6 | 7 | 0.4 | 3 | 0.2 | 19 | 1.2 |
| ლადო სუხიშვილი | 21 | 121 | 5.8 | 95 | 4.5 | 10 | 0.5 | 3 | 0.1 | 3 | 0.1 | 20 | 1.0 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 3 | 14 | 4.7 | 1 | 0.3 | 2 | 0.7 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 1 | 0.3 |
| გიორგი ნიკოლაძე | 24 | 225 | 9.4 | 71 | 3.0 | 78 | 3.3 | 28 | 1.2 | 0 | 0.0 | 39 | 1.6 |
| ბუბა კვიმსაძე | 9 | 71 | 7.9 | 25 | 2.8 | 16 | 1.8 | 10 | 1.1 | 0 | 0.0 | 8 | 0.9 |
| ზვიად ბაგიაშვილი | 24 | 528 | 22.0 | 207 | 8.6 | 42 | 1.8 | 31 | 1.3 | 12 | 0.5 | 60 | 2.5 |
| პლასიდე როდუმტა | 19 | 124 | 6.5 | 98 | 5.2 | 22 | 1.2 | 21 | 1.1 | 18 | 0.9 | 27 | 1.4 |
| ირაკლი კეიდია | 21 | 180 | 8.6 | 59 | 2.8 | 17 | 0.8 | 7 | 0.3 | 6 | 0.3 | 36 | 1.7 |
| ირაკლი ხომტარია | 23 | 335 | 14.6 | 107 | 4.7 | 94 | 4.1 | 32 | 1.4 | 3 | 0.1 | 43 | 1.9 |
| ირაკლი ბერიშვილი | 23 | 306 | 13.3 | 54 | 2.3 | 123 | 5.3 | 34 | 1.5 | 2 | 0.1 | 58 | 2.5 |

| მაკაბი | თამ. | ქ/საშ. | | მ/საშ. | | პ/საშ. | | ჩ/საშ. | | დ/საშ. | | შ/საშ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გოჩა კორძაძე | 16 | 43 | 2.7 | 27 | 1.7 | 8 | 0.5 | 4 | 0.3 | 0 | 0.0 | 19 | 1.2 |
| დავით ენუქიძე | 9 | 12 | 1.3 | 8 | 0.9 | 14 | 1.6 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 5 | 0.6 |
| დავით ხიზანიშვილი | 5 | 25 | 5.0 | 9 | 1.8 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 2 | 0.4 |
| გიორგი პირველაშვილი | 24 | 110 | 4.6 | 68 | 2.8 | 75 | 3.1 | 27 | 1.1 | 2 | 0.1 | 90 | 3.8 |
| გიორგი შერმადინი | 17 | 639 | 37.6 | 239 | 14.1 | 68 | 4.0 | 19 | 1.1 | 39 | 2.3 | 115 | 6.8 |
| გიორგი გამცემლიძე | 1 | 0 | 0.0 | 4 | 4.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 |
| ზურაბ კორკოტაძე | 25 | 210 | 8.4 | 72 | 2.9 | 64 | 2.6 | 29 | 1.2 | 1 | 0.0 | 91 | 3.6 |
| მანუჩარ ნინუა | 8 | 18 | 2.3 | 9 | 1.1 | 7 | 0.9 | 9 | 1.1 | 0 | 0.0 | 19 | 2.4 |
| მიხეილ ცერცვაძე | 6 | 20 | 3.3 | 18 | 3.0 | 3 | 0.5 | 5 | 0.8 | 0 | 0.0 | 10 | 1.7 |
| მიხეილ ბარსეგიანი | 9 | 7 | 0.8 | 8 | 0.9 | 6 | 0.7 | 6 | 0.7 | 0 | 0.0 | 8 | 0.9 |
| სოსო შერმადინი | 25 | 366 | 14.6 | 224 | 9.0 | 24 | 1.0 | 10 | 0.4 | 8 | 0.3 | 78 | 3.1 |
| ირაკლი დოლიძე | 25 | 227 | 9.1 | 73 | 2.9 | 147 | 5.9 | 49 | 2.0 | 1 | 0.0 | 113 | 4.5 |
| ირაკლი მაისურაძე | 5 | 40 | 8.0 | 8 | 1.6 | 2 | 0.4 | 5 | 1.0 | 0 | 0.0 | 20 | 4.0 |
| ირაკლი ჯგერენაია | 9 | 90 | 10.0 | 46 | 5.1 | 18 | 2.0 | 6 | 0.7 | 3 | 0.3 | 25 | 2.8 |
| გივი ვაშაკიძე | 11 | 139 | 12.6 | 49 | 4.5 | 24 | 2.2 | 11 | 1.0 | 5 | 0.5 | 36 | 3.3 |
| გურამ პერტენავა | 2 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 |
| ნიკა ხორავა | 12 | 20 | 1.7 | 11 | 0.9 | 9 | 0.8 | 5 | 0.4 | 1 | 0.1 | 6 | 0.5 |

| დინამო | თამ. | ქ/საშ. | | მ/საშ. | | პ/საშ. | | ჩ/საშ. | | დ/საშ. | | შ/საშ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლექსო ლაფანაშვილი | 22 | 295 | 13.4 | 94 | 4.3 | 85 | 3.9 | 36 | 1.6 | 2 | 0.1 | 50 | 2.3 |
| დავით გვიმრაძე | 20 | 342 | 17.1 | 107 | 5.4 | 38 | 1.9 | 21 | 1.1 | 11 | 0.6 | 48 | 2.4 |
| დავით მურჯიკნელი | 22 | 157 | 7.1 | 83 | 3.8 | 20 | 0.9 | 12 | 0.5 | 0 | 0.0 | 32 | 1.5 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 24 | 292 | 12.2 | 135 | 5.6 | 34 | 1.4 | 28 | 1.2 | 12 | 0.5 | 46 | 1.9 |
| ზურაბ ბადრიძე | 22 | 236 | 10.7 | 54 | 2.5 | 73 | 3.3 | 40 | 1.8 | 0 | 0.0 | 40 | 1.8 |
| ზურაბ ტაბატაძე | 3 | 3 | 1.0 | 7 | 2.3 | 2 | 0.7 | 1 | 0.3 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 |
| ნოდარ ბეძაური | 7 | 27 | 3.9 | 12 | 1.7 | 2 | 4.3 | 5 | 0.7 | 1 | 0.1 | 11 | 1.6 |
| ნიკო ნოზაძე | 25 | 238 | 9.5 | 49 | 2.0 | 84 | 0.1 | 51 | 2.0 | 0 | 0.0 | 58 | 2.3 |
| ირ. გულისაბედაშვილი | 24 | 273 | 11.4 | 92 | 3.8 | 74 | 3.5 | 50 | 2.1 | 0 | 0.0 | 56 | 2.3 |
| მახტანგ ბოლქვაძე | 12 | 30 | 2.5 | 25 | 2.1 | 6 | 6.2 | 2 | 0.2 | 0 | 0.0 | 5 | 0.4 |
| გურამ მოდებაძე | 1 | 6 | 6.0 | 1 | 1.0 | 3 | 6.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 |
| ლევან ბაბაშვილი | 6 | 2 | 0.3 | 5 | 0.8 | 4 | 0.5 | 0 | 0.0 | 0 | 0.0 | 6 | 1.0 |
| ლაშა კეშელავა | 10 | 73 | 7.3 | 36 | 3.6 | 7 | 0.4 | 12 | 1.2 | 1 | 0.1 | 7 | 0.7 |
| ოთარ ფაიძრიძე | 21 | 42 | 2.0 | 44 | 2.1 | 30 | 1.4 | 20 | 1.0 | 2 | 0.1 | 20 | 1.0 |
| ნოდარ სიგუა | 19 | 60 | 3.2 | 26 | 1.4 | 33 | 1.7 | 22 | 1.2 | 0 | 0.0 | 18 | 0.9 |
| ნიკა წერეთელი | 6 | 15 | 2.5 | 3 | 0.5 | 2 | 0.3 | 1 | 0.2 | 0 | 0.0 | 1 | 0.2 |

| სტუ | თამ. | ქ/საშ. | | მ/საშ. | | პ/საშ. | | ჩ/საშ. | | დ/საშ. | | შ/საშ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დავით მაისურაძე | 21 | 234 | 11.1 | 139 | 6.6 | 47 | 2.2 | 27 | 1.3 | 2 | 0.1 | 63 | 3 |
| დავით ბაბუნაშვილი | 11 | 88 | 8.0 | 25 | 2.3 | 28 | 2.5 | 9 | 0.8 | 0 | 0 | 26 | 2.4 |
| ლაშა დევიძე | 19 | 73 | 3.8 | 35 | 1.8 | 9 | 0.5 | 12 | 0.6 | 2 | 0.1 | 23 | 1.2 |
| ლაშა ეძგვერაძე | 20 | 78 | 3.9 | 15 | 0.8 | 38 | 1.9 | 6 | 0.3 | 0 | 0 | 36 | 1.8 |
| გულივერ ახალკაცი | 25 | 338 | 13.5 | 171 | 6.8 | 43 | 1.7 | 25 | 1 | 13 | 0.5 | 73 | 2.9 |
| ლუკა ნოზაძე | 20 | 126 | 6.3 | 85 | 4.3 | 14 | 0.7 | 8 | 0.4 | 6 | 0.3 | 39 | 2 |
| გიგი ბარბაქაძე | 24 | 304 | 12.7 | 69 | 2.9 | 58 | 2.4 | 32 | 1.3 | 6 | 0.3 | 71 | 3 |
| ალეკო ძიძიგური | 10 | 31 | 3.1 | 9 | 0.9 | 27 | 2.7 | 6 | 0.6 | 2 | 0.2 | 25 | 2.5 |
| ნოდარ ბერაია | 21 | 425 | 20.2 | 99 | 4.7 | 74 | 3.5 | 39 | 1.9 | 4 | 0.2 | 75 | 3.6 |
| ჯემალ ფოლადაშვილი | 6 | 9 | 1.5 | 6 | 1 | 0 | 0 | 3 | 0.5 | 0 | 0 | 3 | 0.5 |
| ილია სეფისკვერაძე | 20 | 56 | 2.8 | 10 | 0.5 | 16 | 0.8 | 10 | 0.5 | 0 | 0 | 8 | 0.4 |
| შალვა კოხრეიძე | 25 | 284 | 11.4 | 117 | 4.7 | 115 | 4.6 | 61 | 2.4 | 2 | 0.1 | 109 | 4.4 |
| ტუხაშვილი | 1 | 0 | 0.0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ალეკო ბერბიჟაშვილი | 3 | 3 | 1.0 | 1 | 0.3 | 1 | 0.3 | 1 | 0.3 | 0 | 0 | 1 | 0.3 |
| ნოდარ სიგუა | 19 | 60 | 3.2 | 26 | 1.4 | 33 | 1.7 | 22 | 1.2 | 0 | 0.0 | 18 | 0.9 |
| ნიკა წერეთელი | 6 | 15 | 2.5 | 3 | 0.5 | 2 | 0.3 | 1 | 0.2 | 0 | 0.0 | 1 | 0.2 |

| თსუ | თამ. | ქ/საშ. | | მ/საშ. | | პ/საშ. | | ჩ/საშ. | | დ/საშ. | | შ/საშ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლევან ტყეშელაშვილი | 15 | 42 | 2.8 | 35 | 2.3 | 19 | 1.3 | 7 | 0.5 | 0 | 0.0 | 12 | 0.8 |
| დავით არწივიძე | 24 | 105 | 4.4 | 38 | 1.6 | 51 | 2.1 | 30 | 1.3 | 0 | 0.0 | 40 | 1.7 |
| დავით იმნაძე | 15 | 128 | 8.5 | 65 | 4.3 | 17 | 1.1 | 10 | 0.7 | 6 | 0.4 | 21 | 1.4 |
| ლუკა შანიძე | 25 | 315 | 12.6 | 97 | 3.9 | 32 | 1.3 | 26 | 1.0 | 6 | 0.2 | 38 | 1.5 |
| გიორგი მარხვაშვილი | 12 | 48 | 4.0 | 11 | 0.9 | 17 | 1.4 | 6 | 0.5 | 0 | 0.0 | 8 | 0.7 |
| ზურაბ სანიკიძე | 11 | 41 | 3.7 | 34 | 3.1 | 8 | 0.7 | 7 | 0.6 | 1 | 0.1 | 13 | 1.2 |
| მიხეილ ფანჩულიძე | 25 | 199 | 8.0 | 44 | 1.8 | 32 | 1.3 | 26 | 1.0 | 3 | 0.1 | 33 | 1.3 |
| მიხეილ ბერიშვილი | 23 | 148 | 6.4 | 74 | 3.2 | 33 | 1.4 | 22 | 1.0 | 10 | 0.4 | 33 | 1.4 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 23 | 274 | 11.9 | 181 | 7.9 | 45 | 2.0 | 26 | 1.1 | 26 | 1.1 | 50 | 2.2 |
| ნიკა ვეფხვაძე | 25 | 105 | 4.2 | 83 | 3.3 | 63 | 2.5 | 29 | 1.2 | 2 | 0.1 | 31 | 1.2 |
| შიო ხეცურიანი | 21 | 306 | 14.6 | 75 | 3.6 | 80 | 3.8 | 30 | 1.4 | 5 | 0.2 | 50 | 2.4 |
| ბესიკ ლეჟავა | 25 | 405 | 16.2 | 62 | 2.5 | 45 | 1.8 | 36 | 1.4 | 6 | 0.2 | 75 | 3.0 |
| ბუბა ბერიშვილი | 24 | 247 | 10.3 | 62 | 2.6 | 77 | 3.2 | 62 | 2.6 | 4 | 0.2 | 57 | 2.4 |

შენიშვნა: თამ-თამაში; ქ/საშ-ქულა/საშუალო; მ/საშ-მოხსნა/საშუალო; პ/საშ.-პასი/საშუალო; ჩ/საშ.-ჩაჭრა/საშუალო; დ/საშ-დაფარება/საშუალო;.შ/საშ.-შეცდომა/საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა

ინტერვიუ გიორგი ასანიძესთან

# სამიდან ხუთ ლიცენზიამდე

## ოლიმპიური ჩემპიონი მსოფლიო პირველობისთვის ემზადება



**რამდენიმე დღის წინათ ფრანგულ სტრასბურში ევროპის ჩემპიონატი დასრულდა ძალოსნობაში. ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, კი უნდა გვქონოდა საბაბი თანამემამულე ძალოსნების წარმატებებისთვის შეგვევლო თვალი, მაგრამ ამჯერად ევროპულ ფიცარნაგზე ქართველები ვერ ვიხილეთ - ნაკრების მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა სტრატეგიული თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ ჩაითვალა და აქცენტი სექტემბერში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე გაკეთდა.**

**როგორც იცით, მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყანას გუნდური შედეგით ეძლევა ოლიმპიური ლიცენზია და საჭირო ქულები რომ დაგროვდეს, რამდენიმე სპორტსმენმა უნდა აჩვენოს სათანადო შედეგი. სტრასბურში ქართველი მაინც გამოჩნდა, მხოლოდ კულისებში - ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე, როგორც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ძალოსანთა კონგრესში იღებდა მონაწილეობას. ცხადია, ჩემპიონატსაც მიადევნა თვალი და მისთვის საინტერესო ბევრი რამ ჩაინიშნა. გიორგი ასანიძე "ლელოს" სტუმარია და ფრანგულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.**

- მართალია, უშუალოდ შეჯიბრზე სპორტსმენები არ მივავლინეთ, მაგრამ ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგით - ჩვენი მთავარი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლაა. ამჯერად მხოლოდ დაზვერვით შემოვიფარგლეთ. როგორც იცით, აქტიურ სპორტს დავუბრუნდი და ოლიმპიადისთვის სერიოზულად ვემზადები. ამიტომ საინტერესო იყო, ჩემს წონაში ვინ როგორ ფორმაში იმყოფებოდა, ხომ არ გამოჩნდა პერსპექტიული ათლეტი და საერთოდ, რა ტენდენციები იყო გამოკვეთილი. ასევე ვმონაწილეობდი ევროპის ძალოსნობის ფედერაციის კონგრესში - ასეთი შეკრებები ყველა დიდი ტურნირის წინ იმართება. მრავალ საკითხთა განხილვა მოხდა, ძირითადი თემები კი მზადებას ეხებოდა და გამორჩეული ყურადღება ანტისადოპინგო კომისიის მოხსენებამ მიიპყრო: ყველა ქვეყანამ უნდა წარადგინოს ძალოსანთა სია და მზადების გეგმა - სად გაივლიან შეკრებას, რამდენჯერ და მისამართი და ტელეფონის ნომრებიც უნდა გახადონ ცნობილი. ეს იმიტომ კეთდება, რომ საერთაშორისო ფედერაციამ დოპინგკონტროლი ნებისმიერ დროს ჩაატაროს, შესაძლოა მოულოდნელობის ეფექტი გამოიყენონ და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოგაკითხონ შემოწმებაზე.

15 წუთით ადრე დაგირეკავენ და გეტყვიან, რომ დოპინკონტროლზე გასვლა გმართებთ. ორი საათის განმავლობაში ვალდებული ხარ, კონტროლი გაიარო. სხვათა შორის, ათენის ოლიმპიადის წინ ასეთივე წესები იყო: მე, მაგალითად, ოთხჯერ გავიარე დოპინგკონტროლი. ამის გამო ათენის ოლიმპიადა ბოლო 20 წელიწადში ჩატარებულ ოლიმპიადათაგან ყველაზე "სუფთა" იყო. ეს ეხება ნებისმიერ სახეობას. შესაბამისად, შედეგებმაც იკლო, რაც ძალიან ბუნებრივია.

**- რახან შედეგებზე ჩამოაგდეთ სიტყვა, გვითხარით, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი ამ მხრივ როგორ გამოირჩა.**

- პირდაპირ გეტყვით, რომ არ იყო მაღალი შედეგები. მართალია, ცალკეულ წონებში კარგი შედეგიც აჩვენეს, მაგრამ საერთო სურათი საშუალო მივიღეთ. ჩემს წონაში ორჭიდის ჯამში 373 კგ-ით მოიგო რუმინელმა ვალერი კალანჩამ. იგი 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონია. ასეთივე შედეგი აჩვენეს თურქმა და ბელარუსმა ძალოსნებმა.

ჩემს წონაში დღეისთვის ლიდერად ითვლება ბელარუსი ნიკოლაი რიბკოვი, რომელიც ამჯერად ისვენებდა. მან შარშან მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში - 186 კგ დაძლია; აკვრაში კი - 206; მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება ორჭიდში 383 კგ-ით შეძლო. შედეგი ძალიან მაღალი არ არის, თავის დროზე 390 კგ-ს რეგულარულად ვაგროვებდი.

**- სხვა პერსპექტიული კონკურენტები თუ გამოგიჩნდათ?**

- ახალგაზრდა ბერძენი ათლეტია, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ სტრასბურში ვერ იყო კარგ ფორმაში. თუმცა მისი გამორიცხვა არ შეიძლება. სხვა არავინ ჩანს.

**- თუმცა, კონკურენტები მსოფლიო მასშტაბითაც არიან...**

- ალბათ იქნებიან, ყველაზე მეტად კი ჩინელებს უნდა ვუფრთხოდე. მხოლოდ არა იმას, ვისაც ათენში მოვუგე... დანარჩენებს მსოფლიო ჩემპიონატზე ვიხილავთ.

**- სტრასბურში გამგზავრებამდე პოლონეთში, ხანგრძლივ შეკრებაზე იმყოფებოდით. როგორ ჩაიარა მზადებამ? კმაყოფილი ხართ?**

- პოლონეთში ზუსტად ორი თვე გახლდით. გამგზავრებისას ბარძაყის ტრავმა მქონდა - კუნთი ორ სანტიმეტრზე გამეხა. ამან საწყისი ორი კვირა გამიცდინა, თუმცა ვიმკურნალე და სრული დატვირთვით ვარჯიში გავაგრძელე. საბოლოო შედეგით კმაყოფილი დავრჩი - დღეისთვის ატაცში 160კგ-ს, ხოლო აკვრაში 190-ს ვერევი. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ კარგ შედეგებზე ვიფიქროთ.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს ხომ არ უმიზნებთ?**

- ამ ეტაპზე მთავარი მიზანია ლიცენზიისთვის ქულები დავაგროვოთ. ჩემპიონობას ნამდვილად არ ვგეგმავთ. არც რაიმე სახის მედალს. მსოფლიო ჩემპიონატსაც ოლიმპიადისთვის მზადებისთვის გამოვიყენებთ, მაგრამ თუკი შედეგი მედლისთვის გახდება საკმარისი, ცხადია, უარს არ ვიტყვით; ორჭიდის ჯამში ვგეგმავ 365-372 კგ-ის დაძლევას.

**- ლიცენზიის მოპოვება რახან უპირველესი საკითხია, ამ საქმეში გუნდის სხვა წევრებმაც უნდა შეიტანონ წვლილი. ამ მხრივ როგორ არის საქმე - როგორც ვიცით ტრავმიანობა იყო გუნდში...**

- არსენ კასაბიევმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მართალია ოდნავ აწუხებს, მაგრამ სრული დატვირთვით მაინც ვარჯიშობს. ასევე განაახლა წვრთნა ზვიად სამუკაშვილმაც და იმედი გვაქვს, რომ მსოფლიომდე ფორმაში ჩადგება. კარგ ფორმაშია და ქულების მოპოვება შეუძლია ალბერტ კუზილოვს, ხოლო გიორგი მაჭავარიანმა კი შარშანდელ სეზონში ისეთი შედეგები აჩვენა, რომ სავსებით შესაძლებელია მედლისთვისაც კი იბრძოლოს. სხვებისაც გვეიმედება და პირველად ქართული ძალოსნობის ისტორიაში ტაილანდში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სრული შემადგენლობით - 8 კაცით გავემგზავრებით.

იქამდე თითქმის 5 თვეა დარჩენილი, რაც მოსამზადებლად საკმაოდ დიდი დროა, ასე რომ, რაულ ცირეკიძეს, თემურ ჩხეიძეს, თემურ გოგიასა და იმავე ზვიად სამუკაშვილს თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ. საერთო ჯამში, თუ გვსურს, რომ ოთხზე მეტი ლიცენზია მოვიპოვოთ, საშუალოზე უკეთესი გუნდური შედეგი უნდა ვაჩვენოთ. დღეისთვის იმ ზონაში ვიმყოფებით, რომელიც 4 საგზურს იძლევა: 51 ქულა გვაქვს და ამერიკის ნაკრებთან ერთად მეთვრამეტე ადგილზე ვართ. ხუთი ლიცენზიისთვის 12 საუკეთესოში უნდა მოვხვდეთ, რაც სავსებით რეალურია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ პოზიციებიც დავთმოთ და სამ ლიცენზიამდე ჩამოვქვეითდეთ. 24 საუკეთესოში ყოფნა მხოლოდ სამ საგზურს იძლევა.

**- იმედია, არ ჩამოვქვეითდებით. თქვენი გეგმით, გამოდის, რომ ხუთ ლიცენზიას გეგმავთ, ექვსის შანსი არ გვაქვს?**

- გამორიცხულია - ექვსეულში უნდა შევიდეთ, რაც ამ ეტაპზე ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ერთი და ორი წლის შემდეგ, ანუ მომავალი ოლიმპიადისთვის მეტზეც გავიბრძოლებთ, მაგრამ დღეს ხუთიც რომ მოვიპოვოთ, შედეგი იქნება - აქამდე არც ხუთი და არც ოთხი ძალოსანი არ გვყოლია ოლიმპიადაზე...

**ზვიად შათირიშვილი**

პრობლემა



# ტონთიო ზედმეტი აღმოჩნდა

**სპორტისა და კულტურის სამინისტრომ გორში ტურისტულ ცენტრ „ტონთიოს" დახურვა გადაწყვიტა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა მიხეილ ცერცვაძემ პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას ამცნო ხელისუფლების გადაწყვეტილების შესახებ. კლუბის თანამშრომლებს გორში იმ შენობის სასწრაფოდ დაცლაც მოსთხოვეს, რომელიც „ტონთიომ" 1991 წელს მიტოვებული და აბსოლუტურად გაპარტახებული ჩაიბარა, დღეს კი მას, ქართულად, დახვეწილად მოწყობილს, გულნაკლული ტოვებს. გავრცელებული ინფორმაციით, შენობაში კომპლექსური სპორტული სკოლა უნდა განთავსდეს, კულუარული ხმებით კი ის მავანთა ბიზნესინტერესებში შედის.**

გორში არსებული ეს ერთადერთი ტურისტული ცენტრი უკვე 24 წელიწადია მუშაობს და საკმაოდ ნაყოფიერადაც. საქალაქო და მოსწავლეთა ალპინიადები, ტურისტული ლაშქრობები და უამრავი სხვა ღონისძიებები რეგულარულად იმართებოდა ამ რეგიონში „ტონთიოს" ორგანიზებით. „ტონთიო" ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან გორში ჩასული ტურისტების მასპინძელი გახლდათ. უკანასკნელად ყველაზე მასშტაბური ღონისძიება მიმდინარე წლის თებერვალში ატენის ხეობის სოფელ ბიისში გამართული საქართველოს ჩემპიონატი იყო ალპინისტურ ორჭიდში (გაყინულ ჩანჩქერზე). ორგანიზაცია უწინ ბიუჯეტიდან წელიწადში 12 ათასი ლარით ფინანსდებოდა. „ტონთიომ" საფრთხის პირველი სიგნალი წლის დასაწყისში მიიღო, როცა დაფინანსების მიზერულ თანხამდე შემცირებას უპირებდნენ. მაშინ საბოლოოდ მათთვის წლიური 8 ათასი ლარის გამოყოფა დამტკიცდა, თუმცა უკანასკნელი ორი თვე არც ეს თანხა მიუღიათ, ბოლოს კი გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებაც ამცნეს.

*„ასეთი დაფინანსება თანამშრომელთა ხელფასებისთვისაც არ იყო საკმარისი და ღონისძიებების, ალპინიადებისა, თუ ტურისტული ლაშქრობების გასამართად სახსრების სხვადასხვა მხრიდან მოძიებაც გვიწევდა. დაგვეთანხმებით, მეცენატებისგან გაწეული თანადგომაცაა იმის დასტური, თუ რაოდენ სასიკეთოდ მიიჩნევდნენ ამ ქალაქსა და მის გარეთ ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებს. კლუბში ჩვენი მეოხებით ამჟამად ტურისტებისა და ალპინისტებისათვის უამრავი აუცილებელი ინვენტარია თავმოყრილი და ახლაც ფაქტობრივად, ქუჩაში გაძევებულები ჩვენმა ერთ - ერთმა მეგობარმა შეგვიფარა. ინვენტარი მის ბინაში გადაგვაქვს. უამრავ სასიკეთო საქმესთან ერთად, რასაც „ტონთიო" ახორციელებდა, იყო ჩვენს მიერ ყოველ ზაფხულს მოწყობილი ბანაკი ბავშვებისათვის ატენის ხეობაში. უსახსროდ დარჩენილები წლეულს ალბად იგივეს ველარ შევძლებთ. უცნაურია, ახლა, როცა სახელმწიფო ტურიზმისთვის მეტი ყურადღების დათმობას აპირებს, - ჩვენს ორგანიზაციას ზედმეტად მიიჩნევენ. იყო მუქარებიც - როგორც ჩანს, პროტესტის გამოთქმის უფლებაც არ გვქონია. ამჟამად მიუხედავად უსახსრობისა და ორგანიზაციისთვის ფართის ჩამორთმევისა, დაშლას არ ვაპირებთ. გვინდა გავაგრძელოთ საქმე, რომელიც არა მხოლოდ ამ რეგიონს, მთელ საქართველოს ყოველთვის სასიკეთოდ ადგებოდა. საერთოდ კი... სანამ მთები იქნება, ჩვენც ვიქნებით"*, - განაცხადა „ლელოსთან" საუბარში **მიხეილ ცერცვაძემ.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ამერიკელებმა აჯობეს

**ჩოგბურთი.** შარლოტსვილში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი) მიმდინარეობს. ძირითადი ბადის პირველ წრეში **სოფიო მელიქიშვილი** (464) პირველ ნომრად განთესილ ამერიკელ **მეგან შონესის** (56) ხვდებოდა, ქართველმა თინეიჯერმა გამოცდილ ჩოგბურთელს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ორ სეტში წააგო - 1:6, 3:6. **ანა ტატიშვილი** (335) მე-6 ნომრად განთესილ ამერიკელ ლილია ოსტერლოს (155) შეხვდა და ვერც მან გააწყო რამე მეტოქესთან - 3:6, 4:6. მელიქიშვილი და ტატიშვილი ბრძოლას წყვილთა თანრიგში აგრძელებენ, სადაც მათ ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვეს.

## კალაშნიკოვას დამარცხდა

**ჩოგბურთი.** ანთალიაში ქალთა 25-ათასიან ტურნირში სამმა ქართველმა ჩოგბურთელმა გაალწია ძირითად ბადეში, ამათგან მხოლოდ 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** დასძლია პირველი წრე. მერვედფინალში კალაშნიკოვა (915) ერთი წლით უფროს შვეიცარიელ **შტეფანი ფოგელს** (328) ხვდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი ბოლო წარმომადგენელიც დაემშვიდობა ერთეულთა თანრიგს, ოქსანამ 4:6, 0:6 წააგო. წყვილთა თანრიგში **თინათინ ყავლაშვილი სოფიო შაფათავას** შეუწყვილდა, მათ პირველივე წრეში წააგეს, ხოლო კალაშნიკოვა - **სოფიო ქვაცაბაიას.** ქვაცაბაია და კალაშნიკოვა კარგად ასპარეზობენ, ისინი ტურნირის ფინალში გავიდნენ, ნახევარფინალში მათ ბრიტანელებს (**კინი, კეტავონგი**) მოუგეს.

## მოგება-წაგება

**პლაჟბურთი.** შანხაიში მიმდინარე მსოფლიო ტურის ეტაპზე ასპარეზობას განაგრძობს ქალთა ქართული დუეტი **საქა-რთველო.** ტურნირის ძირითად ბადეში ჩვენმა პლაჟბურთელებმა პირველი შეხვედრა მეორე ნომრად განთესილ ჩინურ დეუტთან **ხუე-ჭანგ ხისთან** წააგეს 0:2 (18:21, 14:21). თუმცა მერე მე-15 ნომრებს, ჰოლანდიელებს **კადიკსა და მოორენს** მოუგეს 2:1 (16:21, 21:15, 15:13).

დღეს საქა-რთველო მეჩვიდმეტე ნომრად განთესილ იაპონურ დუეტს **ტერუ საიკისა და კუსუჰარას** დაუპირისპირდება. ჩვენ პლაჟბურთელებს ნაგების უფლება აღარ აქვთ.

საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს ზურაბ ქაცარავას დედის გარდაცვალების გამო.

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# დაცვა თუ შეტევა? ნეში თუ დანკანი?

ესეც ასე, დასავლეთის საპირველწრეო ორი სერიაც მშვიდად, მოლოდინისამებრ ჩამთავრდა და მძიმეწონოსანთა პრინციპულ დაპირისპირებამდე, ამ სერიების ბოლო მატჩები მიმოვიხილოთ. "ფინიქსი" **კობი ბრაიანტის** "ლეიკერსს" მასპინძლობდა, ხოლო "სან ანტონიო" კი, კედელთან მიყენებულ "ნაგეტსს" დაუხვდა.

მთელი მატჩის განმავლობაში "ლეიკერსი" წინ ერთხელაც არ გასულა. **სტივ ნეში** და მისი რაზმი მთლად ტორნადოსავით ვერ დაქროდა, მაგრამ უსისტემო დაცვის წინააღმდეგ, მასპინძელთა ინდივიდუალიზმიც საკმარისი იყო.

"ფინიქსი" მეორე მეოთხედში 15 ქულას იგებდა, ხოლო ძირითადის დასრულებამდე თითქმის 6 წუთი რომ რჩებოდა, მასპინძელთა უპირატესობამ უკვე 16 ქულა შეადგინა.

აი, აქ კი ინება გამოცოცხლება კობიმ, რომელმაც ბლომად ქულები კი მოიმკო, მაგრამ შეხვედრა ამჯერადაც ძალიან ცუდი ჩაგდების პროცენტით დაასრულა (33-ში მხოლოდ 13-ჯერ ივარგა და ბოლო მეოთხედამდე, ზედიზედ 6 სამქულიანი გააფუჭა). ბრაიანტმა ზედიზედ ორჯერ ივარგა შორი დისტანციიდან, შესანიშნავად მოთამაშე **ლამარ ოდომმა** ამას თავისი წილი 4 ქულა წაუმატა და სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა. შუალედში ჩვენს ძველ ნაცნობს, **შემონდ უილიამსს** ტარებისას ბურთი რომ არ დაეკარგა, სხვაობა კიდევ უფრო შემცირდებოდა.

*"თავიდანვე რომ ასე ენერგიულად გვეთამაშა, იქნებ არ წაგვეგო კიდეც, მაგრამ "ფინიქსი" ჩვენზე უკეთესი გუნდია და 5-დან ერთი მატჩიც რომ მოვიგეთ, "ლეიკერსის" დარი ახალგაზრდა გუნდისთვის, ესეც კარგი შედეგია. მომავალ სეზონში კიდევ მოვუმატებთ"*, - ამბობდა ნამატჩევს კობი.

"ლეიკერსი" სწორ გზაზეა და კობისა და ოდომის სახით ის დასაყრდენიც აქვს, რომლითაც საკმაოდ კარგი გუნდის დაყენებაა შესაძლებელი, თუმცა ამისთვის, პირველ რიგში, შემადგენლობის რადიკალურად შეცვლა იქნება საჭირო.

**კვამე ბრაუნი** არ არის ის ცენტრი, ვისაც **ფილ ჯექსონმა** ზედიზედ მესამე რეგულარულში უსაზღვრო ნდობა რომ უნდა გამოუცხადოს. ბრაუნი შეიძლება ნიჭიერია, მაგრამ მისი ნიჭი იმდენად ღრმად ზის, რომ ჯექსონის გარდა, ამას პრაქტიკულად, ვერავინ ამჩნევს.

კვამეს ადგილას პერსპექტიულ **ენდრიუ ბინუმს** მწვანე შუქი უნდა აუნთონ და მაშინ "ლეიკერსის" სამწამიანში შესვლას ახლანდელივით ბევრი ველარ გაბედავს. **ბრაიან კუკის** ადგილზე ერთი გამოცდილი ფორვარდის დაყენებაა შესაძლებელი. კუკის გასამრჯელოთი (სეზონში 3 მილიონი დოლარი), კალიფორნიაში დიდი სიამოვნებით წავლენ ყველასგან მივიწყებული (და წელს უთამაშებელი) **კიტ ვან ჰორნი** და "ფილადელფიის" ბებერი მომხსნელი **ჯო სმიტი**. შემონდ უილიამსი, **ჯორდან ფარმარი** და **მორის ევანსი** კი არავის არაფერს უშლიან და მათი საერთო სახელფასო ღირებულებაც (6.2 მილიონი) არ არის იმდენად კატასტროფული, რომ ჯექსონმა რომელიმეს გაშვება მოინდომოს.

"ფინიქსმა" კი დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ბოლო 5 წუთში **შონ მერიონსა** (ამ დროში 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება) და სტივ ნეშს (3 პასი, 4 ქულა) სუპერტანდემი რომ არ დაექოქათ, სტუმარს მატჩის დამატებით დროში გადაყვანის, ან სულაც მოგების შანსი მიეცემოდა. სტუმრებმა შეხვედრა მხოლოდ 7 შედეგიანი გადაცემით დაასრულეს, მაშინ როდესაც "სანზის" ანგარიშზე 23 ზუსტი პასი იყო.

"ლეიკერსი" ფლეი ოფის პირველ წრეში ზედიზედ მესამედ გავარდა, რაც გუნდს 1992-94 წლების შემდეგ არ დამართვია. 1994-სა და 2005-ში, კალიფორნიელები საერთოდ ვერ მოხვდნენ დასავლეთის რვა საუკეთესო გუნდში, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომავალ რეგულარულში ფილ ჯექსონს საკმაოდ სიმპათიური გუნდი უნდა ჰყავდეს, ბინუმი კი ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშისთვის დაწესებული პრიზის მოპოვების მთავარი ფავორიტი იქნება.

■ ■ ■

ფლეი ოფში გასულ გუნდს იმედგაცრუებას როგორ ვუწოდებთ, მაგრამ სან ანტონიოში, პირველ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვების მერე, "დენვერ ნაგეტსის" შემდგომი გამოსვლა იმედგაცრუებასთან მართლაც ახლოს იდგა.

სხვა საქმეა, თუ რა იყო კოლორადოელთა ფიასკოს მიზეზი. გამოუცდელობა? კი, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან **ალენ აივერსონს, მარკუს კემბისა** და პირველ რიგში, მთავარ მწვრთნელ **ჯორჯ კარლს,** ზურგს იმხელა საფლეიოფო ბატალიები უმაგრებს, რომ ამ ფაქტორის მიზეზად მოშველიება მთლად სწორი არ უნდა იყოს. კარლი, თავის დროზე "სიეტლთან" ერთად სუპერფინალშიც კი ყოფილა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ჯორჯის გუნდი "ბულზთან" 2:4 დამარცხდა. ის ორი მატჩი რომ მოიგო, ესეც სასწაული იყო.

შეუთამაშებლობა? ესეც გასათვალისწინებელია. აივერსონი გუნდს შუა სეზონში შეუერთდა და სანამ **კარმელო ენტონისთან** საერთო ენა გამონახა, "ნაგეტსმა" ძალიან ბევრი დაუგეგმავი მარცხი იგემა. ალენის გარდა კი, შეთამაშების პრობლემა სხვებს არ ჰქონიათ, რადგან ამ შემადგენლობით გუნდი უკვე რა ხანია, ერთად ასპარეზობენ.

აბა რა? "სპურსი"!

მერამდენედ დაიწყო ფლეი ოფამდე ამ გუნდის ასაკზე საუბარი. აქაოდა, **გრეგ პოპოვიჩის** ბიჭებს თმაში ჭაღარა შეერიათ და ძველებურად მოტივირებულნიც ველარ არიანო.

სისულელეა **ტიმ დანკანისა** და მისი თანაგუნდელების შესახებ ასეთი რალაცების მოსმენა, რადგან სანამ ამ გუნდს პოპოვიჩი უდგას სათავეში, "სპურსში" უმოტივაციოდ ვერავინ გაჩერდება..

"სან ანტონიომ" მძიმედ დაიწყო "დენვერთან" ომი და მერე, როგორც კი მოწინააღმდეგეს სუსტი წერტილები უპოვნა, ადგა და გადაუარა.

დანკანს 25 ქულაზე მეტი არცერთ მატჩში გაუკეთებია, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა გამოიჩინეს უხვქულიანობა, რომელიც ყველა მატჩზე თანაბრად გადანაწილდა. ერთ შეხვედრაში **მანუ ჯინობილიმ** გაილაღა, მეორედ **რობერტ ორიმ** იყოჩაღა, ბოლოს კი **მაიკლ ფინლიმ** დაიქუხა, რომელმაც სერიის მეხუთე შეხვედრაში "სპურსის" ერთი საფლეიოფო რეკორდიც დაამყარა. ბებერმა მაიკლმა 9 სამქულიანიდან 8 გამოიყენა და **ვინი დელ ნეგროსა** და **შონ ელიოტის** წინა მიღწევა, ერთბაშად ორი ზუსტი შორეული გასროლით გააუმჯობესა.

აივერსონს კი თამაში არც ამჯერად წაუვიდა, რისი თავი და თავი კვლავ **ბრიუს ბოუენის** დაცვაში კარგი თამაში იყო. ბოუენმა ალენს მთელი მატჩი კუდში სდია, "ნაგეტსის" სუპერვარსკვლავმა კი 22-დან მხოლოდ 6 სროლა გამოიყენა. საერთოდ, ეს აივერსონის კარიერაში ყველაზე უსახური ფლეი ოფი იყო.

"სპურსი" მომდევნო წრეში "დენვერივით" მორბენალ, მაგრამ ოდნავ უკეთესი შემადგენლობის მქონე "სანზს" დაეჯახება და მოედნის უპირატესობაც რეგულარულში უკეთ მოთამაშე ნეშისა და კომპანიის მხარეს იქნება. სეზონის 3 მატჩიდან 2 შეხვედრა "სპურსმა" კი მოიგო, მაგრამ არც ეს უნდა იყოს გადამწყვეტი. ფლეი ოფში ხომ ყველაფერი ახლიდან იწყება.

"ფინიქსის" უძლიერესი შეტევა, თუ პოპოვიჩის ნაქები დაცვა? ტიმი თუ სტივი?

ამ კითხვებს პასუხი მალე გაეცემა.

**ზურაბ თალაკვაძე**



ფინლის რვიდან ერთ-ერთი სამქულიანი

**დასავლეთი**

**ფინიქსი (2)–ლეიკერსი (7) 119:100**

**32:23, 32:29, 27:33, 28:25**

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (27 ქ. 16 მ. 2 ჩ), მერიონი (26 ქ. 10 მ. 3 ჩ. 2 დ), ბარბოსა (18 ქ. 3 ჩ), ნეში (17 ქ. 10 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34 ქ. 4 პ), ოდომი (33 ქ. 10 მ), ტურიაფი (12 ქ. 10 მ. 2 ჩ), ფარმარი (11 ქ. 5 მ. 3 ჩ).

**სერია 4:1**

**ს. ანტონიო (3)–დენვერი (6) 93:78**

**25:21, 19:27, 19:11, 30:19**

**სან ანტონიო:** ფინლი (26 ქ. 4 მ), დანკანი (23 ქ. 12 მ. 5 პ), ტ. პარკერი (16 ქ. 10 მ. 3 მ).

**დენვერი:** ენტონი (21 ქ. 7 მ. 3 ჩ), აივერსონი (21 ქ. 8 პ. 2 ჩ), ს. ბლეიკი (12 ქ), ნენე (10 ქ. 6 მ. 2 პ), კემბი (4 ქ. 19 მ. 5 დ. 2 პ).

**სერია 4:1**

NBA. წლის დებიუტანტი

# როი, ანდრეა, რუდი



ბრენდონ როი

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული სეზონის კიდევ ერთი ლაურეატი გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტად "პორტლენდის" მცველი - **ბრენდონ როი** დასახელდა.

128 გამოკითხულიდან 127-მა, პირველი ადგილი სწორედ როის მიანიჭა. პორტლენდელმა 638 ქულა დააგროვა და 400-ზე მეტი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ **ანდრეა ბარნიანის** ("ტორონტო"), ხოლო მესამეადგილოსანმა მემფისელმა **რუდი გეიმ** 93 ქულა მიიღო.

როიმ Eddie Gottlieb Trophy-ის მოსაპოვებლად, რეგულარულში 57 თამაში იმყოფინა. საშუალოდ მატჩში მისი მონაგარი 16.8 ქულა და 4.0 შედეგიანი პასი იყო. ის მოედანზე 35.4 წუთს ატარებდა. მან 16 მატჩში შეძლო მინიმუმ 20 ქულის დაგროვება, ხოლო 4 აპრილს, "იუტასთან" მატჩში, კარიერის რეკორდი დაამყარა - "ჯაზმენებს" 29 ქულა ჩაუგდო.

"პორტლენდმა" წლევანდელ სეზონში შარშანდელზე 11-ით მეტი, 32 მატჩი მოიგო, მაგრამ ფლეი ოფის საგზური მაინც ვერ მოიპოვა.

ბრენდონი "პორტლენდის" ისტორიაში მესამე კალათბურთელია, ვინც ეს პრიზი დაიმსახურა. მანამდე ეს შეძლეს **ჯეფ პეტრიმ** (1970-71) და **სიდნი ვიკსმა** (1971-72).

კალათბურთი

## დენგი ბრიტანეთის ნაკრებში მიიწვიეს

"ჩიკაგო ბულსის" ფორვარდმა **ლუოლ დენგმა**, რომელიც "მაიამი ჰიტთან" სერიის ერთ-ერთი გმირი გახდა, ბრიტანეთის ნაკრებისგან მიწვევა მიიღო.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, 22 წლის კალათბურთელი სუდანში არის დაბადებული, მაგრამ ბავშვობა ლონდონში აქვს გატარებული. შარშან ოქტომბერში, მან ბრიტანეთის პასპორტი მიიღო და ახლა შეუძლია ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშოს.

ბრიტანეთის ნაკრებს, ზაფხულში B დივიზიონში ელის შესარჩევი მატჩები და თუ ამ ტურნირს მოიგებს, ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

## შარლოტის განვრთნა ელისაც მოუნდა

კვლავ აქტუალური რჩება მომავალი სეზონისთვის, "შარლოტ ბობკეტსის" მთავარი მწვრთნელის საკითხი. ამ ვაკანტურ პოსტზე კიდევ ერთი კანდიდატურა გამოჩნდა. "შარლოტის" განვრთნის სურვილი გამოთქვა "ჰიუსტონ როკეტსის" ყოფილმა მცველმა - **მარიო ელიმ**.

ელის აგენტმა - **ტონი დატმა** სააგენტო AP-ისთან საუბარში განაცხადა, რომ მისი კლიენტი უკვე შეხვდა "ბობკეტსის" თანამფლობელ **მაიკლ ჯორდანსა** და გენერალურ მენეჯერ **ბერნი ბიკერსტაფს**.

თავად ელიმ ჟურნალისტებთან საუბარში ასეთი რამ განაცხადა: *"ერთადერთი, რაც ახლა დამრჩენია - ლოდინია. ისინი სხვა კანდიდატებსაც შეხვდებიან და შემდეგ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, სხვებზე ნაკლები პროფესიონალი არ ვარ"*.

## პანათინაიკოსს პრობლემები აქვს

დღეს, ათენში დაიწყება ULEB-ის ევროლიგის "ოთხთა ფინალი", სადაც ადგილობრივ "პანათინაიკოსს" ნახევარფინალში ესპანეთის "ტაუგრესთან" მოუწევს შეხვედრა. გაირკვა, რომ ამ მატჩში შესაძლოა "პანათინაიკოსს" ვერ დაეხმაროს ფორვარდი - **კოსტას ცარცარისი**.

ამ კალათბურთელმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ზურგის ტრავმა მიიღო. კლუბის ექიმების განცხადებით, ისინი შეეცდებიან ცარცარისის ფეხზე დაყენებას, მაგრამ მისი საკითხი უშუალოდ მატჩის დღეს გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ "ოთხთა ფინალის" მეორე ნახევარფინალში, მოქმედი ჩემპიონი - მოსკოვის ცსკა კიდევ ერთ ესპანურ კლუბს, "უნიკახას" შეხვდება.

## ევროლიგა ჯერ არ გაიზრდება

ამასობაში, ULEB-ის გენერალურმა დირექტორმა **ჟორდი ბერტომეუმ** ათენში პრესკონფერენცია გამართა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ 2010 წლამდე ევროლიგის გაფართოება დაგეგმილი არ არის.

*"აქ საუბარი არ არის ლიგაში რომელიმე ერთი გუნდის დამატებაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება იოლი იქნებოდა. საქმე ეხება მთლიანად ტურნირის მომავალს და ეს საკითხი ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს. გარდა ამისა, სიტუაციას ისიც ართულებს, რომ FIBA-Europe-სთან რთული ურთიერთობა გვაქვს. ამიტომაც, ევროლიგის გაფართოების ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია. ვფიქრობ, ეს უახლოეს წლებში მოხდება"*, - ამბობს ბერტომეუ.

ჰოკეი

## ედმონტონმა დრაფტის პირველი ნომერი გაიფორმა

რეგულარულ ჩემპიონატში ჩავარდნის შემდეგ, "ედმონტონ ოილერზმა" აქედანვე დაიწყო ზრუნვა მომავალი სეზონისთვის. "მენავთობეებმა" სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს 2005 წლის დრაფტის პირველ ნომერთან - **ენდრიუ კოლიანოსთან**.

ეს ჰოკეისტი კანადის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, 2006 და 2007 წლებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამ სეზონში ის მიჩიგანის უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა

## მსოფლიო ჩემპიონატი

### I ჯგუფური ეტაპი

#### A ჯგუფი

**იტალია–ლატვია 4:3 (ო)**

0:1, 1:0, 2:2, 1:0

გოლები: 0:1 დარძინში-2 (ლავინში-1, სოროკინი-1), 1:1 ჩირონე-1 (ლორენცი-1, სტრაცაბოსკო-1), 1:2 დაუ-ავინში-2 (ციპულისი-1, ვასილიევი-1), 2:2 ანსოლდი-2, 3:2 ბორგატელო-1 (ჩირონე-1), 3:3 დარძინში-3 (სორო-კინი-2, რედლიჰსი-1), 4:3 ჩირონე-2 (სინიორეტი-1).

**შვედეთი–შვეიცარია 6:0**

0:0, 5:0, 1:0

გოლები: 1:0 ტორნბერგი-1 (ი. იონსონი-3, მარ-ტენსონი-2), 2:0 სტრალმანი-1 (მარტენსონი-3), 3:0 ჰორნკვისტი-2 (ჰალბერგი-2, დავიდსონი-6), 4:0 და-ვიდსონი-3 (ბრემბერგი-3, ჰალბერგი-3), 5:0 დავიდ-სონი-4 (ენსტრიომი-1, ჰალბერგი-4), 6:0 ვალინი-2 (ვარგი-1, აკერმანი-3).

| | თ | მ | ომ | ოწ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 21-3 | 9 |
| 2. შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 4-8 | 6 |
| 3. იტალია | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 6-12 | 2 |
| 4. ლატვია | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 6-14 | 1 |

#### C ჯგუფი

**ნორვეგია–გერმანია 3:5**

0:2, 3:3, 0:0

გოლები: 0:1 ჰაკერტი-1 (გოგულა-1, ანჩიჩკა-1), 0:2 ვოლფი-1 (გოგულა-2), 1:2 მარ. ტრიგი-1 (ბასტი-ანსენი-1, ოლიმბი-2), 2:2 ასკი-1 (ლუნდი-1, პ. ტორე-სენი-1), 3:2 სპეტცი-2 (მ. ჰანსენი-2, ი. ანდერესენი-1), 3:3 ვოლფი-2 (ჰაკერტი-2), 3:4 ტრიპი-1 (ბაკოში-1, ან-ჩიჩკა-2), 3:5 ბარტა-1 (ვოლფი-2).

**კანადა–სლოვაკეთი 5:4**

1:1, 3:2, 1:1

გოლები: 0:1 იურჩინა-1 (დემიტრა-1, გაბორიკი-1), 1:1 მერფი-1 (ნეში-1, ტეივზი-2), 2:1 მაიერსი-3 (მაკლემანი-2, ჩიმერა-3), 3:1 ბრიუერი-1 (ტეივზი-3, ფანოფი-1), 3:2 მარიან ჰოსა-1, 4:2 ჰამჰუისი-1 (ნეში-2, ლომბარდი-1), 4:3 ურამი-2 (პოდჰარდსკი-1, კაპუ-ში-3), 4:4 შატანი-1 (კაპუში-4, ურამი-2), 5:4 ნეში-2 (ტეივზი-4, მერფი-3).

| | თ | მ | ომ | ოწ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 12-8 | 9 |
| 2. სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 12-6 | 6 |
| 3. გერმანია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 8-11 | 3 |
| 4. ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 5-12 | 0 |

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| მოროზოვი (რუს) | 10 (5+5) |
| დავიდსონი (შვედ) | 10 (4+6) |
| ზინოვიევი (რუს) | 9 (1+8) |
| ზარიპოვი (რუს) | 7 (2+5) |
| ტარნსტრიომი (შვედ) | 7 (1+6) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| მოროზოვი (რუს) | 5 |
| ანტონენკო (ბლრ) | 4 |
| დავიდსონი (შვედ) | 4 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| ზინოვიევი (რუს) | 8 |
| დავიდსონი (შვედ) | 6 |
| ტარნსტრიომი (შვედ) | 6 |

### II ჯგუფური ეტაპი

#### E ჯგუფი

4 მაისი

**რუსეთი–იტალია (20:15)**

5 მაისი

**შვეიცარია–დანია (16:15)**

**იტალია–ფინეთი (20:15)**

6 მაისი

**რუსეთი–შვეიცარია (16:15)**

**შვედეთი–ფინეთი (20:15)**

7 მაისი

**იტალია– დანია (16:15)**

**შვედეთი–რუსეთი (20:15)**

| | თ | მ | ომ | ოწ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 13-1 | 6 |
| 2. რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 14-5 | 6 |
| 3. ფინეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 10-7 | 3 |
| 4. შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2-7 | 3 |
| 5. იტალია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 2-9 | 0 |
| 6. დანია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3-15 | 0 |

#### F ჯგუფი

4 მაისი

**კანადა–ბელარუსი (16:15)**

5 მაისი

**აშშ–გერმანია (16:15)**

**ჩეხეთი–სლოვაკეთი (20:15)**

6 მაისი

**სლოვაკეთი–ბელარუსი (16:15)**

**ჩეხეთი–კანადა (20:15)**

7 მაისი

**ბელარუსი–გერმანია (16:15)**

**კანადა–აშშ (20:15)**

| | თ | მ | ომ | ოწ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 12-5 | 6 |
| 2. კანადა | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 8-6 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 9-6 | 3 |
| 4. აშშ | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 8-5 | 3 |
| 5. გერმანია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |
| 6. ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3-13 | 0 |




დეტროიტი გამარჯვების გოლს ზეიმობს

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

# სან ხოსეს ნახევარი წუთი დააკლდა

**აღმოსავლეთი**

**ოტავა (4)–ნიუ ჯერსი (2) 3:2**

1:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ალფრედსონი-5 (ჰიტლი-7, სპეცა-6), 1:1 ჯონტა-8 (ელიაში-8, ბროდო-1), 2:1 ჰიტლი-5, 3:1 ფიშერი-1 (რედენი-5, ემერი-2), 3:2 პანდოლფო-1 (მარტინი-3, ბრილინი-2).

**სერია 3:1**

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ **მარტინ ბროდოს** ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, "ნიუ ჯერსი" გამოეთიშება სტენლის თასისთვის ბრძოლას. "ოტავას" ერთი გამარჯვებალა აკლია კონფერენციის ფინალში გასასვლელად.

სტენლის თასის ისტორიას ახსოვს ერთი შემთხვევა, როცა "ნიუ ჯერსიმ" შეძლო ასეთი ჩამორჩენის გაბათილება და შემდეგ წრეში გასვლა. ეს მოხდა 2000 წელს, აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში "ფილადელფიას" წინააღმდეგ. თუმცა, კიდევ 5 შემთხვევაში, "ნიუ ჯერსი" ვერ ახერხებდა ასეთი დეფიციტის აღმოფხვრას.

რაც შეეხება "ოტავას", ეს გუნდი ზედიზედ მეათედ თამაშობს ფლეი ოფში და თუ "დევილზის" დამარცხება შეძლო, მაშინ თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ გავა კონფერენციის ფინალში. პირველად ეს 2003 წელს მოხდა. მაშინ, "სენატორებმა" სწორედ "ნიუ ჯერსისთან" წააგეს 7-მატჩიანი სერია. შემდეგ, "ეშმაკებმა" "ანაჰაიმსაც" მოუგეს და მესამედ მოიპოვეს სტენლის თასი.

ზემოთ ბროდოს ბრწყინვალე თამაში ვახსენეთ. ამ მეკარემ გუშინ, 33 დარტყმა მოიგერია, სულ კი, "ოტავასთან" სერიაში, ვეტერანმა 141 დარტყმიდან 130-ჯერ მოუგო დუელი მეტოქეებს და მოგერიების პროცენტმა 92.2 შეადგინა. მიუხედავად ამისა, ოთხიდან სამი მატჩი, "ოტავას" სასარგებლოდ დასრულდა.

სხვათა შორის, ბროდომ ამ მატჩში სხვა მხრივადაც გამოიჩინა თავი - მან ერთი შედეგიანი გადაცემა შეასრულა და ეს მისი მეცხრე ქულა იყო ფლეი ოფში. უფრო მეტიც, ბროდოს სტენლის თასზე გოლიც აქვს გატანილი - 1997 წლის 19 აპრილს, მან "მონრეალის" კარი აილო. ასეთი რამ, ფლეი ოფის ისტორიაში კიდევ ერთ ბრწყინვალე მეკარეს - **რონ ჰექსტოლს** აქვს გაკეთებული.

ერთი საგოლე პასი "ოტავას" მეკარე **რეი ემერიმაც** მიითვალა. მას ბროდოზე ნაკლები სამუშაო ჰქონდა (მხოლოდ 25 დარტყმის მოგერიება მოუწია), მაგრამ ის ტოლს არაფერში უდებს თავის სახელოვან ვიზავის. სხვათა შორის, **ბრაიან ჯონტას** გოლამდე, ემერი საკუთარ მოედანზე, 153 წუთი "მშრალად" ინახავდა საკუთარ კარს.

**დასავლეთი**

**ს. ხოსე (5)–დეტროიტი (1) 2:3 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ჩიჩუ-3 (ჯ. ტორნტონი-10, მ. მიხალეკი-2), 2:0 მარსელ გოკი-1 (რისმილერი-3), 2:1 ჰოლმსტრიომი-1 (ლიდსტრიომი-7, შნაიდერი-4), 2:2 ლანგი-2 (ფილპულა-1), 2:3 შნაიდერი-2.

**სერია 2:2**

"სან ხოსეს" გულშემატკივრებს გულწრფელად შეიძლება მივუსამძიმროთ. მასპინძლებმა 33 წამი ვერ გაძლეს და "დეტროიტს" ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს. **რობერტ ლანგმა** მაშინ გაიტანა გოლი, როცა **დომინიკ ჰაშეკი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა და სტუმრებს ერთი კაცით მეტი ჰყავდათ ყინულზე. "შარქსმა" თითქოსდა შეძლო მეტოქის შტურმის მოგერიება და თავად ცოტა უკლდა ცარიელ კარში გოლის გატანას, მაგრამ მოედნის შუაში **ვალტერი ფილპულამ** იყოჩაღა, მეტოქის ზონაში შევიდა და ლანგს გაატანინა.

შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა, სადაც თავიდან "სან ხოსეს" შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ **დომინიკ ჰაშეკმა** გერმანელი **მარსელ გოკის** ურთულესი შაიბა მოიგერია. ამ დროს, მასპინძლები რიცხობრივ უპირატესობაში იყვნენ. შემდეგ, ანალოგიური უპირატესობა სტუმრებმა მიიღეს და **მატიო შნაიდერმა** შანსი ხელიდან არ გაუშვა, რითაც თავის გუნდს საკუთარი მოედნის უპირატესობა დაუბრუნა. სხვათა შორის, "დეტროიტმა" მეორედ მოიგო ამ სერიაში, როცა მატჩში ორი შაიბით იყო უკან.

"ზვიგენებისთვის" კიდევ ერთი დასანანი მომენტი ის გახლდათ, რომ 2:0-ზე, მეორე პერიოდის დამთავრებას 5 წამი აკლდა, როცა პირველი საპასუხო შაიბა გაუშვა. მასპინძლებს შესვენებამდე რომ გაეძლოთ, იქნებ, მესამე პერიოდში სხვანაირად განვითარებულიყო მოვლენები. ეს გოლი **ტომას ჰოლმსტრიომმა** გაიტანა, რომელმაც პირველი თამაში ჩაატარა 22 აპრილის შემდეგ.

ისე კი, ამ წაგებაში ყველაზე მეტად სწორედ მასპინძლები არიან დამნაშავენი, რადგან მეტოქეს 49 ზუსტი დარტყმის შესრულების საშუალება მისცეს. რომ არა **ევგენი ნაბოკოვი** (46 დარტყმა მოიგერია), თამაშის ბედი არა ოვერტაიმში, არამედ გაცილებით უფრო ადრე გაირკვეოდა.

ერთი საგოლე პასი გააკეთა "სან ხოსეს" ლიდერმა - **ჯო ტორნტონმა**. ამით, გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშემ საკლუბო რეკორდი გაიმეორა - **ჯეფ ნორტონის** მსგავსად, ზედიზედ 7 მატჩში შეძლო მინიმუმ ერთი საგოლე პასის შესრულება.

## TV სპორტი

**4 მაისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 საფეხბურთო კლუბი.
12:55 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი.
14:45 ტოქ-შოუ - 2:1.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
17:40 პირდაპირი ხაზი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი.
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:15 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი.
00:20 რუსეთის ჩემპიონატი.
01:50 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:00 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:33 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შალკე.
09:16 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:42 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები. მიმოხილვა.
10:03 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სან პაულუ-გრემიო.
11:46 სპორტის სახეები.
12:17 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ბრიტანეთი.
14:52 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ნასიონალი-ნეკაქსა.
16:39 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები. მიმოხილვა.
17:04 აფროსნობა.
17:36 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ანაჰაიმი-ვანკუვერი. V მატჩი.
19:20 სპორტინფორმი.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. უნიკახა-ცსკა (LIVE).
21:30 სპორტინფორმი.
21:41 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
22:02 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-ტაუგრესი (LIVE).
00:26 სპორტინფორმი.
00:37 კრივი. რინგ-საიდი.
01:33 სპორტინფორმი.
01:44 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
02:40 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
03:05 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ბაფალო-რეინჯერსი. V მატჩი (LIVE).
05:41 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ემპოლი.

**EUROSPORT**

08:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. შანხაი (LIVE).
11:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. ბელგია-ინგლისი. ბელგია (LIVE).
18:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. ბელგია (LIVE).
21:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
00:30 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/4 ფინალი. ესპანეთი-შვეიცარია. ტარაგონა. ესპანეთი.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
13:00 ახალი ამბები.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. შანხაი.
16:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 5-8 ადგილის ფლეი ოფი. ტარაგონა. ესპანეთი (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი. ტარაგონა. ესპანეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 მულტისპორტი.
22:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია.
00:00 ახალი ამბები.
00:15 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
00:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი. ტარაგონა. ესპანეთი.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა (LIVE).
02:00 პრო-რესტლინგი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**უეფას თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

**სევილია–ოსასუნა 2:0 (0:1)**

**სევილია:** პალოპი, ლუის მარტი, ნავარო, ესკუდე, პუერტა, ალვეში, პოულსენი, კორეია (27. დუდა), რენატო (88. აიტორ ოსიო), ლუიშ ფაბიანო (73. კერჟაკოვი), კანუტე.

**ოსასუნა:** რიკარდო, კორალესი, კრუჩაგა, კუელიარი, ისკიერდო (83. მუნიოსი), ნეჭუნამი, დავიდ ლოპესი, რაულ გარსია, პუნიალი (61. ვალდო ლოპესი), ხუანფრანი (71. დელპორტე), ვებო.

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (37), 2:0 რენატო (53)

**მაყურებელი:** 39 000

**არბიტრი:** გრემ პოლი (ინგლისი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 17 (5) | დარტყმა | 6 (3) |
| 19 | ჯარიმა | 22 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

**ვერდერი–ესპანიოლი 1:2 (0:3)**

**ვერდერი:** რაინკე, ოვომოიელა (46. შინდლერი), პასანენი, ნალდო, შულცი, ფრინგსი (75. ბაუმანი), იენსენი (70. ვომე), ჰანტი, დიეგო, კლოზე, ალმეიდა.

**ესპანიოლი:** ირაისოსი, ლაკრუსი, ტორეხონი, ხარკე, დავიდ გარსია, იტო, საზალეტა (65. ანხელ მარტინესი), კორომინასი, ლუის გარსია, რიერა (71. რუფეტე), ტამუდო (79. ხულიანი).

**გოლები:** 1:0 ალმეიდა (4), 1:1 კორომინასი (50), 1:2 ლაკრუსი (60)

**გაძევება:** კლოზე (19. ვერდერი)

**მაყურებელი:** 37 000

**არბიტრი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 11 (4) | დარტყმა | 5 (2) |
| 19 | ჯარიმა | 25 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სილვია–ნორჩოპინგსი | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ოულუ–ინტერი | 2:0 |
| პაკა–ლაჰტი | 1:2 |
| ვიიკინგიტი–კტპ | 1:2 |
| ვაასა–მიუპა | 0:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი–სტ. პატსი | 1:0 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| კოფუ–იოკოჰამა | 1:0 |
| ურავა–იჩიჰარა | 1:1 |
| ტოკიო–კაშიმა | 1:2 |
| კაშივა–ნიიგატა | 0:0 |
| ნაგოია–ოიტა | 1:2 |
| ჰიროშიმა–ომიია | 2:1 |
| კობე–გამბა | 2:2 |
| შიმიცუ–ივატა | 2:1 |
| იოკოჰამა მარინოსი–კავასაკი | 2:1 |

**კალათბურთი**

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბრუესა–ხუვენტუდი | 66:72 |
| ალიკანტე–ხირონა | 70:89 |
| ვალიადოლიდი–გრან კანარია | 79:83 |
| ფუენლაბრადა–კ. სან ფერნანდო | 98:75 |
| მენორკა–ესტუდიანტესი | 81:79 |

**ჰოკეი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აშშ–სლოვაკეთი | 4:2 |
| შვეიცარია–ფინეთი | 0:2 |
| გერმანია–ჩეხეთი | 2:0 |
| დანია–შვედეთი | 2:5 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მიუნხენი**

| | |
|---|---|
| გროსჟანი-ვასალო არგელო | 2:6, 6:3, 6:4 |
| დევილდერი-სამერერი | 6:3, 7:5 |
| კოლშრაიბერი-ნიემინენი | 6:1, 6:4 |
| ბერდიჩი-მასუ | 7:5, 6:1 |

**ATP. ეშტორილი**

| | |
|---|---|
| სპეიდი-პატიენსი | 2:6, 6:3, 6:4 |
| გასკე-ჟილი | 6:1, 6:2 |
| რობრედო-მარტინი | 6:7, 7:5, 6:2 |
| კალერი-დელ პოტრო | 7:5, 6:0 |

**WTA. ვარშავა**

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-ვესნინა | 6:2, 7:5 |
| ანენი-გრონეფელდი | 6:1, 6:2 |
| ვ. უილიამსი-დემენტიევა | 6:1, 7:6 |
| კლაისტერსი-ვაკულენკო | 6:7, 3:6 |

**WTA. ეშტორილი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაჩკი-არნი | 2:6, 6:3, 3:6 |
| სკიავონე-აზარენკა | 2:6, 2:6 |
| დულკო-პენეტა | 6:3, 3:6, 6:1 |
| პუჩკოვა-არვიდსონი | 0:6, 0:6 |
| ლაგოსტერა-ოჟეგოვიჩი | 6:3, 6:0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

## სერენა ბერლინში არ ითამაშებს

ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის გამარჯვებული - **სერენა უილიამსი** არ აპირებს მომავალ კვირას ბერლინში თამაშს. ორშაბათს, გერმანიის დედაქალაქში ქვეყნის ღია პირველობა აიღებს სტარტს. ამერიკელმა ტურნირიდან თავისი განაცხადი ტრავმის გამო გამოიტანა.

*"საზარდულის ტრავმა მაწუხებს. ეს დაზიანება ჯერ ბოლომდე ვერ მოვირჩინე და ექიმების რჩევით, ბერლინში გამგზავრებაზე უარი ვთქვი"*, - განაცხადა უმცროსმა უილიამსმა.

ოლიმპიზმი

## პრინცესა ოლიმპიურ კომიტეტში

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**, სოკ-ის წევრობის ოთხი ახალი კანდიდატურა წამოაყენა.

ნომინანტები არიან - იორდანიის პრინცესა **ჰაია**, **პატრიკ ბომანი** (შვეიცარია), **ანდრეს ბოტერო** (კოლუმბია) და **რიტა სუბოვო** (ინდონეზია). ამ ოთხეულის არჩევნების ფორმალური პროცედურა ამა წლის ივლისში, გვატემალაში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის, ოლიმპიური კომიტეტის წევრთა რიცხვი 111-ს შეადგენს.

იორდანიის პრინცესა დუბაის საცხენოსნო კლუბის პრეზიდენტია, აგრეთვე ამ ქალაქის პრინცის, საემიროების თავდაცვის მინისტრის - **მოჰამედ ბენ რაშიდ ალ-მაქთუმის** მეუღლე გახლავთ.

## გახსნის დღეს 2008 ქორწილი იქნება

ჩინური სააგენტოების ცნობით, 2008 წლის 8 აგვისტოს, პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს, ჩინეთის დიდ კედელთან 2008 წყვილის საქორწინო ცერემონიალი გაიმართება. მსურველთა სიის შედგენა ამა წლის 8 აგვისტოს დაიწყება.

ამ ღონისძიებით, ჩინელებს სურთ უცხოელებს აჩვენონ, თუ როგორ ტარდება ჩინეთში ტრადიციული ქორწილები.

ფორმულა 1

## უილიამსის შავი კვირა

ბარსელონაში მიმდინარე ტესტები დატოვა "უილიამსმა". ვარჯიშების ნაადრევი შეწყვეტის მიზეზი ის გახლავთ, რომ სამშაბათს, გუნდის ტესტ-პილოტმა **კაძუკი ნაკაიამამ** ტრასაზე თავისი ბოლიდი დაამსხვრია, ხოლო ოთხშაბათს, ავარიაში მოყვა გერმანელი **ნიკო როსბერგი**. სწორედ ამიტომაც, ბრიტანულმა საჯინიბომ უარი განაცხადა ტესტების გაგრძელებაზე.

*"როსბერგს სერიოზული ავარია ჰქონდა. ის ტრასიდან გადავარდა და კედელს შეასკდა. საბედნიეროდ, ნიკო არ დაშავებულა. ეს არ იყო ჩვენი კვირა. წინა ეტაპზე, მალაიზიაში ტესტებზე კარგად ვიმუშავეთ, მაგრამ რბოლა არ გამოგვივიდა. იმედია, ესპანეთის გრან-პრიზე პირიქით მოხდება"*, - განაცხადა "უილიამსის" მთავარმა ინჟინერმა, **როდ ნელსონმა**.

ესპანეთის გრან-პრი 13 მაისს გაიმართება.

## რაიკონენი ყველაზე სწრაფია

იმავე ბარსელონას ტესტებზე, საუკეთესო ფორმის დემონსტრირებას ახდენს "ფერარის" პილოტი **კიმი რაიკონენი**. გუშინდელ ტესტებზე, ფინელმა ავტომრბოლმა კვლავ საუკეთესო დრო აჩვენა (1.30,280). მეორე ადგილზე გასული ავსტრალიელი - **მარკ უებერი** ("რედ ბული") კიმის წამზე მეტით ჩამორჩა, ხოლო მესამეზე აღმოჩნდა "რენოს"-ფინელი წევრი - **ჰეიკი კოვალაინენი**.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენმა ტესტების პირველ დღესაც აჯობა ყველას.

ტურნირები

# ნადალი ამჯერადაც იგებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** თიხის კორტების მეფედ ითვლება, მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** კი მსგავსი წოდება ბალახის კორტებზე აქვს. ფედერერი უკვე სამი სეზონია, რეიტინგში პირველობას არავის უთმობს და ალბათ კიდევ დიდხანს არავის დაუთმობს. მაგრამ ნადალთან ურთიერთდაპირისპირებებში უარყოფითი ბალანსი აქვს - ისინი სულ ათჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აქედან შვეიცარიელმა მაესტრომ მხოლოდ სამი თამაში მოიგო, მათგან ერთი - ბალახზე და ვერც ერთი თიხაზე.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, საერთო ჯამში, ვინ უფრო მაგარია. ამ კითხვაზე მეტ-ნაკლები პასუხის გასაცემად, ესპანეთის კუნძულ მალიორკაზე არსებულ ველოტრეკზე ექსპერიმენტული კორტი მოაწყვეს, რომლის ერთი ნახევარი თიხითაა დაფარული, მეორეზე კი ბალახი ბიბინებს. ჰოდა, ამ კორტზე სათამაშოდ ნადალი (ის წარმოშობით სწორედ მალიორკელია) და ფედერერი მიიწვიეს.

ამ საჩვენებელი მინი-ტურნირის ორგანიზატორების მონდომება აღტაცებას იწვევს. მათი მცდელობით, შერეულსაფარიანი კორტი 19 დღეში მომზადდა, მის ასაგებად კი 1.63 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ველოტრეკის შიდა პერიმეტრში აიგო სპეციალური ტრიბუნა, რომელიც ველოტრეკის ტრიბუნის ნაწილთან ერთად, 7000 მაყურებელს იტევს. საჩვენებელი შეხვედრის ორგანიზება კი ბალეარის კუნძულების ტურიზმის ბიურომ ითავა.

მალიორკაში შეხვედრამდე, ნადალს თიხნარზე ზედიზედ 72 შეხვედრა ჰქონდა მოგებული. ამასთან, ზედიზედ ორჯერ გახდა საფრანგეთის ღიას ჩემპიონი. ფედერერმა კი ბალახზე უკანასკნელად ოთხი წლის წინათ წააგო. მას შემდეგ, უსწრაფეს საფარზე ზედიზედ 48 შეხვედრა მოიგო და ოთხჯერ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი.

როგორც მოსალოდნელი იყო, "ბრძოლა შერეულ საფარზე" (ჩოგბურთელები ჩვეული წესით ცვლიდნენ კორტის მხარეებს) მეტად საინტერესო გამოდგა და ის სამ სეტში, 7:5, 4:6, 7:6(10) ნადალმა მოიგო. თამაშის დროს აშკარა იყო, რომ ჰიბრიდულსაფარიანი კორტი გარკვეულ უპირატესობას თიხის მხარეს მოთამაშე ჩოგბურთელს ანიჭებდა. კერძოდ, ბალახის მხრიდან დარტყმულ ბურთებს თიხა ანელებდა, რითაც თიხაზე მდგარ მეჩოგნეს შემდგომი ქმედების გასააზრებლად მეტი დრო რჩებოდა. ბალახი კი ყველაზე მეტად იმითაა ცნობილი, რომ, მასზე დაცემული ბურთი მაღლა ვერ ადის და ჩოგბურთელსაც მის მისაღებად მცირე დრო აქვს. შედეგად, გათამაშებისას, ბალახის მხრიდან წამოსული ბურთი თიხაზე უფრო იოლად მისაღები ხდება და პასუხიც უფრო ძნელად მოსაგერიებელია.

თამაში იმითაც იყო საინტერესო, რომ საფარის შესაბამისად, ჩოგბურთელები სპორტულ ფეხსაცმელსაც იცვლიდნენ. ამის გამო, ჩეინჯოვერების (ადგილების შეცვლის) დროს, მათ 90 წამის ნაცვლად, ორი წუთი ეძლეოდათ.

შეხვედრის დასაწყისში, უფრო მეტად ფედერერს გაუჭირდა, რომელიც ხშირად უშვებდა შეცდომებს, რაც ჩვეულებრივ, შვეიცარიელ მაესტროს არ ახასიათებს. ესპანელმა პირველ ბრეიკს მაშინ მიაღწია, როცა ფედერერი ბალახის მხრიდან აწოდებდა. ნადალმა ეს უპირატესობა პირველი სეტის ბოლომდე შეინარჩუნა და ის 7:5 მოიგო.

მაგრამ, მეორე სეტის საწყის გეიმშივე, ფედერერმა საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო. თანაც, ეს იმ დროს მოახერხა, როცა ესპანელი თიხნარის მხრიდან აწოდებდა. თითქოს, ამ ბრეიკის წყალობით, როჯერმა თავის რიტმსაც მიაგნო. ყოველ შემთხვევაში, მან სეტის ბოლომდე შეძლო მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება - 6:4.

ყველაზე დაძაბული და საინტერესო გადამწყვეტი სეტი გამოდგა. მეტოქეებმა დასაწყისშივე გაცვალეს ბრეიკები, შემდეგ კი თავიანთ სერვისებზე ქულები აღარ დაუკარგავთ. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც თავიდან შვეიცარიელი დაწინაურდა - მან მინი-ბრეიკი გააკეთა და თითქოს, გამარჯვებაც მასვე უნდა დარჩენოდა. მაგრამ ნადალმა ეს მინი-ბრეიკი მალე გაქვითა და საბოლოოდ, მოკლე სეტი თავის სასარგებლოდ (12:10) დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ ბალახის საფარმა საჩვენებელი შეხვედრის ორგანიზატორებს გარკვეული პრობლემები შეუქმნა. ბალახი ჭერქვეშა არენას ვერ შეეგუა და მალე გახმა, რის გამოც, საჭირო გახდა კორტზე ახალი ბალახის დაგება. ეს ბალახი კი მახლობელი მეურნეობიდან მოიტანეს, რომელიც გოლფის მოედნებისთვის მუშაობს. მართალია, კორტის ბალახის საფარი უხარისხო იყო, მაგრამ ჩოგბურთელები კმაყოფილნი დარჩნენ ამ საჩვენებელი შეხვედრით, რომელიც ამავე არენაზე მომდევნო ორ სეზონშიც ჩატარდება.

*"ძალიან დავიღალე. კორტის სხვადასხვა მხარეს სრულიად განსხვავებულ სტილში მოქმედება მიწევდა, რამაც არაქათი გამაცალა. სხეულის ყველა კუნთი საქმეში იყო ჩართული და ახლა ისეთ დაღლას ვგრძნობ, თითქოს მთელი ტურნირი ერთ დღეში მეთამაშოს"*, - განაცხადა ნადალმა.

თითქმის ანალოგიური შეფასება გააკეთა ფედერერმაც: *"ჩემთვის ეს დიდი გამოწვევა იყო. დასაწყისში ვერ გამერკვია, როგორ უნდა მეთამაშა. თითქოს, ბალახზე კარგად გადავაადგილდებოდი, თიხაზე კი ძალიან გამიჭირდა. თუმცა, თამაშის მსვლელობისას, თიხის მხარეს თამაშსაც მივეჩვიე. საერთო ჯამში კი ძლიერ ნასიამოვნები დავრჩი. ერთია, საშინელება იყო, როცა მხარის ყოველი მონაცვლეობისას, ფეხსაცმლის გამოცვლაც მიწევდა"*.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




მატჩის დროს ფედერერმა და ნადალმა ბევრი იხალისეს

# გერმანელების იმედი

ბოლო გერმანელი ჩოგბურთელი, ვისაც მიუნხენის "ბეემვეს" ღია პირველობა აქვს მოგებული, **მიხაელ შტიხია**, რომელმაც ეს 1994 წელს შეძლო. მას შემდეგ, გერმანელებს მიუნხენში ბედი არ სწყალობთ. ასე განსაჯეთ, მიუნხენელი **ტომი ჰაასი** ტურნირს უკვე ორი სეზონია, პირველივე წრეში ეთიშება.

მაგრამ გერმანელებს იმედი მაინც გაუჩნდათ, ამ იმედის სახელი კი **ალექსანდერ ვასკეა**, რომელმაც ტურნირზე გამოსვლის უფლება უაილდ ქარდის წყალობით მოიპოვა, პირველ წრეში კი ტურნირის ფავორიტს, ჩეხ **რადეკ სტეპანეკს** ააკვრევინა გუდა-ნაბადი.

ვასკეს მორიგი მსხვერპლი მისივე თანამემამულე **დანიელ ბრანდსი** გახდა. მოკლედ, ვასკემ მეოთხედფინალისკენ გაიკაფა გზა, სადაც მას გამოცდას კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** ჩაუტარებს. ამანაც მეორე წრეში გზიდან გერმანელი მეტოქე - **მათიას ბახინგერი** ჩამოიცილა. თუ ვასკემ ორივე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო, ბაღდატისს მომდევნო წრეში გასასვლელად სამი სეტი დასჭირდა. ასე რომ, იოლი თამაში არცერთ მათგანს არ ჰქონია.

პორტუგალიის ეშტორილში მიმდინარე ტურნირს კი მისი ერთ-ერთი ფავორიტი, რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** გამოეთიშა. მას ორ სეტში მოუგო ფრანგმა **ოლივიე პატიენსმა**. რუსმა წაგება თავის სიზარმაცეს დააბრალა - ტურნირის წინ ცოტა ვივარჯიშეო. აღსანიშნავია, რომ მას ეშტორილის ღია პირველობა 2003 წელს აქვს მოგებული, შარშან კი ფინალში ითამაშა.

ვარშავაში მიმდინარე ტურნირზე კი მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**. ორივემ თავისი მეტოქე ორ სეტში დაამარცხა. ჟუსტინმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო გერმანელ **ანალენა გრონეფელდს**, იანკოვიჩმა კი რუს **ელენა ვესნინას** აჯობა.

აღსანიშნავია, რომ ჟუსტინმა მაიამის ტურნირზე **სერენა უილიამსთან** წაგების შემდეგ პირველად ითამაშა. თუმცა, ნაკლები სათამაშო პრაქტიკა მის გამოსვლაზე სულაც არ ასახულა. მან პირველივე გეიმში შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება და აქედან მოყოლებული, კორტზე სრული ბატონ-პატრონი იყო.

### ATP

#### ეშტორილის ღია

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 531 250 ევრო

**I წრე**

**ოლივიე პატიენსი (საფ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 7:5, 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 2)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:4, 6:3.

**II წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 6:2, 6:2; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 6) 6:4, 6:3; **ხუან მონაკო (არგ)**-სემ კერი (აშშ) 3:6, 6:1, 6:4; **პოლ ანრი მატიო (საფ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:2, 6:1.

#### BMW Open

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**II წრე**

**მიხაილ იუჟნი (რუს, 3)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:6 (4), 7:6 (3); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 4)**-მატიას ბახინგერი (გერ) 6:7 (7), 6:2, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 8)**-რაემონ სლუიტერი (ჰოლ) 5:7, 6:1, 6:2; **ალექსანდრ ვასკე (გერ)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 7:6 (5), 7:6 (5).

### WTA

#### J&S Cup

ვარშავა (პოლონეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**I წრე**

**ვენუს უილიამსი (აშშ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:4, 6:3.

**II წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 2:6, 6:2, 6:1; **მარა სატანჯელო (იტა)**-ნადია პეტროვა (რუს, 5) 6:3, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:2, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 0:6, 6:4, 6:3.

#### ეშტორილის ღია

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**I წრე**

**ნიკა ოჟეგოვიჩი (ხორ, 6)**-მარია კირილენკო (რუს, 6) 6:3, 3:6, 7:5.

**II წრე**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 1)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:3, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 3)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:3, 2:6, 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:1, 6:1.

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე
ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი
კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა